

წიგნისა და სიყვარულის

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

19 მაისი 2023წ. №8 (4068) გამომცემის 92-ე წელი ვასი 2 ლარი



უსიყვარულო ბავშვები


რა იქნებოდა, 1940-იან წლებში მეორე მსოფლიო ომი რომ არ მომხდარიყო და ჩვენს დიდ ბებიებს და ბაბუებს ძვირფასი ადამიანები არ დაეკარგათ? რა იქნებოდა, ჩვენს ბებიებს და ბაბუებს ათწლეულების განმავლობაში, საბჭოთა ტერორსა და მუდმივ შიმშილს რომ არ ეცხოვრათ? რა იქნებოდა 1980-იან წლებში ჩვენს მშობლებს 9 აპრილი, 1990-იანებში კი – სამოქალაქო ომი, აფხაზეთის დაკარგვა, მხედრობის და პურის რიგები არ ენახათ? რომ არა, ის რაც ამ ქვეყნის თავს მოხდა, როგორი იქნებოდნენ 2000-იანი წლების ბავშვები? ბავშვები, რომლებსაც დაბადების მოწმობასთან ერთად, რამდენიმე თაობის ტრავმები გადაეცათ? დღეს ამის ცოდნა შეუძლებელია. საქართველოს უახლესი წარსული მძიმე, დამორჩეული მოვლენებით იყო სავსე, რომელმაც წინაპრებს – სიცოცხლე, მშობლებს – ახალგაზრდობა, ბავშვებს კი, ყველაზე ძვირფასი – უდარდლობა – წაართვა.

ივა ფეხუაშვილი ახალ რომანში, 2000-იან წლებს უბრუნდება და „ბუნკერში“ 1990-იანი წლების აღწერის მსგავსი სიხისტით და სიზუსტით, იმ პერიოდის ბოლო გაეღვივებებს აკვირდება, რომელზეც ხშირად ამბობენ „მაშინ დრო იყო ასეთი“. ეს კი ნიშნავს, რომ „მაშინ“ ურთიერთდაპირისპირება, ძალადობა და ჩაგვრა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

„მასკარადონე“ არის ამბავი ბავშვებზე, რომლებიც არასდროს ყოფილან პატარები; რომლებსაც უყვართ და ძნელად ამბობენ; სძულთ და იმპულსურად მოქმედებენ; ცდი-

წინ, ილიასკენ!

11 მაისს ილია ჭავჭავაძის სახელობის პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის წარდგინება. ეს არის 1250-გვერდიანი წიგნი, რომელიც მოიცავს ილია ჭავჭავაძის შესახებ არსებულ ენციკლოპედიურ მასალას 1837 წლიდან 1907 წლამდე. პროექტი განხორციელდა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრში. გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით (გამომცემლობა „უნივერსალი“, 2022).



პროექტზე მუშაობდნენ: გიორგი (აგი) აბაშიძე, ნინო მამარდაშვილი, მანანა ბარათაშვილი, ნანა ზღულაძე, ნათელა საღირაშვილი, ლეილა სულხანიშვილი, მანანა ყიფიანი, მარი წერეთელი, გურამ ჭოხონელიძე.

წარდგინებას უძღვებოდა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრისა და პროექტის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი ნინო მამარდაშვილი.

ფილოლოგიის დოქტორმა მარი წერეთელმა ისაუბრა ენციკლოპედიაზე მუშაობის პრინციპებსა და მეთოდებზე. ფილოლოგიის დოქტორმა თამარ მიქაძემ გაიხსენა ენციკლოპედიური შრომის შექმნის პერიპეტეიები და თანამშრომლები, რომლებიც წიგნის პრეზენტაციას ვერ მოესწრნენ – გიორგი აბაშიძე, ნათელა საღირაშვილი, ლეილა სულხანიშვილი და გურამ ჭოხონელიძე.

სიტყვით გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ამ სოლიდური პროექტის განხორციელებაში უდიდესი ღვაწლი გიორგი აბაშიძეს მიუძღვის (ზაზა აბზიანიძე), რომ ეს არის ილია ჭავჭავაძის გზის გაგრძელება (თამაზ ჯოლოგუა), რომ წიგნი ნამდვილ ილიას დაგვანახებს (მერაბ ლალანიძე), ის დაგვეხმარება ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ბევრი სადავო საკითხის გარკვევაში (ანდრო ბედუქაძე) და რომ ეს არის სამაგიდო წიგნი მკვლევრებისა და ლიტერატურის მოყვარულთათვის (ლევან ბებურიშვილი).

გელა ცინცაძე



ბურამ ფანჯიქიძე – 90

სსოპრეა გულის პრინციპით

ობრივი პრობლემები იყო მხატვრულად ხორცშესხმული. სამოცდაათიან წლებში ყველას პირზე ეკერა მისი პერსონაჟების სახელები: ლევან ხიდაშელი, თამაზ იაშვილი, ოთარ ნიჭარაძე. მკითხველთა ინტერესი გამოიწვია მისმა შემდგომმა რომანებმა: „სპირალი“, „აქტიური მზის ნელინადი“, „ემპაის ბორბალი“.

შემდეგ მოხდა ისე, რომ მისი შემოქმედებისადმი ინტერესი შენედა. აპრილი ჩაითვალა, რომ სამოცდაათიანი და ოთხმოცდაათიანი წლების აქტიულის სოციალური თემები მიუღებელი უნდა ყოფილიყო ეროვნულ-პოლიტიკურ პრობლემათკაზზე ორიენტირებული გონებაგანწყობილებებისათვის. არადა, აღნიშნული რომანები ეხება სწორედ იმ პრობლემებს, რომლებიც დღესაც აქტიულისა – ახალგაზრდა ადამიანის წინააღმდეგობრივი სულიერი სამყარო, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ფსიქოლოგიური შედეგები, პიროვნების გაორება და სხვა ეგზისტენციური პრობლემები.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გურამ ფანჯიქიძე იყო შესანიშნავი პუბლიცისტი, რომელიც ცოცხლად, ღრმად და საიტერესოდ წერდა პიროვნების, საზოგადოების, ეკოლოგიის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, ისტორიის, კულტურისა თუ სპორტის საკითხებზე.

რატომღაც მგონია, სწორედ ეს ნაკადი გახდება მიზეზი იმისა, რომ მკითხველი ახლიდან აღმოაჩენს გურამ ფანჯიქიძის შემოქმედებას, რომელიც აქ არის, ჩვენ შორისაა, ჩვენი წიგნების თაროებზეა და ელოდება ახალ ნაკითხვას, ახალ გააზრებას, ახალ სიცოცხლეს.

„ლს“ რედაქტორი

კითხვა, რომელსაც ვერ უპასუხებ

ინტერვიუ ზურაბ კანდელაკთან

83.3

ნიგნიდან „გაუგზავნილი ბარათები“

ინგო ჭუმბურიძე

83.5

სიყვარული ახალთახალი

ნინო ღარბაისაძე

83.7

გზა ღიონიდან საქართველომდე

ბარნარ უტიე

83.13

ფსიქოლოგია და მათაფსიქოლოგია

ჟაკ ლაკანი

83.15



გვქაუბრება რეჟისორი, დრამატურგი, პროზაიკოსი ზურაბ პანდელაიძე

ბატონო ზურაბ, თქვენი აზრით, როგორია თანამედროვე დრამატული თეატრი, უკასუსებს საზოგადოებისა და ადამიანის საღვთის პრობლემებს?

თეატრი, ხელოვნების სხვა დარგებისგან იმით განსხვავდება, რომ არის წარმავალი. თეატრში შემოქმედებითი პროცესი მყარდება თვალწინ ხდება და სპექტაკლიც (ცოცხლობს მანამ, სანამ მყარდება და მსახიობის ურთიერთობა არსებობს და სხვადასხვა მიზეზის გამო არ დაირღვევა. აღარ არის მსახიობი, აღარ არის სპექტაკლი. ფორზე გადაღებული სპექტაკლი მასზე სრულ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის, ის სხვა ჟანრია, რადგანაც, აღარ არსებობს ცოცხალი შემოქმედებითი კავშირი მსახიობსა და მყარდება შორის. ასე რომ, ყველა ეპოქაში, მყარდება უყურებენ რეალურ დროში და პრობლემის სივრცეში გათამაშებულ ყველა ჟანრის წარმოდგენებს. როგორც ამბობენ, ყველა ჟანრი კარგია, გარდა მოსაწყენისა და ის თეატრები რომლებიც ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, თითქმის არასოდეს განიცდიდნენ და ახლაც არ განიცდიან მყარდება შორის ნაკლებობას. ასეთი თეატრები, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში, თუ გარემოება მოითხოვდა, რა თქმა უნდა, პასუხობდნენ ხალხის წინაშე დასმულ პრობლემებს.

დღეს სხვა მდგომარეობაა, ხალხს იმდენი რამე აწუხებს, რომ თეატრს უჭირს მისი სრულყოფილი ასახვა, უფრო მეტიც, თეატრს თვითონ შეექმნა პრობლემები. მყარდება შორის და თეატრს შორის ჩადგა უამრავი ტექნიკური საშუალება, ინტერნეტიდან დაწყებული, სხვადასხვა სატელევიზიო არხების მდარე ხარისხის კომედიური შოუების სახით, რომელთა მთავარი ამოცანაა, როგორმე, ნებისმიერი საშუალებით მყარდება შორის გაცინება.

ჩვენდა საბედნიეროდ, კიდევ იდგება ისეთი სპექტაკლები რომლებიც თავისი მხატვრული დონით ახერხებენ უგერბელოდ, ზოგჯერ კი, უხამსი წარმოდგენების ჩანაცვლებას.

მიჰყვება მყარდება თეატრის დინამიკას? ხედავთ ახლო კავშირს თეატრსა და მყარდება შორის? იგრძნობთ ეგრეთ წოდებული „დასრულების ეფექტს“?

მყარდება შორის აზრს, რომლის თვალწინ სცენაზე იბადება მხატვრული სახეები დიდი მნიშვნელობა აქვს, ის ხომ ყოველგვარი შუამავლის გარეშე აღიქვამს იმას, რაც სცენაზე ხდება. ან მოსწონს, ან არ მოსწონს. ასეთი აღქმა კი უშუალო კავშირშია მყარდება შორის განათლებასთან, სოციალურ სტატუსთან და განსაკუთრებით გემოვნებასთან. გემოვნება კი ძალიან ცვალებადი რამ არის, ყველა თაობა თავისი კერძი ჰყავს... ავიღოთ თუნდაც მსახიობი ქალების გარეგნობა. გასული საუკუნის 60-70-იანი წლების კერძი იყო ოდრი ჰეპბერნი. როცა ამის შესახებ ვლაპარაკობდით, წინა თაობის მყარდება შორის ირონიულად ილიკობდნენ და მაგალითად მოჰყავდათ მელიცა კორიუსი „დიდი ვალსიდან“. ორივე ნიჭიერი მსახიობი, მაგრამ სხვადასხვა აღნაგობის, ორივე მომხიბვლელი, მაგრამ სილამაზის აღქმით ურთიერთსაწინააღმდეგო. ასევე არის თეატრშიც, ის, ვისაც მოწონდა მუსკომედიის თეატრი, ვერ აღიქვამდა პირობითი თეატრის ბრწყინვალე ნიმუშს, როგორც იყო, მიხილთ თუმანოვილის „როცა ასეთი სიყვარულია“. მაგრამ არსებობდა ისეთი გამონაკლისებიც, როდესაც უნიჭიერესი მსახიობები, თავისი გარდასახვის უნარით იმორჩილებდნენ ნების-

კითხვა, როგორს ვერ უკასუსებ

მიერი გემოვნების მყარდება და აიძულებდნენ, განეცადათ სცენაზე განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, ანდა სიცილ-ხარხარით ალექვით ეროსი მანჯგალაძის და მედეა ჩახავას დუეტი „პეპოდან“, რამაზ ჩხეკვიძის და ეროსი მანჯგალაძის იმპროვიზაციები „ხანუ-მადან“, განეცადათ აკაკი ხორავას ოტელოს ტრაგედია, ან თვალდაბრუნებული სერგო ზაქარიაძის ოიდიპოსის დაგორება კიბეებზე, ვერიკო ანჯაფარიძის მარგარიტა გოტიეს სიკვდილი და კიდევ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, საბედნიეროდ, ქართული თეატრი არ განიცდიდა ვარსკვლავების ნაკლებობას.

ჩვენი თეატრების აფიშებს რომ კითხულობთ, რა სურვილი, იდეა ან შენიშვნა გინდებოდა?

იმდენი ახალი თეატრია, რომ მათი რეპერტუარისადმი თვალის მიდევნება არ არის იოლი. ადრე სეზონის გახსნის წინ თეატრები აქვეყნებდნენ სავარაუდო რეპერტუარს. არ ვიცი, შეიძლება მე ვცდები და არ ვფლობ სრულყოფილ ინფორმაციას, მაგრამ ახლა ასე არ ხდება, ამის შევსებას ცდილობს რამდენიმე ტელევიზია, რომლებიც საინფორმაციო გამოშვებებში ამზადებენ მოკლე სიუჟეტს მომავალი პრემიერის შესახებ, მაგრამ უკვე იმდენი თეატრია და იმდენი ახალი სპექტაკლი იდგება, რომ ეს სამკარისი არ არის.

საით მიდის თანამედროვე თეატრი?

რაც მეტი სპექტაკლი დაიდგმება და რაც მეტი ავტორის პიესას დაეთმობა თეატრების რეპერტუარში ადგილი, მით უფრო დაუახლოვდება ის თეატრალური სამყაროს სიახლეებს. დღეს, პიესის არჩევის დროს მოხსნილია ყოველგვარი შეზღუდვა, აღარ არსებობს არავითარი ცენზურა, ეს კი უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს თეატრებს და ახალი წარმატებების წინა პირობას ქმნის.

ჩემი აზრით, თეატრში ნიჭიერი ახალი თაობა მოღვაწეობს, ეს კი, იმედს გვაძლევს, რომ ისინი არ დათმობენ იმ მოწინავე ადგილს, რაც მსოფლიოს თეატრალურ რუკაზე, „ქართული თეატრის ოქროს ხანის“ მოღვაწეებმა მოუტანეს. გვულისხმობს, გასული საუკუნის 60-იანი წლების თაობას, რომლებმაც ასევე წარმატებით განავითარეს წინა თაობის მიღწევები.

თავის დროზე, თქვენი მონაწილეობით, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიაში რეჟისორის მთელი ეპოქა შეიქმნა, მაგრამ დღეს პოპულარული აღარ არის რადიო- და ტელესპექტაკლი. რატომ?

სატელევიზიო თეატრთან დაკავშირებით დაგეთანხმებით, ის წარმატებით ჩაანაცვლა სატელევიზიო ფილმებმა. რომლებიც კინოსთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე თეატრთან, და პოპულარობის თვალსაზრისით ტელევიზორებში ის ერთ-ერთ ნამყვან პოზიციას ინარჩუნებს.

რადიოთეატრი კი არსებობს განაგრძობს და სულ მალე, 23 მაისს, ქართულ რადიოთეატრს 70 წელი უსრულდება. რაც შეეხება პოპულარობას, რადიოდრამა ან აუდიოდრამა, როგორც მას ზოგიერთ ქვეყანაში უწოდებენ, ძალიან პოპულარულია ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, შეერთებული შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, თქვენ წარმოიდგინეთ, ირანშიც, იაპონიაში და კიდევ არაერთ სხვა ქვეყანაში. ამის დასტურია არაერთი საერთაშორისო ფესტივალი, რომლებიც ყოველწლიურად იმართება და ჩვენ ამ ფესტივალების სხვადასხვა ხარისხის პირობებში გვაქვს მოპოვებული. ასე რომ რადიოთეატრი ცოცხლობს და კიდევ იდებხანს იცოცხლებს, თუ რატომ, აი, რას წერს რადიოთეატრის შესახებ დაწერილ ნიშნულ რადიოს ცნობილი მკვლევარი ალექსანდრე შერელი: „როდესაც ტელევიზია წელ-წელა იპყრობდა საეთერო სივრცეს, ასეთი ანეკდოტი გავრცელდა: დედა ეკითხება შვილს: - მითხარი რა უფრო მოგწონს, ტელევიზია თუ რადიო? - რადიო! - პასუხობს ბავშვი. - რატომ? - იმიტომ, რომ უფრო კარგად ვხედავ და თანაც, ყველაფერი უფრო ლამაზია!“

ეს პასუხი, ზუსტად გამოხატავს რადიოთეატრის იმ დამახასიათებელ თვისებას, რისი საშუალებითაც, რადიოთეატრმა გააუძლიო კონკურენციას და დღესაც განაგრძობს არსებობას. რა თქმა უნდა, იგულისხმება ის შინაგანი ხედვა, რომელიც მსმენელს წარმოსახვის დახმარებით მყარდება გარდასახავს.

რადიოთეატრი ხელოვნების დამოუკიდებელი ჟანრია, რომელსაც გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებები: სიტყვა, მუსიკა და სხვადასხვა სახის (მოქმედების ადგილის განმსაზღვრელი ან აბსტრაქტული — ემოციური ფონის შესაქმნელი) აკუსტიკური ხმები. ამ კომპონენტების კომბინირებით, სმენით აღქმული შინაგანი ხედვის და წარმოსახვით გამომყვებული შემოქმედების შედეგად, მსმენელი ხდება შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილე.

სმენით აღქმული შინაგანი ხედვა რადიოპიესის ავტორს აძლევს სრულ თავისუფლებას, ის არ არის შეზღუდული დროით და სივრცით, აქვს საშუალება, გამოიყენოს ყველა ლიტერატურული ხერხი, იქნება ეს ცნობიერებათა ნაკადი თუ მასალის ორგანიზების ასოციური მეთოდი. ვფიქრობ, რომ სწორედ ამან გამოიწვია სამუელ ბეკეტის, ევენ იონესკოს, ჰაინრიხ ბიოლის, ფრიდრიხ დიურენმატის, მაქს ფრიშის, ინგებორ ბახმანის, გიუნტერ აიხის, ჰაინერ მიულერის და სხვა არაერთი ცნობილი მწერლის დაინტერესება რადიოპიესით, რამაც ხელი შეუწყო ამ ჟანრის განვითარებასა და დამკვიდრებას.

რადიოპიესების საზღვარგარეთულ კონკურსებში სშირად მონაწილეობთ და, ამდენად, საინტერესოა თქვენი აზრი. რა განსხვავებაა ევროპულ და ქართულ რადიოდრამატურგიას შორის?

ევროპაში არაერთი დისკუსია გამართულა და იმართება რადიოთეატრის პერსპექტივაზე. ჩანერის ახალმა ტექნიკამ, ეფექტების გამოყენების არნახული საშუალებები შექმნა და ამით გატაცებული რეჟისორებმა მრავალი საინტერესო რადიოდრამატული შექმნეს, თუმცა, ამან მეორე პლანზე გადაწია ის, რამაც საფუძველი ჩაუყარა და პოპულარული გახდა რადიოთეატრი. ვგულისხმობ იმ დიდ მწერლებს, რომელთა ნაწარმოებებმა ხელოვნების დამოუკიდებელ ჟანრად აქციეს რადიოპიესა.

განსხვავება ალბათ აქ უნდა ვეძებოთ. ჩვენ უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ ავტორის ჩანაფიქრს, მსახიობებს და მათი დახმარებით ვცდილობთ, არ დავკარგოთ რადიოპიესის ძირითადი იდეა. სხვანაირად არც შეიძლება, რადიოპიესებს წერდნენ თამაზ ჭილაძე, ნუგზარ შატაიძე, გურამ დოჩანაშვილი. ახლა კი ჩვენს რეპერტუარშია: როსტომ ჩხეიძის, გურამ ოდიშარას, კოტე ჯანდიერის, მიხი მოსლემიძის, გაგა ნახუცრიშვილის, ბექა ქურხულის, კატო ჯავახიშვილის, ირაკლი ლომოურის, მაია სარიშვილის და კიდევ არაერთი ცნობილი და დამწყები ავტორების რადიოპიესები.

მოდი, შორეულ წარსულს გადავხედოთ. თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაქულტეტი გაქვთ დამთავრებული. ალბათ სშირად გახსენდებოთ პედაგოგები, თანაკურსელები, სადიპლომო სპექტაკლი.

ჩემი სწავლის პერიოდში თეატრალური ინსტიტუტი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პედაგოგების საუკეთესო კადრებს და პროფესიულ დაოსტატებასთან ერთად, იძლეოდა კარგ ზოგად განათლებას, განსაკუთრებით სარეჟისორო და თეატრმცოდნეობის ფაკულტეტებზე. გავდიოდით მსოფლიო ლიტერატურის, თეატრის, მუსიკისა და ხელოვნების ისტორიას, ფსიქოლოგიას, ფილოსოფიის საფუძვლებს, ხატვას, ცეკვას, ფარეკობას, მეტყველებას და რაც მთავარია, ლექციებს გვიკითხავდნენ: აკაკი განაურელია, რევაზ ნათაძე, კოტე მეღვინეთუხუცესი, მალიკო მრეველიშვილი. ელენე თოფურიძე, რუსუდან მიქელაძე, ირაკლი ციციშვილი, კონსტანტინე(კონო) ბადრიძე, ანატოლი ფეოდოროვი, ოთარ ფირალიშვილი და კიდევ არაერთი კარგი ლექტორი. იმ პერიოდში, სარეჟისორო ფაკულტეტზე მოხვედრა ძალიან ძნელი იყო. მიღება სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა და იღებდნენ მხოლოდ ხუთ კაცს. მე ბედმა გამიღიმა, რომ ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო უნიჭიერესი რეჟისორი დიმიტრი(დოდო) ალექსიძე, აგრეთვე იმან, რომ ჯგუფში, ჩემთან ერთად მოხვდნენ: ნოდარ მანაგაძე, ილო მაცხოვრავილი, თინათინ შონია, დავით ცისკარიშვილი და მიხილ ჭავჭავაძე, რომელიც შემდეგ გადავიდა სამხატვრო აკადემიაში და ცნობილი თეატრალური მხატვარი გახდა. მეორე კურსიდან კი შემოგვიერთდნენ თემურ ჩხეიძე და ლეილა ჯამბა.

საქართველოს პირველი მონვევის პარლამენტის დეპუტატი იყავით, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე გაქვთ ხელი მონწილეობით. როგორ აღმოჩნდით პარლამენტში?

ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო და მამყვება, რომ მომინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მონერა. პირველი მონვევის უზენაესი საბჭოს არჩევნების დროს არ იყო აუცილებელი პოლიტიკაში ყოფნა. მთავარი იყო, თუ რამდენად თანაუგრძობდი ეროვნულ მოძრაობას, როგორ აზროვნებდი, რამდენად თვლიდი თავს, რომ შეძლებდი, შენი წვლილი შეგეტანა იმ ცვლილებებში, რომლებიც საქართველოში უნდა მომხდარიყო, განსაკუთრებით 9 აპრილის შემდეგ, და რაც მთავარია, ბიოგრაფია არ უნდა დაგმძიმებინა კომუნისტური პარტიის წევრობით ან მათთან თანამშრომლობით. ეტყობა, მე ვაკმაყოფილებდი ამ მოთხოვნებს და ამიტომაც მოვხვედი მრგვალი მაგიდის საარჩევნო სიაში, ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირის წარდგენით.

რა არ მოგწონთ თანამედროვე ქართული პოლიტიკის რეჟისურაში?

რაც არ არსებობს, იმას ვერც მოიწონებ და ვერც დაინუნებ. თუ ხანდახან რას მაგონებს, ამას პირდაპირ ვერ ვიტყვი, იმათ კი, ვისაც აინტერესებს, შეუძლიათ ნახონ ცნობილი ამერიკელი რეჟისორის სტენლი კრამერის ფილმოგრაფია და, ალბათ, ფილმების დასახელებაში იპოვიან პასუხს.

60-იან წლებში სოხუმის თეატრში მუშაობდით. ხომ არ გაისვენებდით იმ პერიოდს?

სოხუმში სულ ორ წელიწად-ნახევარი ვიმუშავე და ეს წლები ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია. იქ დავეიცეთ დამოუკიდებელი ცხოვრება მე და ჩემმა მეუღლემ, იქ აიღვა ფეხი ჩემმა შვილმა, იქ განვახორციელე პირველი სპექტაკლები. სოხუმის თეატრის დასი ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში: თამარ ჭავჭავაძე, ნინო ლაფაჩი, მიხილ ჩუბინიძე, ვიქტორ ნინიძე, ტარასი ხორავა, თინა ბოლქვაძე, ვენერა ნეფარიძე, ლეო ფილფანი, შოთა გაბედაშვილი და კიდევ არაერთი ნიჭიერი მსახიობი მოღვაწეობდა იმ შესანიშნავ თეატრში. მათთან მუშაობა ბევრი რამ მასწავლა. მე და ანზორ ქუთათელაძემ დავდგით ოთარ ჩხეიძის პიესა „ძველი რომანსები“, სადაც მთავარი როლები შესანიშნავად შეასრულეს: ზეინაბ გზირიშვილი, მიმა ჩუბინიძე, ვიქტორ ნინიძე, ვენერა ნეფარიძე. ასევე დავდგი ჯონ პატრიკის „უცნაური მისის სვეიჯი“, მისი სვეიჯის როლს ასრულებდა თამარ ჭავჭავაძე. მაგრამ მთავარი თვითონ სოხუმი იყო. ულამაზესი, განუმეორებელი ქალაქი. თეთრი, ქათქათა ქალაქი და მწვანე პალმა, და კიდევ განუმეორებელი სურნელი ზღვისა და ყვისი, რაღაც საოცარად შეზავებული, მხოლოდ სოხუმისთვის დამახასიათებელი. სშირად მესიზმრება სოხუმში, რომ თითქოს ყველაფერი ძველებურადაა და თავისუფლად დავესერნობ ქალაქში, ვნახულობ ნაცნობ ადგილებს, ვხვდები იქ შექმნილ მეგობრებს. მეღვიძება და ისევ ვხუჭავ თვალებს, სიზმრის გაგრძელება მინდა.

მე რომ ასე განვიცდი, წარმომიდგენია, რა დღეში არიან იქ დაბადებული და გაზრდილი ადამიანები, ძირძველი სოხუმელები...

მინდა აღვნიშნო გურამ ოდიშარას დიდი ღვაწლი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენის მცდელობაში. მისი შესანიშნავი რომანი „პროზიდენტის კატა“ ეძღვნება გამოჩენილ მოღვაწეს და კოლორიტულ პიროვნებას მიხილ ბლაჟუას.

ბოლო დროს აქტიურად მუშაობთ პროზაში. მოთხრობების ახალ კრებულსაც ხომ არ ამზადებთ?

აქტიურობის რა მოგახსენოთ, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, ის დრო, რაც კიდევ დამრჩენია, დავუთმო ლიტერატურას. მაქვს რამდენიმე მოთხრობის მონახაზი, მინდა მხატვრულ-დოკუმენტური რომანის დაწერა იმ მოვლენებზე, რისი მომსწრეც ვყოფილვარ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, სურვილი სურვილად რჩება.

ბოლო დროს სშირად ვეკითხები საკუთარ თავს, შევძელი თუ არა იმის გაკეთება, რაც უნდა გამეკეთებინა და აქვს თუ არა მას რაიმე ღირებულება?

და ღირდა კი?!

ამ კითხვაზე პასუხი, ალბათ, არ არსებობს.

ესაუბრა

ივანე ამირხანაშვილი

ლევან ბრეხაძე

არბისის ბრეხაძე

ერთი ლექსის ანალიზი

„ზღაპარულსა“ – ასე ჰქვია გურამ პეტრიაშვილის ლექსების ერთ ციკლს, რომელიც რამდენიმე ნაწარმოებს აერთიანებს. მათი გაცნობისას, უპირველეს ყოვლისა, თვალში გეცემათ ის, რომ ყოველ მათგანში არარეალური ამბავია მოთხრობილი (ესენი ფაბულისა და სიუჟეტის მქონე პოეტური ტექსტებია, ურთიმო, თავისუფალი რიტმებით შესრულებული, ვერლიბრებია რომ იწოდებიან). ავტორის მიერ შემოთავაზებული ვითარებების პირობითი ხასიათი აშკარაა. ამ ლექსებში დახატული მოვლენები უცხოა მკითხველისთვის, მსგავსი რამ მას ცხოვრებაში არსად უნახავს, არ სმენია, არ განუცდილა; იგი აღმოჩნდა უცხო სამყაროში, სადაც ცხოვრებისაგან განსხვავებული კანონები მოქმედებს. არ შეგძლია წინასწარ ვივარაუდო, როგორ განვითარდება მოქმედება, რას რა მოჰყვება...

აშკარაა: ეს ლექსები მხატვრული გაუცხოების მეთოდის ლიტერატურას მიეკუთვნება. საქმე გვაქვს ანტილუზიური, ანტიმიმეტური, „ეპიკური“ ხელოვნების ნიმუშებთან.

ტრადიციული, არისტოტელედან მომდინარე პოეტის თანახმად, ასეთი ნაწარმოებები არც კი ჩაითვლება ხელოვნებად, რადგან ტრადიციულ ხელოვნებას საფუძვლად მიმდის, მიბაძვა უდევს, მიბაძვა სინამდვილის, ცხოვრების, ბუნების. მიმდის, თავის მხრივ, ხელოვნების ნაწარმოების აღქმულში ინვესტანაგანცდას. მკითხველი, მაყურებელი თავის თავს აიგივებს ნაწარმოების გმირთან (თუ ლექსია, „ლირიკულ გმირთან“), მასთან ერთად იტანჯება და იღვწის, რასაც კათარსისი, სულიერი განწმენდა მოჰყვება, კლასიკური ხელოვნების ეს უზენაესი მიზანი.

მაგრამ ანტილუზიური, „ეპიკური“ ხელოვნების მიმდევართა აზრით, თანაგანცდა და კათარსისი ხელს უშლის ხელოვანის მიერ ასახული სინამდვილის მიმართ მკითხველში ან მაყურებელში განსჯითი, ანალიტიკური, კრიტიკული დამოკიდებულების გამოშუშებას, მოვლენის არსში წვდომას, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანი აქტიურად ჩაერიოს ცხოვრებაში, აქტიურად გარდაქმნას იგი ჰუმანიზმისა და პროგრესის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ანტიმიმეტური, „ეპიკური“, ან სხვანაირად, მხატვრული გაუცხოების პოეტის პრინციპები, ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. მხატვრული გაუცხოების ელემენტები მოიპოვება „ძველი“ ხელოვნების

წილიდან (ქართული ლიტერატურიდან, მაგალითად, რუსთაველთან და საბასთან), მაგრამ თანამედვერული მოძღვრების სახით ეს პრინციპები პირველად ბერტოლტ ბრეხტმა ჩამოაყალიბა.

ქართული სინამდვილიდან ამ მანერით შესრულებულ ხელოვნების ნაწარმოებთა შორის შეიძლება დავასახლოთ ვლადიმერ სიხარულიძის მოთხრობა „მეათე მონღე“, რეზო გაბრიაძისა და ელდარ შენგელაიას ფილმი „შერეკილები“, მიხეილ კობახიძის ფილმი „ქორწილი“, რეჟისორ რობერტ სტურუას შემოქმედება. რეალობა ამგვარ ნაწარმოებებში დეფორმირებული სახითაა მოცემული. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვაზე იქნება პასუხი გასაცემი. რა აიძულებს შემოქმედს სინამდვილის მიბაძვის მაგივრად რეალურისაგან სრულიად განსხვავებული სიტუაციები და სახეები შემოგვთავაზოს? ნებისმიერად ხდება ეს დეფორმაცია თუ რაიმე კანონზომიერებას ემორჩილება და ერთი გარკვეული მიმართულებით მიმდინარეობს? და ბოლოს: რა მიზანს ემსახურება ამ შემთხვევაში რეალობის დეფორმირება?

პასუხი ასეთია: მოვლენის არსის ნათლად წარმოჩენას ემსახურება.

გავერკვეთ ამ პარადოქსში.

არსისა და მოვლენის დიალექტიკიდან ვიცით, რომ არსი ვერასოდეს ახერხებს, სრულყოფილად წარმოჩენდეს მოვლენაში. არსი ყოველთვის მოვლენის სიღრმეშია საძიებელი, მოვლენით არის შენიღბული. არსის ამოცნობა მოვლენის მიღმა ხან ადვილია, ხან ძნელი, მაგრამ იგი ყოველთვის მოვლენით არის გაშუალებული. ცხოვრებასა და ტრადიციულ ხელოვნებაში მოვლენის მიხედვით ხდება არსის კონსტრუირება (აბსტრაქტული აზროვნების გზით), ასეთ ნაწარმოებებში კი პირიქით: არსის მიხედვით ხდება მოვლენის კონსტრუირება (მხატვრული აბსტრაქციის მეშვეობით). ავტორი ამ თავისი ექსპერიმენტით თითქოს გვეუბნება: მოდით, ვნახოთ, რა მოხდებოდა, არსი რომ სრულყოფილად წარმოსახულიყო მოვლენაში, და მხატვრულ სახეში ახერხებს არსსა და მოვლენას შორის წინააღმდეგობის გაუქმებას: აქ არსი იგივე მოვლენაა და მოვლენა იგივე არსია. თუ სინამდვილეში მოვლენა ახდენს არსის დეფორმირებას, რაც არსის ამოცნობას აძნელებს, ამგვარ ნაწარმოებში არსის სასარგებლოდ ხდება მოვლენის დეფორმირება, რათა მთელი სისრულით წარმოჩენდეს ის, რაც ძირეულია, სიღრმისეულია, რაც დაფარულია.

გურამ პეტრიაშვილის „ზღაპარულსა“ ციკლში არის ერთი მოზრდილი ლექსი სათაურით „არტისტი“ რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ იგი სწორედ აქტიური და არამიმეტური ხელოვნების შეპირისპირების საკითხს ეძღვნება. ვნახოთ, რა ფორმით ხდება ეს.

„ის ნამდვილი არტისტი იყო“, – გვეუბნება პირველ სტრიქონშივე ავტორი და შემდეგ

თავისი ამ პერსონაჟის სამსახიბო ოსტატობის წარმოსაჩენად ასეთ ამბავს იხსენებს: „ერთხელ, სპექტაკლში, / დიდი სახლიდან / ვინრო ქუჩაზე / რომ გამოვადეს, / ჩამტვრეული ფარნის ძირში / მიიყუჟა ისე საბრალოდ, / ძველ პალტოში გამოხვეული / ხელებს უბეში / მალავდა / ისე, / სცენაზე / მართლა / მოვიდა / თოვლი“.

რეალობის დეფორმირება ამაზე შორს ძნელად თუ წავა. დარღვეულია მიზეზ-შედეგობრიობა: სინამდვილეში თოვლი ინვესტის სიცივის შეგრძნებას, აქ კი სიცივის განცდის იმიტირება ინვესტის თოვას. პარადოქსულია, რომ ანტიმიმეტური საშუალებებით ამ ლექსში მიმეტური თეატრის მსახიბოს ოსტატობაა დახატული, რაც, სხვათა შორის, გაუცხოების ეფექტზე დამყარებული ლიტერატურის უაღრესად ფართო შესაძლებლობებზე მეტყველებს.

[მცირე მეშაურული გადახვევა: თავიდან მეგონა, რომ ეს ლექსი იქ უნდა დამთავრებულიყო, სადაც ზემოთ მისი ციტირება შეწყვეტილი, ვინაიდან იმაზე შთამბეჭდავი მხატვრული სახე (ჰიპერბოლა), რითაც ეს მონაკვეთი მთავრდება, შემდეგ მთელ ლექსში აღარსად გვხვდება. კლასიკური კომპოზიციის კანონის თანახმად კი, ბოლო „კორდი“ ყველაზე ეფექტური უნდა იყოს. ეს ვუთხარი კიდევაც მის ავტორს ლექსის ნაკითხვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, რაზედაც მას რეაგირება არ მოუხდენია, თუ არ ჩავთვლით ტუჩის კუთხეში ნამიერად გამკრთალ ძლივს შესამჩნევ ლიმოს. კარგა ხანი გავიდა, ვიდრე მიხვდები, რომ ვცდებოდი, რაც, წესით, არ უნდა მომსვლოდა, ვინაიდან იმ დროს უკვე კარგად ვერკეოდი მხატვრული გაუცხოების თავისებურებებში – ამგვარი ხელოვნების „ენა“ უკვე ვიცოდი. იქ რომ დამთავრებულიყო, სადაც წელან კითხვა შეწყვეტილი, ეს, უბრალოდ, კარგი ლექსი იქნებოდა, მაგრამ იმ გაგრძელებითურთ, რაზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ, ძალიან კარგ ლექსთან გვაქვს საქმე, დიდ ლექსთან, ჩემი აზრით, მე-20 საუკუნეში დაწერილ ერთ-ერთ საუკეთესო ლექსთან, იმის გათვალისწინებით, რომ მასში დიდი ოსტატობით არის გადმოცემული სწორედ მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ესთეტიკური „ჯახის“ არსი, – არსი კონფლიქტისა, ავანგარდისტულ ესთეტიკურ მოძღვრებასა და მანამდე გაბატონებულ, მრავალსაუკუნოებრივი ტრადიციის მქონე სახელოვნებო თეორიას შორის რომ მოხდა].

მოკლედ, არტისტის ტრაგედიაზე გვიამბობს ეს ლექსი, მიმეტური ხელოვნების წარმომადგენელი მსახიბოს ტრაგედიაზე.

თოვლის სიმბოლიკა ადვილი გასახსნელია – „თოვლის ბუქი / მოედო დარბაზს. / შესცივდა პარტისს / და თბილ ლოყებშიც / შევალნიეს სუსხიანმა / ფიფქებმა / ბოლოს...“ – რაც, ცხადია, აქ იმას ნიშნავს, რომ მსახიობმა მაყურებელს სუსხიანი სიმართლე უთხრა – მწვავე სოციალურ პრობლემას მის გათვით. როგორია მაყურებლის

რეაქცია? იგი გაურბის სიცივის, ტოვებს თეატრს (ესე იგი, არ სურს გააცნობიეროს ხელოვანის მიერ მოწოდებული სიმართლე). მაგრამ თოვა არ წყდება, თოვს და თოვს: „ალარ შემწყდარა სცენაზე თოვა / და ამიტომ / ჯერ დანგრევას უპირებდნენ / საერთოდ / თეატრს, / შემდეგ კი...“ – შემდეგ კი, რაკი თოვლისაგან თავის დაღწევა შეუძლებელი გახდა, ხალხმა, რომელსაც ჯოჯოხება არ სურს, თვალი გაუსწოროს სინამდვილეს და ამ შემანუხებელი ვითარების მიზეზებზე დაფიქრდეს, ასეთი ადაპტაცია (შეგუება) მოახდინა: თოვლისაგან ტკილილი, გემრიელი ნაყინის დამზადება დაიწყო და სიამოვნებით შეექცეოდნენ ხოლმე. ბედის ირონია კულმინაციას მიაღწია, როცა მაღლივმა ხალხმა ამ ნაყინის მსახიობის სახელი უწოდა, რის გამოც ხელოვანს ჯავრით გაუსკდა გული.

დედააზრი ნათელია: მიმეტური ხელოვნების წარმომადგენელმა ვერ აიძულა მაყურებელი ანალიტიკურად განწყობილიყო სცენაზე წარმოსახული სინამდვილის მიმართ, რაც არასასურველი რეალობის შეცვლის წინაპირობა უნდა გამხდარიყო. ამაში მას ხელი შეუშალა სინამდვილესთან მაქსიმალურად მიახლოებული სცენური სახის შექმნამ, რამაც უძლიერესი თანაგანცდა გამოიწვია, ვეღარ მოხერხდა სცენაზე წარმოდგენილ ვითარებასთან დისტანციური დამოკიდებულების დამყარება, ამის გარეშე კი ცხოვრების გარდამქმნელი სერიოზული მოღვაწეობა ადამიანს ძალიან უჭირს.

P. S.

ამ ლექსმა გამახსენა მიმეტური ხელოვნების უდიდესი წარმომადგენლის მიქელანჯელო ბუენაროტის ნუხილი, მეტიც, აღფრთოვანა (რაც მან ლექსის ფორმითაც გამოთქვა) იმის გამო, რომ სწორად ვერ გაიგეს მისი „ღამე“ (მძინარე ქალის ქანდაკება მედირების სამლოცველოში), იდილოურად განმარტეს იგი – „ისე ნამდვილია, გგონია, გაიღვიძებს და ხმას გამცემსო“, – მაშინ, როცა, ხელოვანის ჩანაფიქრით, ეს ქანდაკება თურმე პროტესტია საერთოდ გაღვიძების წინააღმდეგ (იმდენად ვერ ეგუებოდა დიდი შემოქმედი თავის გარემომცველ სინამდვილეს). ასეთი გაუგებრობა გამოიწვია ანტილუზიური ხელოვნებაში, სადაც, როგორც ვნახეთ, არსის მიხედვით ხდება მოვლენის კონსტრუირება.

P.P.S.

მიქელანჯელოს ზემოთ ნახსენები ლექსი ნიკო ლორთქიფანიძეს უთარგმნია და ეპიგრაფად წაუშეღვარებია 1909 წელს გამოქვეყნებული შესანიშნავი მინიატურისთვის, რომლის სათაურია „მრცხვენი“. ეს ლექსი-კომენტარი ნიკო ლორთქიფანიძის თარგმანში ასე უღერს: „ტკილილი ძილი, უტკივისა გაქვავება ჟამსა საქრახსა და სახელის გატყვისას. არაფერი დავიხსო, არაფერი ვიგრძნო – აი ჩემი ნეტარება. მაშ, ნუ მალვიძებ, წყნარად ილაპარაკე“.

1981-2023

პაპიაშვილის დიდი პრობლემა

– თეკლა, ვერ გცნობ!

ვერც მე ვცნობ ჩემს თავს, გავიფიქრე ჩემთვის. არასდროს ვიყავი კმაყოფილი ჩემი გარეგნობით, რაზეც თანატოლები მუდმივად მიმახვილებდნენ ყურადღებას, მათი თქმით, სუმრობდნენ.

ნუთუ ჩვენ ვირჩევთ გარეგნობას? რა ჩვენი ბრალია, რომ ვერ ვჯდებით სილამაზის სტანდარტებში? საბოლოოდ ყველა საკუთარ თავზე ფიქრით იძინებს, არავის აინტერესებს, ვინ ხარ, როგორ ხარ. იღვიძებენ, იქმნიან იმიჯს, წარმოაჩენენ თავს ისეთს, როგორსაც უნდათ, რომ ხედავდნენ.

ზოგადად სილამაზის სტანდარტები არსებობს, მაგრამ ყველა უნიკალურს აქვს ნაკლი, რომელიც ამ სტანდარტებიდან ამოვადებს. „იქნებ სულაც არ უნდა წვიმას, რომ ცუდი ამინდი ერქვას?“

ცხოვრებაში მთავარი მაინც თავდაჯერებულობაა. ეს ნიშნავს, ენდობოდე საკუთარ თავს, საკუთარ ფიქრებს. გრძნობდე შენს აზრებთან თავს კომფორტულად. თვითშეფასებაზე მოქმედებს გარემოც. ისმენდე უცხო ადამიანების აზრს შენს განსხვავებულობაზე, კარგს არაფერს შეგმატებს. მათ, ვინც ნაკლებ გიმეხვილებენ ყურადღებას, დაბალი თვითშეფასება აქვთ და ცდილობენ ხელოვნური იმიჯით თავიანთი რეალური სახე დამალონ.

რისი შიში გაქვთ, რომ განგხვან იმისთვის, რასაც შენ არ ირჩევ? რაც მეტს მოითმენ, მით უფრო გაირთულე მდგომარეობას. გამოსავალი მსგავსი ადამიანებისგან, რომლებსგანაც, ნეგატივის გარდა, არაფერი მოდის, თავის შორს დაჭყრა, ან მათი აზრის „გატარება“.

„სული ჩიტის“ ნაკითხვის შემდეგ ჩემსავე პრობლემებს სხვისი თვლით შევხედე. ბიჭს, რომლისთვისაც არავის ეცალა, ის რჩევა მივეცი, რომელსაც თვითონვე ვერ ვიყენებ. კლასელებთან კომუნიკაცია არასდროს გამომდიოდა. მას შემდეგ, რაც სკოლა გამოვიცვალე, განსხვავებულ გარემოში აღმოვჩნდი. იქ, სადაც ყურადღებას მხოლოდ თვლით დანახულ სამყაროს აქცევდნენ.

იტანდა ჩაგვრას იმაზე, რასაც ვერ შეცვლი, გიჩენს გაურკვეველ გრძობას, რომელიც თავს არასრულყოფილად გაგრძნობინებს. სრულყოფილება არ არსებობს. ფიქრსაც შეუძლია ცოცხალი ფეხი ჩადგას.

კომუნიკაცია მთავარია. ურთიერთობა მაშინ დგება, როდესაც ერთმანეთისგან დადებით ემოციას ვიღებთ და არა მხოლოდ საუბარი.

ახალ სკოლაში წინა წელს გადმოვედი. დამრიგებელმა გაცნობიდან ორ თვეში „სული ჩიტის“ ნაკითხვა მიჩნია და მითხრა, საკუთარ თავს აღმოაჩენო. ვკითხულობდი და ჩემსავე ფიქრებს ვესაუბრებოდი. სიამოვნებას ვიღებდი იმით, რომ არ ვარ მარტო და წიგნის პერსონაჟსაც ესმის ჩემი.

როდესაც ინტელექტის კონკურსის შესახებ გავიგე და წასაკითხ წიგნებში „სული ჩიტს“ მოკვარი თვლი მივხვდი, რომ დრო იყო ხმა ამომელო, მესაუბრა იმაზე, რისი მსხვერპლი ლუკას მსგავსად მეც ვიყავი.

პატარა წიგნში დევს იმხელა პრობლემა, რომელიც თითოეულ მკითხველს გააჩნია.

„აუცილებლად ახალი წელი უნდა იყოს, რომ მშობლებს ბავშვებისთვის ეცალოთ?“

ორი ადამიანის ურთიერთობას მრავალი მხარე აქვს. ოჯახური პრობლემები ადამიანის მდგომარეობასა და მენტალიტეტზე აისახება. ოჯახი არის გარემო, სადაც იზრდები ისე, როგორც მშობლები თვლიან სწორად. უმრავლესობის მენტალიტატი სწორედ რა ოჯახიდანაა. ოჯახის წევრებთან კამათი ნორმალურია, მაგრამ კონფლიქტის დროს ყოველთვის მათ მდგომარეობაში უნდა შევიდეთ და მათი თვლით უნდა შევხედოთ ჩვენს პოზიციას...

მშობლების ყურადღების ნაკლებობამ, ან მშობლის არ ჩართულობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბავშვის ფსიქიკაზე, ქცევებზე და განვითარებაზე.

ზოგს უმართლებს, ზოგს კი არა, რადგან უფროსების ნაწილს არც ადარდებს ბავშვის სულიერი მდგომარეობა. ლუკას შემთხვევაში მისი მშობლები ნუხდნენ, რადგან ვერ აქცევდნენ საკმარის ყურადღებას. ბავშვისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო ოჯახის წევრებისგან სითბო და ყურადღება მისი ასაკისა და მოთხოვნების გამო, რომ ბოლომდე ვერ შედიოდა ამბზრდებულების მდგომარეობაში.

„დედა, ერთი სული მაქვს, როდის გაიზრდება დათი, რომ მეც ცოტა მეტად მომაქციო ყურადღება.“

ნაკითხვის შემდეგ გავაზრე, რომ არ უნდა გეწყინოს, თუ აღმოაჩენ, რომ ყველა ისეთი არ ყოფილა, როგორც გეგონა და თითოეულ ქცევას აქვს მიზეზი, რომელიც ადამიანის კარგად გაცნობის შემდეგ იჩენს თავს.

თბილისის საერთაშორისო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
თეკლა სამსონია

საქართველოს აკადემიურმა გამომცემლობამ („საგა“, თბილისი, 2023) დასტამბა ინგუ ჭუმბურიძის სადებუტო კრებული „გაუგზავნილი ბარათები“. მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ტექსტს კრებიდან, რომლის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი რაულ ჩილაჩავა.

როცა ერთი წლის წინ აღმოდებულ კივს ვტოვებდი ოჯახთან ერთად, გზადაგზა ფეისბუქზე პატარა-პატარა პოსტებს ვდებდი, სადაც ვყვებოდი ომის სამინელებით. გამონცეულ-განცდებზე, იმ ფაქტორებზე, რომელთაგან ნადავს თავის დაღწევა გეინებდა. მაშინ ძალიან ბევრი ადამიანი მეხმინებებოდა საქართველოდან, მწერდნენ ნაცნობები. და უცნობები, მამხნეებდნენ, მალე სამშვიდობოს გასვლას და შინ უფლებად დაბრუნებას მისურვებდნენ. მათ შორის იყო ერთი სათნო ქალბატონი, სურათის მიხედვით თუ ვიძსჯელებდით, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, რომელიც ლოცვასავით ამალეულ და გულთბილ სტრიქონებს არ იშურებდა ჩვენთვის. სურათს სახელის და გვარის ნაცვლად „ქართულის მასწავლებელი“ ეწერა, თუმცა ტექსტების მიხედვით ისედაც ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მათი ავტორი ნაზირაბი მშობლიური ენისა და ლიტერატურის მადლს. კარგა ხნის მერე, როცა ღვთის შენეებით შინ ჩამოვალნივ და ახლად-შენებულ სოფლის სახლში ვცხოვრობდი, დავინწყე ჩემი ფეისბუქსამეგობროს წმენდა, რომელიც საკმაოდ გადავსე-

სიგლი ინგუ ჭუმბურიძის „გაუგზავნილი ბარათების“

ბულიყო „მკედარი სულელებით“. გამოთავისუფლებული ადგილები ბოლო შემოთავაზებებით შევავსე და ის იყო ტელეფონის დახურვას ვაპირებდი, რომ შეტყობინება მომივიდა: „დიდი მადლობა მეგობრობისთვის, ის ქართულის მასწავლებელი, პოსტებს რომ გიკომენტარებდათ, მე ვარ, ინგუ ჭუმბურიძე“. შევედი მის გვერდზე და დიდი დრო არ დამჭირებია დასარწმუნებლად, რომ მოვხვდი ინტელიგენტურ და გულითად გარემოში, სადაც სიმშვიდე, ჰარმონია და კეთილგანწყობა სუფევდა. თვალში მომხვდა შიგადაშიგ მიმოხეული „გაუგზავნილი ბარათების“ ორიგინალური სერია, სადაც ავტორი ხაზგასმული სისადავით, შინაგანი სისპეტაკითა და საშური გულახდილობით წერდა ყველაფერზე, რასაც ოდესმე მისი გული შეუტოვებია, სულის სიმები შეურჩევია, გონებისთვის საფიქრალი გაუჩენია. როცა ინგუ ჩვენს თბილისურ ბინაში ჩაპასთან გასაცნობად გვეწვია მე და ჩემს ვაჟს თემურს, მე მას სხვათაშორის ვუთხარი, რომ ძალიან მომწონს მისი ლექსები, მაგრამ მან მაშინვე კატეგორიულად უარჰყო ჩემი დეფინიცია და თქვა, ესენი მართლაც მხოლოდ ბარათებია, რომლებსაც წლების მანძილზე მარტო საკუთარი თავისთვის ვწერდი და პოეტობის პრეტენზია არასოდეს მქონიაო (ამაზე იგი აქ თანდართულ საკუთარ წინასიტყვაობაში დაწვრილებით წერს და ამიტომ აღარ გავაგრძე-

ლეს). მომწონდა მისი თავმდაბლობა და არ დაუწყებია საპირისპიროს მტკიცება, თუმცა მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, რომ ეს ბარათები ნამდვილი პოეზიაა, მიუხედავად იმისა, ვუნდებოდა თუ არა მათ მაინცდამაინც ლექსებს. მათთვის ნიშნულია მკვეთრად გამორჩეული სტილისტიკა, სიტყვათარმოება, ორიგინალური სინტაქსი და ლექსიკა, შინაგანი მუსიკა და ბგერწერა. ეს ბარათები ნიჟარასავით ყურთან ახლოს უნდა მიიტანო, რომ მოგესმას, თუ როგორ ხმაურობს ნუთისოფლის ზღვა, როგორ ეხლებიან მისი ტალღები ავტორის სულის საუფლოს. სხვათაშორის, პოეზიის მრავალ განსაზღვრებათა შორის მე გამორჩეულად მომწონს ცნობილი ინგლისელი პოეტის სამუელ კოლრიჯის განმარტება: „პოეზია არის საუკეთესო სიტყვების საუკეთესო თანმიმდევრობით განლაგება“. და ეს აქ იმიტომ გავიხსენებ, რომ ინგუ ჭუმბურიძემ იცის არა მარტო საუკეთესო სიტყვები, არამედ მათი საუკეთესოდ განლაგებაც. ამაში განსაკუთრებით დავრწმუნდი, როცა ხსენებულ „ბარათებს“ ერთხელ კიდევ დაკვირვებით გადავავლე თვალი, ამჯერად უკვე გამოსაცემად გამზადებულს. საბოლოოდ მივხვდი, რომ ჩემს წინ იყო სრულიად ორიგინალური ხილვებით, ემოციებით, ექსპრესიით აღსავსე ლირიკული ავტობიოგრაფია ადამიანისა, რომლის სათუთ ხსოვნასაც გავლილი ცხოვრ-

ბის მრავალი მნიშვნელოვანი დეტალი დაუმახსოვრებია, თავისებურებად გაუაზრებია და გადმოუცია. აქაა სინარულიც, სევდაც, სინანულიც, წყენაც, გულგატეხილობაც, იმედიც, ახლობელი ადამიანების მოფერება, მათთან განმორებით გამოწვეული ტკივილიც და, რა თქმა უნდა, ხალასი და სპეტაკი სიყვარული, როგორც მთავარი იმპულსი, კატალიზატორი და შემოქმედებითი შთაგონების უმრეტეი წყარო.

პირადად ჩემთვის და, ალბათ, პოეზიის ყველა ჭეშმარიტი დამფასებლისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის გულწრფელობა, როგორც იტყვიან, სათქმელის ბოლო ნერვამდე გამოშვლება. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ფემინიზმის ბევრ მიმდევარს სიტყვა „გამიშვლება“, სამწუხაროდ, პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია და მოურიდებლად წერს ყველაფერს, რაც ენაზე მოადგება. პურიტანი სულაც არა ვარ და ქართული ენის მარაგსაც საკმაოდ ვფლობ, მაგრამ მიმაჩნია, რომ სათქმელის სრულად გამოსახატავად სულაც არაა აუცილებელი სკაბრეზი, ბილსიტყვაობა. ეს რომ ასეა, სრული სისავსით მოწმობს თუნდაც ინგუ ჭუმბურიძის აქ წარმოდგენილი ტექსტებიც, რომლებსაც ბევრ სხვა ღირსებასთან ერთად ქართულის ღრმა ცოდნა და მისადმი დიდი მონივნაც გამოარჩევს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კრებულში ვერ შეხვდებით მიძღვნებს,

უდავოა: ყველა ბარათს ჰყავს საკუთარი ადრესატი, ზოგი კონკრეტული და რეალური, ზოგიც წარმოსახვითი ჩამოქნილი – ჩამოძერწილი, მაგრამ მათი საერთო ხილი და მიმზიდველობა იმაშია, რომ მკითხველს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, რომ სულაც მას ეკუთვნის ეს წლობით ნალოლიალები გზავნილები, რომლებმაც მიზეზთა გამო მხოლოდ ახლა მოაღწიეს საფოსტო ყუთამდე. იქნებ ეს ყველაფერი, რაც ზემოთ დავწერე, გულისყურით მკითხველს უჩემოდაც მშვენივრად შეენიშნა და თუ მაინც მოკვიდე კალამს ხელი და ეს მცირე წინათქმა დავწერე, მხოლოდ იმიტომ, რომ მადლობა მეთქვა მაშინ ჯერ კიდევ ინკოგნიტო ქართულის მასწავლებლისთვის, რომლის ლოცვებაც ომისთვის თავდაღწეულს თითქმის სამი კვირის მანძილზე მომაცილებდა საქართველოსკენ. ლოცვებს რომ სასწაულებრივი ძალა აქვთ, ყველამ ვიცით. ჰოდა, იქნებ სულაც ქართულის მასწავლებლის ლოცვებმა გადამარჩინეს იმ მოულოდნელად დატრიალებულ ქარბორბალს. ვალს გადახდა უნდაო და ახლა მე ვულოცავ გზას მის „გაუგზავნილ ბარათებს“. იმედი, ისინიც ისე მიაღწევენ დანიშნულების ადგილამდე, როგორც თითქმის ერთი წლის წინ მე მოვალნივ საქართველომდე.

რაულ ჩილაჩავა



ინგუ ჭუმბურიძე

ვტიროდი მაშინაც კი, როდესაც ძალიან მიხაროდა...
 ვტიროდი ჩემს უსუსურობას...
 ვტიროდი გასულეებსა და ცოცხლებს...
 ვტიროდი ჩემს უბედობასა და ბედნიერებას...
 გადიოდა დრო და ვხვდებოდი,
 რომ ადამიანების სულითა და სუნით
 გამთბარი დღეები ხელიდან კი არა,
 გულიდან, ხმელი ფოთლებივით
 მცვიოდა და მციოდა...
 სულ მციოდა...
 ადამიანების გარეშე მციოდა.
 დედამინა მშობიარობის დარ ტკივილებს უხმოდ, იმ იმედით
 ითმენდა,
 რომ ადამიანს გრძნობები, სუნი და სული დაუბრუნდებოდა და
 ღმერთჩასახლებულ არსებებთან თანაცხოვრებას დაიწყებდა...
 მაგრამ... ისევ მოლოდინის რეჟიმში...
 იყოს ნება შენი და არა – ჩვენი, უფალო!

მე ჩვენს ვხვდებით...

არ მოგესმათ...
 მე ქვებს ვაგროვებ!
 ქვების შემგროვებელი ვარ.
 ახლა თქვენ მკითხავთ:
 – რატომ?
 – საქმეს ვიოლებ...
 არა, უფრო ზუსტად, თქვენ მიიოლებთ საქმეს...
 მე თქვენგან ნასროლ ქვებს ვაგროვებ
 და სულ მახსოვს...
 სულ მახსოვს, ვინც ნაბორძიკებულს ხელი შემამშველა და...
 ჩემ გამო ღმერთივით ჯვარზე გააკრეს ან გაეკრა!
 მახსოვს...
 ისიც სულ მახსოვს, ვინც, ნაბორძიკებულს ხელი კი არ შემამშველა,
 ხელი მკრა, რადგან წელში გამართულს, ჩემი წელში მოხრა
 კუხად მოეჩვენა და, ამაყად მდგომმა, ქვებიც ზედ მომამყოლა.
 ჰოდა, იმ ქვებს ვაგროვებ, რა იცი, რა ხდება.
 იქნებ, მომავალში დაგჭირდეთ თანაგრძნობა და
 თქვენივე ნასროლი ქვებით
 თანადგომის ტაძარი აგიშენოთ!
 მე ქვებს ვაგროვებ...

შინ - ჩემსძვე

როცა შენიდან უგზო-უკვლოდ გარბის
 შენი უსხეულო „მე“ და მოგძახის:
 – დრო არ მაქვს,
 – ბევრი საქმე მაქვს.
 – მტკივა,
 – მცივა,
 – მშია,
 – მეშინია,
 – შინ
 – მე-შინ-ია...
 – მოგვიანებით...
 – მერე ...
 – მერე...

– მე რე ...
 – მერე მოგწერ!
 და მერე, სულ ელოდები იმ მერეს.
 – მერე დაგირეკავ!
 და სულ ელოდები ზარს.
 – მალე მოგიკითხავ!
 და სულ გგონია, რომ მალე იქნება ის მალე.
 – მარტო არ ვარ!
 და ელოდები, თავს როდის დაიმარტოხვლებს.
 – მალე განახავ! და მოლოდინს ბოლო არ უჩანს.
 – მტკივა! და ელოდები, როდის მიყურდება ტკივილი.
 – მილიონი საქმე მაქვს! და ითვლი მილიონამდე...
 – პანდემია გაივლის?..
 ამ ყველაფრის შემდეგ, კარის მიხურვას ვაპირებ და
 გაქცეული „მე“ მახსენებს, რომ მე ვჩქარობ.
 კარს ღიად ვტოვებ და ვიმედიანობ,
 რომ „მე“ და უტკივილო დღეები დაბრუნდება.
 შინ დაბრუნდება!
 შინ – ჩემამდე!

მხოლოდ შენზე მოფიქრავი...

შენ, ახლა, საავადმყოფოს მისაღებში წევხარ!
 მე აქ – ჯანდაბაში.
 – სადაა ეს ჯანდაბა, ნეტა?
 – სადაც ახლა მე ვარ!
 საკუთარ თავზე ვბრაზობ...
 ვნანობ...
 უკვე მე-14 დღეა, შენი ჰაერით არ მისუნთქავს...
 მთელი 14 დღე რამ გამაძლებინა...
 ისევ შენ!
 არადა, ყოველ ჯერზე, რა ახლოს ვიყავი, მაგრამ...
 მონატრება კარს მიღებდა, შენ კი კარს მირაზავდი...
 გულს არა – კარს...
 ახლა არ მძინავს.
 რა დამაძინებს, როცა შენ
 საავადმყოფოს მისაღებში წევხარ ...
 უმწეო...
 უიმედო...
 მაგრამ იმედით!
 უკვე მერამდენე დღეა
 მოგიკვი:
 ოღონდ, ოღონდ ...
 შენთან,
 შენთან,
 შენთვის...
 „არ ვარ კარგად,
 ასეთი არ მინდა მნახო...
 ასეთად არ დამიმახსოვრო...
 მაგრამ სულ გახსოვდეს...
 რომ ვარ!“
 სანთელს ვანთებ, მაგრამ
 ველარ ვლოცულობ...
 ყველა ხატიდან შენი სახე მიყურებს.
 ყველა ფსალმუნში შენი სახელი იკითხება,
 ყველგან შენ ხარ!

ინგუ ჭუმბურიძე დაიბადა 1973 წლის 19 ივლისს ქალაქ ჭიათურაში. 1990 წელს დაამთავრა ჭიათურის მე-5 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1996 წელს დაამთავრა ამავე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ცხოვრობს თბილისში. მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ინგუ ჭუმბურიძე

წიგნიდან „გაუგზავნილი ბარათები“

ნეტა, სამი ვიყო...
 ყველა ძარღვი, ნერვი, კაპილარი რომ გიხტის,
 კანს რომ სამოსივით იხდი, ტოვებ და საკუთარი თავიდან
 უკანმოუხედავად კი არ გადიხარ,
 გარბიხარ...
 გულს, სულს, ბოლო ამოსუნთქვას რომ ლანგარზე უწყობ
 და
 ის,
 აუღელვებლად
 ამბობს
 მადლობას
 ან
 საერთოდ არაფერს ამბობს...
 აი, ამ მომენტზე და ჩემს თავზე ვგიუდები ...
 ნეტა სამი ვიყო, სამმაგად მოვუშლიდი
 საკუთარ თავს ნერვებს!

მე
 მე ვგავდი ქარის წისქვილებთან მეგრძოლს,
 შეუპოვარს, მედგარსა და შემართულს.
 მაგრამ სული მუდამ ერთი მტირალა გოგოსი დამქონდა ...

►► ბაბრქალა. დსაწყისი "ლს. №3.4.5.6.7

ვეზარ კვიციანი

მოყვანილი კალის აზვანი

19.02.2014 – 27.02.2014. ნაირნაირი მწერები მუდამ იქცევიდა ჩემს ყურადღებას. გაცივდა კაცი, რამდენად ძლიერი სიცოცხლის უნარი ღვთის გაჩენილ არსებებში. 2013 წლის მინურულს, გვიანი შემოდგომით, ჩვენს ღია აივანზე დავინახე გაქვავებული კალია. ლამაზი იყო და გადასადგებად ვერ გავიმეტე. რადგან საამქვეყნო პირი არ უნანდა, მასზე, როგორც განწირულზე, 19 თებერვალს დავწერე ორსტროფიანი ლექსი („მავთულისგან შეკრული გეგონება“), რომელშიც სინანული გამოვთქვი:

ამოსვლა მზისა არაფრად უღირს, ფრენა-ტკაცუნში დღენი გალია... ხის აივანზე – ხეშეში, რუხი – გაფრთხილია მინდვრის კალია.

აქ არი გასულ შემოდგომიდან, სულგატვრენილი, დღემდე არ წახდა... დავცქერი, გადახატვა მომინდა – დაკეცილ ფრთების, თავის, ბარძაყთა.

ორი დღის შემდეგ გაირკვა, რომ შევმცდარვარ – მწერი გატოვდა, ფეხები გაარხია. ამან მაიძულა, აზრი შემეცვალა, უკან დავიხიე და დღიურში რამდენიმე წინადადება ჩავწერე, თავი ვიმართლე.

21.02.2014. მეტად უცნაური, დაუფრე-ბელი რამის მომხრე გავხდი. რუხი, საშუალო ზომის კალია, კარგა ხნის წინათ რომ ვნახე აივნის კუთხეში, ტახტთან და მკედარი მეგონა (კიდევაც გამოვიტირე), ცოცხალი გამოდგა. დილით, მზის ზოლში მოხვედრილი, კიდურებს ამოდრავებდა. ისე, უნდა მივმხვდარიყავი – გვერდზე გადაქანებული კი არ ეგდო, სტარტზე დამდგარივით შენკიპული და გაკრული იყო იატაკზე. ბაქარი განცვიფრებული დარჩა, წყალი ხომ არ მივცეთო, მითხრა და მზის გულზე გადააადგილა, უფრო რომ გამთბარიყო. წყალს რანაირად დაღვეს, ალბათ ნამს ისრუტავს-მეთქი. მე იგი მამრად ჩავთვალე და კალე დავარქვი.

მწერების უდიდეს მცოდნეს, ჟან ანრი ფაბრს რომ ენახა (აბა მე რას ვივარგებდი საამისოდ), ალბათ ახსნიდა ამ მოვლენას, მის მექანიზმს. შენუხებულმა სხვა, იმავე ზომის საბოდმო ლექსი დავწერე ჩვენი აივნის საკვირველ სტუმარზე და აქვე მოვიტანე:

მკვდრით აღმდგარი

ყოველს განაგებს მზე – ძალა ზემო, მოგელამუნა სიცოცხლის ქარი; ზოდის მოგხიდი, კალია ჩემო, რომ ორი დღის წინ მეგონე მკვდარი.

როდის მოვისმენ შენს ხმას, ზარიანს, ბორბის ლანდი გაშინებს აღარ; თავნამახული, რაც მთავარია, ყვითლად მოხატულ ცაცებზე დგახარ.

[პანანინა იმედს ისევ ვებლაუჭებოდი. ამ უბედურის შეჭირვებამ არ მომასვენა და მეორე დღესაც ჩავწერე, როგორ ვზრუნავდი მასზე, რასაც ერთი დღიური მოუნდა. ყველაფერი ასე იყო. გადაჭარბებული აქ არაფერია.]

22.02.2014. ჯავრად ჩამყვა, ძალზე მანუხებს მდგომარეობა საცოდავი კალიასი, რომელიც ჩვენს გამტვერილი აივანზე შემოვადო ცივმა ქარმა და ამდენი ხანი მოკუნკული ზის. მას მერე, რაც სიცოცხლის ცოტაოდენი ნიშანი გამოამჟღავნა, დილაობით ვცდილობ, მზეში მოვაქციო. ბაქარმა რაღაცა დაუგო და წყლის წვეთებიც დააპყრა, ეგებ სწყურიაო. არის საწყალი გაყურებული, სასმელს არ ითხოვს და საჭმელს. მანვე მწერად, ნათესების გამანადგურებლად ითვლება. მაგრამ ახლა ისეა, ქვის გული უნდა გედოს მკერდში,

ნიგნილან – „ჩქანითელის გეგონი“

რომ არ შეგებრალოს. ის კი არადა, რომ შეიძლებოდა, ციციქნა თავზე გადავუსვამდი ხელს, მივეფერებოდი, ამნაირ გამძლეობას რახან იჩენს. ბრემი, რალა თქმა უნდა, ბევრად მიმზიდველად, ხატოვნად აღწერდა მის არასახარბიელო ყოფას. ჟან კოკტოც, როგორც ერთხელ გააკეთა, პანია გალიას უშოვიდა და გაათბობდა. მთავარია, როგორმე გაზაფხულამდე, მზის მცხუნვარებამდე მიატანოს და მერე ეგებ კიდევაც გაფრინდეს. დაემშვიდებოდა, როცა ჩემი თვალსაწიერიდან გაქრება. ამ უცნაური ქმნილების ზამთარში გამოჩენა მოწმობს, რამდენად ჯიუტი და ძნელად დასათმობია სიცოცხლე. უდიდესმა ინგლისელმა ლირიკოსმა ჯონ კიტსმა ლუმელთან ჩაბუდებულ ქრიჭინაზე სახელდახელოდ დაწერა თავისი ცნობილი შედევი. დღეს უსიამოვნო, გამთოშველი ქარი ამოიჭრა და ჩვენთან შემოიხიზნულ კალიას უკიდურესად გაუჭირდება.

[ორი დღის მერე ერთსტროფიანი ლექსიც მივაშავე მანამდე დანერილებს და საწყალობელის სვე თვით უზენაესს შევავედრე]:

ღმერთო, ვინ უხველვალა ბალიგვულს!

ვლოცულობ: დღეს იქნება თუ ხვალე, ჩვენი საბრალო კალია კალე, როგორმე გათბეს, გამალოს ფრთები, ამ აივანიდან გაფრინდეს მალე!

24.02.2014 [მეგონა, ამის მეტად აღარ დამჭირდებოდა სტრიქონებთან შეხება, მაგრამ ერთი ლექსი, ვგონებ, დანარჩენებზე უკეთესი, კიდევ გამომტყუა გასული ზაფხულის ხვატში ნებიერად მიმომფრენმა. დათარიღებულია და თუ სურვილი გექნათ, შეგიძლიათ ნაიკითხოთ]:

აივანს შემოაკვდა

უმკლავდება ზამთრის სუსხს, დრო აქნა და დაკეპა; დაყუნცულა კალია – პატარა ქანდაკება.

ცოცხლობს, სუნთქავს აშკარად, თუმც არ ტოკავს მხარ-ტანი, არ მეგონა, ამდენის იქნებოდა ამტანი, ფშვინვენ, ელოდებიან – რა მინდვრები, რა მთანი!..

26.02.2014 [მეორე დღეს ამ ანეულ ტონს სრული იმედგაცრუება შეენაცვლა და გუნება ნამიხდა, ლექსების ჩანერაზე ხელი ავიღე; დღიურის ფორმა ვამჯობინე, რაც უფრო შეეფერებოდა დათრგუნვილ განწყობილებას]:

27.02.2014. ჩემმა ნაბოლარა ბიჭმა, ბაქარმა, ამ დილით მაცნობა, რომ აივანზე დასკუპული კალია (მე მას კალე დავარქვი, როგორც გახსოვთ, და ყოველნაირად ველაციციებოდი) უკვე მკვდარია, ბარძაყი აქვს მოტეხილი. გული დამწყდა. რადგან ამდენ ხანს იცოცხლა, ბარემ გაზაფხულსაც მოსწრებოდა და გაფრენილიყო. პირველად როცა დავინახე, მაშინვე მკვდარი მეგონა და ლექსად გამოვთქვი სინანული; მერე, გატოვდა თუ არა, მოვუბოდიშე და რამდენსამე ხანს ვეფერე, იქნებ გამობრუნდეს-მეთქი, მაგრამ საშველი აღარ დაადგა.

მივხვდი, დიდ ასეკეტს, წმინდა ფრანჩესკო ასიზელს რატომაც ჰქონდა ასეთი გამორჩეული სიბრალულ-სიყვარული სხვადასხვა მწერების, ფრინველებისა და ცხოველების მიმართ. სიცოცხლე აუხსნელი და ამოუწურავი სასნაულია და მისი ყოველგვარი გამოვლინება უნდა გვიხაროდეს, ვუფრთხილებოდეთ.

იმ კალიას მაინც საარაკო გამძლეობა აღმოაჩნდა და ვინმე მეცნიერს, ბიოლოგს რომ ენახა, ვინ იცის, ეგებ კიდევაც გადაურჩინა ერთი პირობა გადაეწყვიტე – ჩემს ძველ

მეგობარს, სულხან ცაგარელს შევეკითხები (საუცხოო ნიგნი აქვს დანერილი ნაირგვარ ცოცხალ არსებებზე, მათ ჩვევებზე), იგი მეტყობდა, რა ჯურის იყო ჩვენს აივანზე მოხვედრილი კალია. დანერით მეტს აღარას დავწერ. ღმერთმა იცოდეს, მე და ჩემს შვილს ცდა არ დაგვიკლია, რომ სიკვდილის კლანჭებისაგან გამოგვეგლიჯა.

ვისხენებ ახლოვლებს

16.04.2014. ორი ნელი ვწერდი და, როგორც იქნა, დავამთავრე მოგონებები თამაზ ჩხენკელზე. ეს მცირე მონოგრაფიის მესამე ნაწილია, რომელიც უნდა დაიბეჭდოს ჟურნალ „საგურამოს“ ოქტომბრის ნომერში (პროორარს, ცხადია, ვერ მივიღებ).

მთლიანად ნიგნს (ხუთიოდე თაბახი გამოვა), ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სახელით, როსტომ ჩხეიძე გამოსცემს და წინათქმასაც იგი დაურთავს.

ვფიქრობ, ცუდი არ უნდა იყოს, რამდენადმე კმაყოფილი ვარ. თამაზი, გურამ ასათიანის მსგავსად, ძალიან მიყვარდა და შესაფერი პატივიც მივაგე. ზოგიერთი ეპიზოდი (სხვადასხვა რეველებში მქონდა ჩანერილი) მიმავინყდა, გვიან მივაგენი და ძირითად ტექსტში ველარ შევიტანე. იმას ცალკე დავბეჭდავ.

ახლა გრიგოლ აბაშიძეზე უნდა მოვამზადო საიუბილეო წერილი (ასი წელი სრულდება მისი დაბადებიდან). ბატონ გრიგოლთან ურთიერთობაც ძალიან მსიამოვნებდა, უაღრესად კულტურული და წესიერი კაცი იყო. მისნაირი ჭკვიანი და შესაფერი თავკაცი მწერლებს სხვა არავინ ჰყოლია. ჩემთან ბევრი რამე აქვს გულახდილად ნათქვამი და შევეცდები ყოველივე პირუთვნელად აღვწუსხო. სიცოცხლეშიც არაერთხელ მივეფერე. თვითონაც ყოველნაირად მიწყობდა ხელს. შეჭირვების ჟამს მხარში ამომდგომია. ბოლო წლებში ძალიან ახლო ვიყავი მასთან ისევე, როგორც ვახტანგ ჭელიძესთან. გრიგოლი საწუხად გულგატეხილი წავიდა ამ ქვეყნიდან. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გამოაქვეყნა სასონარკვეთით აღსავსე შედევი – „არყოფნისაკენ.“ განსაკუთრებით აფხაზეთისა და შიდა ქართლის დიდი ნაწილის მიტაცებამ დათრგუნა. ეს ლექსებშიც გამოხატა. საშინლად იმოქმედა ჩემზე მისი ვაჟის, საუკეთესო ისტორიკოსის, ჩინოს გარდაცვალებამ. ქალიშვილი, თოლია, უკეთილშობილესი ადამიანია და მასთან შეხვედრა მუდამ მახარებს.

სიზარბი ნანახი მამა

27.04.2014. უცნაური ამბავია – „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 8, 2014) გამოქვეყნდა საინტერესოდ მოაზროვნე მონოლოლი პოეტის ჰადაა სენდოს თავისუფალ ლექსთა თარგმანები. პირველივე ლექსმა მიიქცია ყურადღება, სისადავე, უშუალობა ეტყობა. მას, ჩემი არ იყოს, დასიზმრებია მამა, რომელსაც ხელში ანთებული სიგარეტი სჭერია. ამ ლექსის („წითელი მთვარე და მამაჩემი“) თარგმანი სასურველ შთაბეჭდილებას ახდენს და ასე გამოიყურება:

ერთხელ, ღამის სიბნელეში, მამაჩემის სახე აინთო. მოკიდებული სიგარეტი უღვიოდა ხელში მამაჩემს, მოძრაობდა ნელა, როგორც წითელი მთვარე.

ხუთი წლის წინ მეც დამესიზმრა გარდაცვლილი მამა და ისიც, როგორც ხშირად ხდებოდა მის სიცოცხლეში, სიგარეტს ეწეოდა. „მოლანდება“ დავარქვი ლექსს, რომელიც უეცრად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჩამოიმარცვლა. მე იმ სიგარეტს არაფერს ვადარებ, სიგარეტადვე დავტოვე, მაგრამ წამით გაეღვებოდა სიზმარი ჩემთვის იმ-

დენად ძვირფასი იყო, მომინდა უბრალო სტრიქონებში მომექცია. ჩემი ლექსიც ავარიდე სიტყვიერ სამკაულებს, არსად გამომიქვეყნება, მაგრამ, თავისებური დამთხვევის მაგალითად, აქვე მოვიტან, ნიშნად იმისა, რომ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერთნაირად ფიქრობენ მშობელზე, ვინც მათ სიცოცხლეს სათავე დაუდო, რამაც ჩემთანაც ღამის სიბნელეში მოკიაფე სიგარეტის იერი შეიძინა:

თითებშუა, ანთებული ჩანდა სიგარეტი... და მესიზმრა, მამაჩემო, ნალველს იქარვებდი.

ასე მალე რამ გაგაქრო, ღვთის ნაზელო თიხავე?! შევეკრთი, დაუჯერებლად ახალგაზრდა იყავ.

წახველ, თანვე გაიყოლე დარდი მარადისი... ფერფლიც რომ არ დაგრჩენია, თქმა გეწადა რისი?!

(16.11.2009) ბევრ ვინმეს დასიზმრებია გარდაცვლილი მამა და ცდილა, მისებურად გაეცოცხლებინა სულეთიდან მოვლენილი აჩრდილი. მე მუდამ შიშითა და მღელვარებით, სასოებით შევეყურებ დასიზმრებულ მამაჩემს, რადგან ძილშივე ვგრძნობ, ეს ნეტარი ნამები მალევე უნდა განქარდეს, მისი მოლანდებული სახე ისევ აღვებეჭდო, როგორადაც გამომეცხადა. ამ ხილვებს თვალისჩინივით ვუფრთხილდები.


მართალი, გულმისანლო კაცი

13.06.2014. ტელეფონი გავიგე და ველაპარაკე მეტად ჭკვიან პიროვნებას, გამოჩენილ მათემატიკოსს, პოეზიის თავგადაკლულ მოყვარულსა და უზაღად შემცნობს ვანო კილურაძეს, ვინაც გრიგორ ფარულავასთან ერთად ესწრებოდა ჩემს საღამოს, რაც იშვიათზე იშვიათად ხდება.

ძალიან ახლოს სცნობია მამაჩემი – ახალგაზრდობაში გასინჯული ვყავარ, ნამალი არ გამოუწერია, ისე მიმკურნალა და მომარჩინა, უწმინდესი კაცი იყო, ვეთაყვანებოდიო. ჩემი რამდენიმე ლექსი ზეპირად მითხრა. ცოტაც მისაყვედურა, მე რომლებიც მიყვარს, იმათგან საღამოზე არცერთი არ წავიკითხავსო. მასავით ჩოხატაურელი ზაურ ბოლქვაძე სიყვარულით გაიხსენა. მერე დაამატა – მეც შენსავით გურიის სოფელში გავიზარდე და ასე მეგონია, ზოგიერთი რამე ჩემზე გაქვს დანერილი. გამაფრთხილა, ერთმანეთს თქვენობით ნუ მივმართავთ, თორემ მანყინებო. მალე მისი სახელით დამირეკა ერთმა გოგონამ, სურმავამ, რომელიც თურმე სცემს პატარა ჟურნალს, „გურიას“ და მთხოვა, რამე მომეცით დასაბეჭდადო. დავპირდი და აღარ მომაკითხა. უყურადღებობად არ უნდა ჩამეთვალოს.

ძვირფასი ვანო ვაკეში ნაცხოვრება, რუსეთის საელჩოს ჩასახვევთან. მიმიპატიჟა, საღამო ხანს მენვიე სანთლის არაყს დაგალევიებო. ჩემი სიყრმის ძმის, რეზო სირაძის ახლო მეგობარი ყოფილა და საშინლად არის გულდაწყვეტილი მისი ტრაგიკულად დაღუპვის გამო. ვუთხარი, საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში მოსულიყო 17 ივნისს, რეზოს მოსაგონარად არიან მიწვეული მისი პატივისმცემლები და მოწაფეები-მეთქი. თუ დაკავებული არ ვიქნები, უსათუოდ მოვალო. მისამართი და მობილურის ნომერი გამოვართვი, ვაპირებ, შაბათ საღამოს ვინახულო. ჩემს წიგნს წაუღებ. წინასწარ ვიცი, რაოდენ სასიამოვნო იქნება მასთან გატარებული დრო. სულ სხვა იერი ექნება ჩვენს ჩაუამებულ ცხოვრებას, ვანო კილურაძისთან ადამიანები უფრო მეტნი რომ იყვნენ.

►► ბაბრქალა იქნება



ნიმე დარბაისალი

ჩვენ გვეჩვენებს, ნეტა, სიყვარული ახალთახალი, თითქოსდა გრიგალს კი არ მოჰყვა ამ გაზაფხულზე, ადრე, ოდესღაც ფიცხელ ომში განვეულისთვის უღალატობის ფიცი დაგვედოს და დაბრუნებულს დადებული თავის ადგილზე ვერ დავახვედრეთ.

და რით ვიმართლოთ ახლა თავი? – რომ უიმედო ლოდინით დაღლილს მტკვერი გვინდოდა გადაგვეწმინდა და სიფრიფანა ფიცი ხელში შემოგვტყდომოდა? ან ჩვენ რას ვერჩით ამ ახალთახალს! აქამდე როგორ მოაღწევდა, გზად ტოტი რომ არ ჩამოეტეხა, ის მინდორი არ გადმოველო, იმ მდინარეში არ შეეცურა, იმ ლაფში რომ არ ჩაფლულიყო, ან ქვრივის ქოხში კუნაპეტ ღამით თავშეფარებულს არ გაეთელა გახამებული თეთრეული ზორბა სხეულით.

რატომ გვანვალებს შეგუება, რომ ერთმანეთში ახალი კვალი კი არ გაგვყავს, ნასვენებ სახნავს მივუყვებით, ბელტად ვაბრუნებთ წარსულსა თუ წარმოსახულ ნააღერსალებს? ნეტა დროს ისე მიჰყვებოდეს ადრინდელი, როგორც შხაპს მისდევს ყველაფერი ნაგუმინდლარი, ან არსებობდეს რაღაც ნათლობა – სასიყვარულო – ხელჩაჭიდებით, ცხვირზე თითებმოჭერილებმა ერთად ჩაყვინთოთ, დინებამ თავზე გადაგვიაროს და ვიშვათ ახალ სპეტაკებად ერთმანეთისთვის. ანდა ჰაერმა ჩვენთვის თავი გაიგრიგალოს, ორივე ერთად აგვიტაცოს, მთის წვერზე დაგვსვას, ფეხქვეშ ქვეყანა ჭრელა-ჭრულად გადაგვიშალოს, გამოგვითიშოს ვარსკვლავები, მთვარესაც ცოტა ჩაუწიოს, თავქვეშ ღრუბელი ამოგვიდოს და დაგვახუროს მრავალკეცი ნისლის საბანი.

ან ცეცხლი ენთოს, ერთად შევიდეთ, იქ დასაწვავი დაიფერფლოს, ორთავეს გარსი შემოგვეცალოს, გამოვალნიოთ, შეტყუებულინი ველარაფერმა გაგვაცალკევოს.

ან მიწა იყოს, დაგვეყაროს და ჩავიმარხოთ ერთმანეთში ჩახლართულები და ერთიანად ამოსუნთქვის ძალი მოგვეცეს და მიწის პირზე ისევ ერთად ამოვალნიოთ, ფეხი დავკრათ და ავსრიალდეთ ლაყვარდებისკენ. რა პატარაა და უმწეო ყველაფერი, რაც დაბლა რჩება!

ამბობს: – ვიკმაროთ, რაც აქამდე ვიყოყმანეთო. ამბობს, რომ ეყო, რაც უჩემოდ დღემდე უვლია. რა გახდა ერთი დღის გაძლება უერთმანეთოდ! ვიდრე გვერჩის და ვიდრე ვერჩით – სიყვარულია!

ჩემი პირველი სიყვარული მესიზმრა ნუხელ და ისევ ისე დავეუგრძელე ცხელი ტუჩები... მის ვინაობას ახლა ვინმეს როგორ გავუმხელ, მხოლოდ ვისხენებ, მოგონებით განაყუჩები,

როგორ უყვარდა ჩემს კალთაში თავის ჩადება, როგორ მიყვარდა მის წარბებზე თითის სრიალი. სხეულში ლტოლვა უეცარი რომ იბადება, აბრიალდება ისევ ვენების ციური ალი!

სად არის ახლა? ალბათ, უკვე არც ვაგონდები, ან ვაგონდები, მაგრამ სხვისი ფიქრი ერევა; შემოეხვია წარსულს ჩვენსას კვამლის ზღონდები, იმ სხვას დაერქვა სიცოცხლე და ბედნიერება.

არაფერია დასამალი ან საკვირველი, არაფერია არც სარკვევი ან დასასკვნელი: ჩემი ყოველი სიყვარული – იყო პირველი. და ამავე დროს, ყველა იყო – უკანასკნელი.

თნი რილინპირელი

ა. ეროტიული დილისპირელი მე მიყვარს, როცა ვწევართ ასე თავფეხშექცევით. გამეღვიძება და შენი ცერის ფართო ეკრანზე აინთებინ შორს გადამფრენი წეროები და უცხო ცები.

აი, მე და შენ! რანაირი ვჩანვართ შორიდან. აი, შევედივართ მარტოდმარტო უსიერ ტყეში. ხელის ფათურით შენ დაეძებ ჩემთვის სოკოებს და მიძიმდება ჩემი კალთა პოვნის აზარტით, ალტაცებით, ან იქნებ – შხამით?

რამ დაწყვილა ასე შიში და ნეტარება, ან გული ჩვენი სულ აკრძალულს რად ეტანება, ან ასე მკაცრი რატომ არის ღვთის ნება ნეტა, შენ მოგროვება გინერია და მე – ტარება?

ვერც საკუთარ თავს, ვერც ერთმანეთს ვერ გავექცევით, დავერჩეთ, ძვირფასო, სამუდამოდ თავფეხშექცევით!

ბ. მაგიური დილისპირელი

ღამე – დაღუმებული, გული – დაღამებული. ვერ დადგება ნაუსვლეულად ჩემი შეყვარებული.

რა მიშველის? თეთრი დანა. თეთრი დანა, შავი ტარი, თეთრი ხელი, შავი მური, ხელისგულზე – ჯვარი, ჯვარი – გზაჯვარედინი.

მარჯვნივ წავიდეს – წყალში შევიდეს, თვეზი დაიხრჩოს, ეს – გამოვიდეს, მარცხნივ წავიდეს – ცეცხლში შევიდეს, რკინა დაინვას, ეს – გამოვიდეს, წინ წავიდეს – კლდეს შევიდეს, კლდე გაიპოს, გამოვიდეს, დაბრუნდეს და გაიხაროს!

ცაზე მიდის თეთრი კრავი, კრავს დახვდება კარავი, იმ კარავში – არავინ, კიდობანი ოქროსი, კიდობანში – მანანა, ფიცარი და კვერთხი, სასარკმლეში – საკმელი, სასანთლეში – სანთელი, საგულეში – გული!

დილა გაღიმებული, ჩიტი – ამღერებული, ასემც ხარობს, ასემც ლალობს ჩემი შეყვარებული!

ამინ! ამინ! ამინ!

ცაძრის მქდავი

(ციკლიდან – „ეროტიზმი ბიბლიაში“) რიდე მეზურა, შენ გეგონე ტაძრის მეძავი, კაცად ივარგე, არ ვიყავი ქალად მეც ავი. იამე ჩემგან, დამეთხოვე მე გულმომბალი. ერთი ბეჭედი, თოკი ერთი, ერთიც კომბალი – ეს დამიტოვე, იმ თხის ნაცვლად, შენ რომ დამპირდი: კდემამოსილი უცებ როგორ გავპირდაპირდი! მე მუცლად ვიდე ძენი შენი, ტყუპი გიშობე, ჯიშინისა – ჩანასახნიც მარად ჯიშობენ. სხვა გებადება, თუკი ძენი დაგეზოცება, მახსოვს გვიანი შფოთი შენი და გაოცება.

რიდე მეზურა, შენ გეგონე ტაძრის მეძავი, მამის კარს ვიდექ, დამრჩა მატყლი დაუჩრავი, არც ქმარი მყავდა, აღარ შემრჩა აღარც ონანი, გზად მოდიოდი, მოგყვებოდნენ მწყობრად მონანი,

ვერ გაიმეტე შვილი შენი, ის, უცოლო და არ მოინდომე, კაცდანატრულს ქმრად რომ მწოლოდა. თავადაც იცი, არ იყავი ჩემთან მართალი, მე სად მეპოვა გზანი იგი, მეომართანი! ბევრიც მეძებე, ვერ მიპოვე ტაძრის მეძავი, გემალეობდი გამხელამდე, შენზედ მესავი. როდესაც ტყუპი იბადება ღმერთს

ვინ გაარჩიოს, რომელია პირველშობილი. ძაფმა რა იცის, რომელია მემკვიდრე იგი, როგორ მოერგოს მას საუფლო წესი და რიგი! ქმარი ხარ ჩემი, მამამთილო, ასე გვერგუნა, ცოლურად უნდა გემსახურო რადგან ერთგულად.

გაქრება ჟამი, არ დაიცდის ჩვენთან ფრთამალი, რალა უკვე საჩუმათო და დასამალი! სვეტზე ნათელზე აელვარა ჩვენმა ცამ ალი, გულის წყლულისა მოგვივლინა იგი წამალი.

მეძავად მთვლიდი, შემომხსენი ნელზე შენ ხარ იუდა, მე – მართალი შენთან – თამარი. გიშობე ჯიშში, მე მტერთაგან დაულენავი. რიდე მეზურა, შენ გეგონე ტაძრის მეძავი... ტაძრის მეძავი!

სიყვარულის ვიქმ

„რასა იქმ, ცეტო!“ – ეს ხმა არის დიდგაჩემის, მოუსვენარი გოგობიდან ჩემი მღვევარი.

– რასა ვიქმ?! ვხარობ. მე დავიჩემე აღმართები, ვარდნილები, ეს საიდუმლო ღრმულები და ეს მწვერვალები და ეს ჩქოლნარი და ეს პატარა ნაიარევიც, აი, ეს ხალიც მხოლოდ ჩემია და არ ვაპირებ ამიერიდან ვინმეს ოდნავ გაუზიარო.

ჩვენ რაღაც წამით მაგიური წრით შევკარით მთელი სამყარო ან ვენეტარყურობთ; ცოტახნით ჩამდგარ ქარიშხალში შენელდა ცეცხლი და ჩვენი მლაშე ნაკადულები ერთ გრილ მდინარედ ედინებთან...

რასა ვიქმ?! ვხანტობ. მერე ისევ დავეხარბები. გაივლის ხანი და წყაროსთავს სახელიდან შემორჩება სულ ერთი ასო, აი, ეს მხრებიც, – მათ ჩემი ზიდვა უწერიათ, როცა ჟამთაგან დაჭკნებთან ჩემი ვაშლები, (ხმა მომავლიდან: „ძვირფასო, უკვე ჩაგეძინა? აქ ორპირია, პლედს ბეჭებთან შემოგიკეცავ“) ...ყურის ნიჟარა, მთრთოლი ასე, ვიბრაციების კორიანტელში, ანდა ეს თმები, თითებშუა ხან ჯიუტები და ხან მორჩილად მოსრიალენი,

ჰო, ასე ვურევ სიტყვებს, ფრაზებს, და რაც უფრო ძლიერ მიყვარს, ძლიერ ვუყვარვარ, მით უფრო ცოტა სიტყვა გვინდა, ის კი არა და ბოლომდე აღარც ჩავამთავრებთ შორისდებულებს იქნებ და უკვე ვეთხოვებო... ორივე ვკვდებით...

რასა ვიქმ?! ვცეტობ! უინტიმურეს წამებშიც კი რატომ გვჭირდება ვილაც მესამის ჩუმი თვალი, ან ეს მესამე ყველა ჩვენგანს რას აგვეჩემა. რად უნდათ-მეთქი გულისგულში შეყვარებულებს, თადავინყების ნეტარებაში ვილაცის თვალი მაინც ხედავდეს.

და ნურასოდეს შეეკითხებით ქალს საწოლში, რაზე ფიქრობო, მით უმეტეს თუ პოეტია.

ზღაპარადიანთ თეთრო ქალო, ქალო სოფიო, აი, ეს არის სიყვარულის მთელი ამბავი. უცხოებისთვის გადამლულ კაკლის მურაბას როცა ნეტარი მუსაიფით შეექცეოდით, მე, უსირცხვილს, განა იქ მართლა ჩამეძინა, თავი ტყუილად მოვიმძინარე. როგორ ამბობდი ბიცოლაჩემთან?! – „ხო სამი შვილი გვაგჩინე და ქმარს გახდელი დანახულიც არა ვყავარო?!“ იმის ამბებიც გავიგონე...

ჩემი – ეს არის! დიდგაჩემო, მე ანგელოზებს ველოდებოდი, შენ კი, მანდედან, შე ცეტო!

რასა ვიქმ და სიყვარულსა ვიქმ!

პოეზია. თნი

(მისურის შტატში, პომპეის გამოფენაზე ვნახე ჩახუტებულად გაქვავებული წყვილი. სავარაუდოდ, მდიდარი მეომარი და მეძავი. პომპეი განთქმული იყო თავისი საროსკი-პოეზით და შიგ ტყვე-ქალებს ამუშავებდნენ).

კეთროვანი: – ამასობაში ბოლო დღეც დადგა. ვერ გადავჩნებით ვერცერთი, რადგან

მთიდან დაიძრა მხურვალე ლავა! ლავამ ქვეყანა ააყირავა.

გრილით მოდის გრიგალი-ცეცხლი! სულ ოხრად რჩება ეს ოქრო-ვერცხლი.

მეომარი: – სისულელეა, თურმე, ყოველი, რისთვისაც ვიბრძვით, რასაც მოველით.

მოკვდა, ვინც ბოლო ძალი მოიცა და ისიც, ვინაც მხალად მოიქცა.

არც გასაღწევი არა ჩანს არსად, რას მოვენევი სიცოცხლის ფასად!

აქ რა მინდოდა, რამ მიმიყვანა! ფეხქვეშ მეფინა მთელი ქვეყანა...

ფერფლით პირსავსეს ფეხიც მეფლობა. ვინ დააბრალა შავ ფერფლს – ფერფლობა!

მეძავი: – აი, სად შევხვდით! მო, მეომარო, შენ – სასურველო ჩვენო სტუმარო!

დანგრეულია ჩვენი პრიტონი, აღსასრულის წინ – ვართ უკლიტონი!

ვერავინ მეტყვის, „ო, მე რომ არო“... არ გინდა ქალი? მო, მეომარო!

ხო არ ვიქნები შენთვის მეც ავი, შენ – მამაცი ხარ, მე კი – მეძავი.

ბევრი იამე – ასოს დასობით, მეც – ნამებში მყავდა ასობით.

რალა დროსია რიდი და კდემა, როდესაც ირგვლივ სუყველა კვდება!

მომენდე-მეთქი, რა დროს რიდია, ვერ ხედავ? – ცეცხლი ცას უკიდია.

ცა ჩამოიქცა, ცა ჩამოიქცა... სად გამირბიხარ, დარჩი, მოიცა!

დე, ვიდრე სული შეგვეხუთება, მოვასწროთ კოცნა და ჩახუტება! ... გაქრა პომპეი, ხვედრი წყეული ერგო, ორიოდ ათასწლეული ერთად გორავდა მართალი, ჭორო. ექსპედიცია გახვევებულა, აუზიდათ როდესაც მორი, ჩახუტებულად გაქვავებული, მორქვემ სხეული იპოვეს ორი.

ეკა ფხალაძე

სამი სიყვარული

ნაწყვეტი რომანიდან „არავინ, უფალო!“

შვილი (28 თებერვალი)

... რომელი ნოტი გიყვარს? მე? მე... მე... მგონი მი ან სოლ... რატომ? არ ვიცი. ან ვიცი. ალბათ უფრო უღერადობის გამო. არა, სოლ ჯობს. იმიტომ, რომ შუაა, შუალედური, არც მკვეთრია, არც ბოხი, არც მკივანა-ლა და სისავით. აბა, უსმინე, სიხ: დო, რე, მი, ფა, სოოოოოოო!!! სოოოოოო!!! მიყვარს, რა ვქნა! შენ – არ ვიცი. შენ – შენი ნებაა! ისე... – თვალე დახუჭა და ხმა დაირბილა, შეიმსუბუქა, წაიმღერა: დო... რე... მი... ფა... სოლ... ლა... სი... დო... – აბა, თვალე გაახილა, შემღვრეული შეგრძნებები მზე-რაში გადმოფანტა: მუსიკა ბიჭის კოცნასაც ნაგავს, იცი? არა, არ გავიწყებულვარ, სიხ! აი, ასე ადის და ჩამოდის ურუანტელი მთელ სხეულში, როცა ბიჭს კოცნი: დო! რე! მი! ფა! სოლ! ლა! სი! დოოო!... – აქნეული ხელი ზემოთ შეაჩერა, მერე ჩაიქნია და ეტლში მჯდომ გაყურსულ დას მიაჩერდა.

— მე მიყვარს მუსიკა! მართლა! სიამე ჯერ ბგერების სიმალესავით მწვერვალდება, მერე ცალკეელება, იზნევა, იშლება, მიწაზე ეშვება. აი, ნახე: დო! სი! ლა! სოლ! ფა! მი! რე! დოოო! – ჩაიბოხა, ჩადაბლდა.

ახლა გულდიად გაიღიმა.

– შენ რა, ლაპარაკი არ გინდა თუ უცხო რამეზე გებარებ? ჰა? – ისევ გაიციხა, – გეხუმრები, სიხ! შენი დაქლოჩკები მაინც არ ჩურჩულებენ ხოლმე? ვერ დავიჯერებ, – ღიმილი აისხლიდა, დის აცილებულ მზერას თვითონაც აერიდა და ისე განაგრძო, – მე? მე შეკითხვები? ჩემები და რომელი დაქლოჩკები? კაი, ერთი, შენც დედასავით არ დამიწყო, წარმოსახვითი მეგობარი მაინც ხომ უნდა გყავდეს ერთგული და გამოსადეგი! მეყოლება, კი! – ცერად გაიღიმა, სარკაზმი ჩაეკვანძა ტუჩის კუთხეში, – სად და როდის გეყოლება მეგობარი, რა მნიშვნელობა აქვს! ან... მეგობარი რილას მაქნისია, მითხარი ერთი! შენ რომ თავზე დაგტრიალებს კლასი თუ მასწავლებელთა „სანუგეშო“, რა! აგაყენეს მაგ ეტლიდან თუ სისხლის ფორმულა შეგიცვალა თანაგრძობამ, სიხ! ვერა, ხო? ჰოდა, ჩემნაირი მეგობრის ყოლა ჯობს, დავრწმუნდი! სად და როდის იპოვი, არ აქვს მნიშვნელობა, ოლონდ! – ჭერს ახედა, თვალე დახუჭა და ისე ამოიღერა—ამოიკვილა, ეტლში მჯდომი ბავშვი საზურგეს მიანყდა: აააა! – ჩამოჟინიანდა ჩამოგრძელებული მკივანა ხმოვანი. ოქტავის ბოლო ნოტს დაემსგავსა სასრული სიმალე, ძლივს ჩამიწუმდა, – არაა, – გაახილა თვალე, – აა კი არა, მიი, სოოოო... რა კარგია, რომ სადღაც ნოტებს შორის მაინც არსებობს შუალედი, საშუალო, თორემ... თორემ, გეფიცები... აი, ადგები ოდესმე ფეხზე, — დას შეხედა, შეაჩერდა, მოეზარა გაყინული მზერა, თითქოს ცრემლის თითო წვეთიც კი წამოსწვდა ქვედა ქუთუთოებს.— თუ კი არა, ადგები, სიხ! ეს ვიცი ნამდვილად და შენც იცოდე, მოძებნი ყოველთვის შუალედს ორ უკიდურესობას შორის! აკი, დედაც გეფერება ხოლმე, გამოსავალი ყოველთვის არსებობს, შვილო, არ ინერვიულო. მე ვითომ არ მესმის, მე ვითომ ვერც მხედვს! მე ხომ მისი რომანტიკული ურთიერთობის გაგრძელების ნამიერი ვარ ქვეყანაზე... პირველი ნამიერი... ახლა კი, ახლა კი, როცა მეორე შვილის გამო სული სტკივა, პირველი შვილი მისთვის ბედნიერების იმ საფეხურზე შერჩენილა, რომელზეც გაჩნდა. ესეც ეყოფა!!!

რამდენი ვიბარებ, სიხ! ხვალ ორშაბათია. გამოვიღიან სკოლიდან შენი დაქლოჩკები, ამოგყვებიან სახლში, მოაყოლობენ შოკოლადისგულა კრუსანებს, დედაც შეაფიცებს დამარაგებულ ნახევრადმზა პიცებს, ჩამოარიგებს. თუ მამაც იქნება, დაიწყებენ ამბების მოყოლას ერთმანეთის ვიკაობით,

წაულებენ ტვინს ერთმანეთს „ლანა დეიდას“ და „კახა ბიბიას“ ძახილით. თუ მარტოები იქნებით, სლენგებით ააკორიანტლებენ ჰაერს...

კაი, ვდგები. გაეჩუმდები. რა მითხარი? – მოტრიალდა – რა დავლეე? რა მოვნიე? ჰაჰაჰაჰა! ჩემო გოგო, ჩემო ჩურჩულთ! მაგებშიც გაურკვეველო, როგორც ნოტების მელოდური ცვენა არ გიგრძნია ბიჭთან კოცნისას. თუმცა... ეტლიანი შეყვარებული ვის რად უნდა, რო! ეე! რა იყო, რა, გენყინა?? კაი, რა! ნუ იცი ხოლმე ნამიერად გაბუტვა და სანყალი ბავშვით თავის ჩარგვა მაგ დედის დაკოცნილ კისერში! ტუჩის გაბუტვა – კიდე! არ გიხდება! ჯერ მთელი ცხოვრება გაქვს, ნინ! მთელიი!

კარამდე მისული მოტრიალდა, შუა ოთახში დაბრიალდა მოულოდნელად.

– არა, ეგრე არ გამოვა, შორტი არ ფრიალებს. მოიცა, მოიცა, დრო მეყოფა იმისთვის, რაც მიწოდდა და არ განიკეთებია არასოდეს. ნავალ, იმ კაბას ჩავიცვამ, დედაფალ დედა-ლანას რომ ეცვა ქორწილში და ასე საგულდაგულოდ ინახავს. ეს იქნება გამოთხოვება იმ სამყაროსთან, მე რომ მომიხედმეტა. სამაგიეროდ, ხომ ვიპოვე ისიც, რომელმაც მიმიღო ისეთი მარტოსული, როგორიც ვარ!

ნიბლიასავით ფრთხილად უმცროს დას ენა ჩავარდნოდა, ტურნედაკენტილი შესცქეროდა დედის საძინებლიდან მალაღობი ქუსლების ფრატუნით გამოფრიათებულ უფროსს, – გადავიფიქრე, სიხ! დედას ერთგული სიხარული, ის კაბა მხოლოდ დედას ეცვა ერთხელ! და მისი უნდა იყოს, ეს სარაფანიც ხომ ფრიალა, ასე... შემოზრიალდა, კალთაც შემოიფრიალა ერთხელ, ორჯერ. ფეხზე დაინახა, ასეც სცადა და ორი წუთის მერე მონყვევით გაიშლართა იატაკზე. იდაყვებზე აინია, გადმოზრუნდა, დასთან მიხობდა: არასოდეს იფიქრო, არასოდეს, რომ სუსტი ვიყავი და იმიტომ მოხდა... რაც მოხდება... რაც კი გებაზრე, ყველაფერი ტყუილი იყო, სიხ!!! ყველაფერიი!!! მხოლოდ ის დაიჯერე, რომ დედას გულის ფეთქვა და სიყვარული ხარ!!! ჯიგარ! აქედან ამოგლეჯილი, ჯიგარ! – მკერდზე ცერებითა და საჩვენებლებით გამოყვანილი გული მიიწეხა და უკუსვლით გაქრა... გავიდა და წავიდა...

**

დედა (2 მარტი)

...რა უნდა იფიქრო მაშინ, როცა გულს ფრთები ასხია, ერთადერთი და განსაკუთრებული ხელი ხელზე გიჭერს, ისევე, როგორც იმნამიერი ემოცია კრავს და ძაბავს შენს სხეულს, გვერდით მოგყვება მისი თვალეებიდან ნამოცვენილი ნაპერწკლები და განთებს, გაალებს... მზად ხარ, ნაჰყვე უკიდევანო სიერცემში, უბოლოო გზაზე...

ჰოდა, მიგყვივი კიდეც. ვიარე, თ, ვიარე, თ, აქამდე მოვედი, თ! მაგრამ რის ფასად! რის! იქნებ მაშინ, სწორედ მაშინ ჯობდა, ხიდიდან გადავფერინე ფრთიან გულს, რომ როგორმე თვითონ მოეხსრო ამოხტომა საგულედან და სხეული ჩავტოვებინა წყლის ფსკერზე, მდინარის ძირზე, დროისა და თევზების საძიძენად. ჰო, ზუსტად იმისთვის, მერე სწორედ ეს სხეული რომ აღარ გამლევალიყო სიყვარულისგან, რომ აღარ გაეყრებოდა ორ სულად ქვეულ არსობით, რომ სიყვარულის სიყვარულით ანთებულ-ავსებულ თვალთა კრთობა წლებს მერე შიშა და ძრწოლას არ ჩაენაცვლებინა...

მაშინ ხომ ვერაფერს ვიგეუმანებდი, რა მელოდა, რა გველოდა.

მაგრამ მოხდა ისეც, ასეც, მოხდა ისიც, ესეც... ამქვეყნიური სიყვარულის გაგრძელებად გაჩნდა ჯერ ერთი – ბატულა, ბუთქუნა, პუტკუნა, ლამაზი, ქერა, მამისნაირი... მერე გაჩნდა მეორე – ისეც ბატულა, ისეც ბუთქუნა, ისეც პუტკუნა, ლამაზი და მუქი, ჩემნაირი... მაგრამ... „მაგრამმა“ ჩააბურუსა ოჯახური ხალისი, ჩამოადნო დედობრივი იმედების სანთლები... ექიმებსა და სხვა ქვეყნებში სარბენი თანხის გროვება, შვილის ცრემლიანი თვალეების კოცნით ამოშრობისათვის ძალის ძიება...

და ამ დროს... და ამ დროს...

... პირველად რომ დამიბარეს სკოლაში, ნერვები ვერ დავილაგე იმავეს მოსამენად,

რაც ათასჯერ და მილიონჯერ მსმენოდა მანამდეც: შეილი შეილია, ყურადღება ორივეს სჭირდება, დედის სიყვარული ორივეს თანაბრად უნდა გაანვდინო... ამ დროს გული იწყებს კივილს: აბა, მიდი, ერთნაირად მოეფერე ბავშვს, რომელიც ყურადღების მისაქცევად მაგიდიდან ცხელი ჩაით სავსე ფინჯანს აგდებს და გარბის, და ბავშვს, რომელიც ხელში გიჭირავს, ვერც დასვამ, ვერც დააყენებ, ფრთხილად მომჭკნარ და უკვე ბოლომდე გაძევილი გულს მხოლოდ მრისხანების გადმოფრქვევით ცლი... ან პირიქით, ბოლომდე ავსებ. ჰოდა, გარშემო შეპარვით გიხსნიან, აზრს განვდიან, გირჩევენ, რომ ფსიქოლოგი გჭირდება გაძღვებისთვის, ატანისთვის, გაგრძელებისთვის, შენთვის, პატარისთვის... და უცებ აღმოჩნდება, რომ – უფროსისთვისაც, რადგან შიშისა და შემფოთების მიზეზი უნახავთ: ჩემი შვილის დასერილი ხელები! ესეც სხვისი პირით შემომითვალეს, რადგან ჩემი არც დრო და არც ნერვები გასწვდა მათ რჩევა-საჩივრებს.

ალარ მინდა... კმარა... არც თავს ვიმართლებ არავის წინაშე! მარტო ოჯახს ეხება პრობლემა პრობლემური ბავშვისა? დამიდექი ცხვირწინ და მომახალე პირში, რომ ცუდი დედა ვარ, ქვემომარაგებულო სანიმუშო საზოგადოება!!!

დედღვინია თუ ლოქო, ზვიგენია თუ ვეშაპი, შავია, ყვითელი თუ ლურჯი, რა მნიშვნელობა აქვს! მე მხოლოდ ნითელს ვხედავდი, როცა ჩემი ძველბაღეწილი შვილი დავინახე პირველად...

... იმ დილასაც ჩვეულებრივ გამაღვიძა ინსტინქტმა, ტვინში ჩამჯდარი მალვიძარასავით. ზუსტად იმ ხუთ წუთს ფხიზლდებოდა ხოლმე გონება, როცა ნიკა გადიოდა სახლიდან. კარის ჯახუნი გავიგე და თავი დავდე ისევე. დავიძინე. ერთი ჩვეულებრივი დღე მეგონა, რუტინული! მხოლოდ ის ჩაჰყავა გონებას, დღეს საქმელი რა მომეზადებინა.

რაკილა მარტო ქალები ვიყავით სახლში და ლიზიკოს სკოლაში წაყვანის ხასიათიც არ მქონდა, რამე სახელდახელოს მოვახერხებდი, დავმშვიდდი... დამეძინა...

ადგომის, ბავშვის მიხედვისა და სახლში საბზრილო საქმეების მერე ბაზარში გავიქეცი, ვიციოდი, ლიზიკოს კლასელები ამოიბრუნდნენ. სასუსნავს მოვიმარაგებ-მეთქი, ვიფიქრე. და, აი, მთელი დღე ჩანთე-ბაკიდებულ მხრებით, პარკებდაკიდებულ ხელებით სირბილისას ამოვიღე აზრიანული ტელეფონი ჯობიდან. ლიზიკო იყო. ცუდად მენიშნა. ყველაფერი მიწაზე დავყარე და ვუპასუხე. ტიროდა, თავი მტკივავო. ჯერ დავუყვავე, წელან მშვენივრად დაგტოვე, რა დაგემართა-მეთქი, უკან არ დაიხია, ძალიან მტკივა, მალე მოდიო. გამაყრებელი მანდვე დევს, ხომ იცი, დალიე, მოვდივარ-მეთქი... არა, ჩქარაო... გავითმე და ასე დავრჩი ერთხანს. ვილაკები მხარს მკრავდენენ, მეზუზუნებოდნენ, არაფერს ვგრძნობდი. მაშინლა ვნახე ნიკას დამრიგებლის მონაწერი, ეს დღეები რომ არ დადის სკოლაში, ავადააო? ისე უადგილოდ ვიდექი, ისევე გვერდს მივიღე, ან ვეღარ მივიღე ხალხი. ზანტად, ნელა, კარგად მახსოვს ეგ წამები, ტელეფონი ჩავიბრუნე, ყველაფერი ერთად ავიღე, რაც მიწაზე მენყო და ძალიან ცოტა, არ ვიცი, იქნებ ბევრი, მაგრამ დროის შეგრძნებადაკარგული ადამიანის აზროვნებით გავიარე გზა. თითქოს ჩეულებრივად ნათობდა ზამთრის მზე, ჩვეულებრივად თოვდა, ჩვეულად ხმაურობდა ქუჩა, მაგრამ შევედი. ვეღარ გავიარე, დედამინის ბრუნვას ვგრძნობდი თუ ცუდის მოლოდინი მე მახვევდა თავბრუს. ძლივს მივხვდი, რომ ისეც ტელეფონი ზრიალებდა ჯიბეში. ხელის კანკალით ვცადე ამოღება. ვცადე. დამივარდა. ვილაკ ბავშვი დაიხარა, აიღო და მომანოდა. ეგ მახსოვს, რომ ვუპასუხე და უცხოდ ხმის უცხო შეგრძნებებმა დამძალა, აი, მერე აღარაფერი – ნითელი ფერის გარდა...

... ერთადერთი, რაც ნაცნობად აღვიქვი იმ გაღაბნილ სახეებში გარშემო, მხოლოდ ჩემი ქმრის გავემებული, გაფართოებულ-თვალეებიანი, გიჟური გამოხედვა იყო! ისიც ჩემგან შორს, ახლოს მეტი არაფერი ჩანდა! თუმცა ეგეც მერე დავიხსახე, მერე, უამრავ სისხლში მოსვრილი ჩემი შვილის სხეულის აღქმის მერე. და, ჰო, კიდევ იმის მერე, ერთი თეთრხალათიანი რომ გადამიდგა, შემაჩერა, თვალეებში ჩამაჩერდა და ძალიან

ჩუმად, ძალიან ჩუმად მითხრა : ცოცხალია! გადარჩება! აი, მაშინ შევხედეთ ერთმანეთს ჩვენ, გადარჩენილი სიცოცხლის მშობლებმა და ამ წამიდან ისევ გაიღაბნა ყველაფერი! ღმერთო!!!

**

მამა (15 მარტი)

...ჰო, ჰო! იმასთან ვიყავი, როცა ეს ამბავი გავიგე. ჰო, მგონი ისიც მიხვდა, არანაირ მივლინებაში რომ არ ვყოფილვარ და ვატყუებდი. ახლაც... მანამდეც... ბევრჯერ არა, ერთი-ორჯერ ვიცრუე, რამდენიმე ღამე რომ დამეთმო მხოლოდ საკუთარი თავისთვის... მოკლედ, თავადაც ვეღარ გავერკვიე, რა ვთქვი და რისი თქმა მინდოდა! მაგრამ მართლა აგრე ვარ არეული, აბურღული საქმით, აზრით, ცხოვრებით...

თუ მარტო ესაა ჩემი დანაშაული, ამისთვის ვარ დასასჯელი და განსასჯელი, ცოლს რომ ვატყუებდი, ამაზეც აქვს ჩემს დაქანცულ ყოფას პასუხი: ის ქალია, ქალი... ხან იტირებს, ცრემლებს ამოაყოლებს ბოლმას, ხან განწყება, გულს მოიოხებს, ხან ნასტუმრად მეზობელთან ამოიყრის ჯავრს, ხეხვა-წმენდისას წააყოლებს დარდს ხვითქსა და ოფლს...

დამალა თანხის ძიებისათვის ზრუნვამ, დავალე ძმაკაცები ჩემი დაღრეჯილი სიფათის ყურებით, ამოვჭამე ცხოვრების სიტკბოს შესაგრძნობი ყველა რესურსი. და როცა მივედი იმ დასკვნამდე, რომ, სწორედაც, რაც გაქვს, ისე უნდა მიიღო, როგორც მოგეცა, დავმშვიდდი, თავი გავიმხნევე და ის განსხვავებულიც ვიპოვე... მაშინ მომანოდა სითბო, როცა გული მეყინებოდა, მაშინ დამეხმარა, როცა ვიხრჩობოდი, მაშინ დამასვენა, როცა ვიჩქებოდი... და ის რამდენიმე ღამე, მივლინების სახელს ამოფარებული, რალა იყო სათქმელად, თუკი ოჯახისთვის მაინც ვიყავი მზრუნველი მამა, არც საქმელს ვაკლავდი და არც ფულს... ვისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა, ნასესხები იყო თუ ნაკრედიტალი... ბავშვის წამალს ხომ ეყოფოდა...

ეგაა, მაინც და მაინც მაშინ რომ დამეცა ზარი, ჩემი უფნებელი ტყუილისა... მაგრამ ჩემი ლამაზი გოგოს დაღვნილი სხეულის დანახვამ მარტო გული კი არ გაყო შუაზე, ცხოვრებაც გააპო!!!

ჩემს საყვარელსაც დედამისი ამოჰყვიროდა: ცოცხალია? ხომ გადარჩებაო? იქვე ახლოს ვიდექი, მაგრამ მისი ღმუილის ფონზე ექიმის პასუხი ვერც კი გავიგე. რომ მიჩუმდა, მოეშვა, მოდუნდა, მივხვდი, სააქეთოს რომ ვრჩებოდი... ოლონდ იქვე გულნასული რომ ჩაიკრიფა, ფეხიც კერ დავადარი, იატაკს დავეკარი, სადღაც კედელთან ჩავვჯექი ყურებზე ხელებაფარებული და ასეც დავრჩი!

... შეყვარებულები რომ ვიყავით, ფილმების ყურება გვიყვარდა ერთად. მერე, ცხოვრებაშივე უფროს რამდენჯერ გამხსენებია, გასაჭირში ჩავარდნილი წვილი როგორ ერთმანეთის გამხნევებით, ჩახუტებით, გვერდით დგომით უმკლავდებოდა ცხოვრებისეულ პრობლემას, ტკივილს. ეს – ფილმებში იყო... ჩვენ... არ ვიცი...

ახლა უკვე ყველაფერი ფეხებზე მკიდა. პოლიციაში მოვიხვეთ დაკითხვებზე სიარული, ამ რაღაც დედაფეთქებული თამამის მსხვერპლი როგორ გახდა თქვენი შვილი... თქვენი დედაც და თამამისაც-მეთქი, მინდოდა მეთქვა, ვერ ვთქვი! რას მიზამდნენ?! სკოლაშიც დაგვჭირდებით ხოლმე... თქვენიც-მეთქი, ვიფიქრე... ჯერ ორი ეტლში ჩამჯდარი შვილის რეალური სურათი მედგა თვალწინ.

მოკლედ... თქმა ადვილია, მოყოლა ადვილია, წარსულზე ლაპარაკი ადვილია... ალბათ მოსმენაც არაფერია იმასთან შედარებით, რასაც გასაჭირის დროს გრძნობს ადამიანი, მაგრამ...

მაგრამ, ყველაზე დიდ ჭეშმარიტებას მაინც მივაგენი: ადამიანი ვერასოდეს იაზრებს, სად და როდის, როგორ და რატომ უშვებს შეცდომას, რადგან ყოველთვის შეუძლია თავის შებრალება, ყოველთვის პოულობს თავისი ქმედების მიზეზს, ყოველთვის აქვს თავის გასამართლებელი...

ვაჰ, მართლა ამ ჩემს უმადურ ყოფასა და ბედკრულ ცხოვრებას რა ვუთხარი!!!

თამარ გლურჯიძე კვირადღის ჩუქრები

თამარ გლურჯიძე. დაიბადა 1971 წლის 23 მაისს ქალაქ თბილისში. დაამთავრა პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. არასოდეს უფიქრია საკუთარი ლექსების არათუ გამოქვეყნება, ერთ-ორი უახლოესი მეგობრის გარდა ვინმესთვის ჩვენებაც კი. მის ცხოვრებაში დიდი ტრაგედია დატრიალდა, 2 წლის შვილიშვილი, ანთა, გარდაეცვალა და მისმა მონატრებამ მასზე ლექსების წერა დამანებებინა. ამ ლექსებს სოციალურ ქსელში აქვეყნებდა და სწორედ იქ მიანოდეს იდეა, გამოეცა კრებული. ასეც მოიქცა. კრებულში ასი ლექსია შესული, მისი სათაური „მოფერება ლექსებად“.

ალბათ თავადაც მიაქცევთ ყურადღებას, ამიტომ აქვე აღვნიშნავ ერთ უცნაურობას – ლექსებს და ჩანახატებს არ ვასათაურებ. გთავაზობთ თამარ გლურჯიძის ორ ჩანახატს.

ადამიანს ზოგჯერ ცხოვრება დაგაყენებს გზაგასაყარზე, დგახარ და არ იცი, საით წახვიდე. უმოქმედობის თითოეული წუთი კი შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომაც კი აღმოჩნდეს.

სწორედ სულაც არ არის ეს შენი ბრალი, მაგრამ ხდება. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.

ადამიანებმა იციან თქმა, ასეთ დროს ცხოვრება რალაცაზე გაძლევს მინიშნებას. იქნება ამაშიც არის რაღაც სიმართლე, თუმცა მინიშნება ერთია და ამ დროს ერთადერთი, რაც გჭირდება, სწორი რჩევა – როგორ მოიქცე, რა გამოსავალი მოძებნო?! სწორედ ასეთ გზაგასაყარზე რომ დადგა, მთელი ცხოვრება თავზე რომ ჩამოეგრდა და ნანგრევების ქვეშედიან სუნთქვა რომ გაუჭირდა, მიხვდა, სასწრაფოდ რაღაც უნდა ეღონა. ამასთან გაიხარა, რომ ამ დროს მეგობარი ვერ გამოადგებოდა – მეგობარი ყოველთვის სუბიექტურია, თან იმევე გადასახედიდან უყურებს ცხოვრებას, საიდანაც შენ. ალბო კარნახობდა, რომ ვინმე მხცოვან ადამიანზე უნდა მისულიყო რჩევის საკითხავად. ასეთი ადამიანი ცხოვრებას უკვე ისე უყურებს, როგორც მათეკლასელი ერთუცნობიან განტოლებას – ცხოვრების ბოლო საფეხურის ცნობიერებით შეიარაღებული ემოციურ მელიზმებს და ილუზორული მომავლის მაცდუნებელ პროგნოზებს გვერდს აუღლის, მხოლოდ არსს გაიაზრებს და პასუხსაც ასე ჩასწვდება. მეზობლის ქალი გაახსენდა, მარტოხელა მოხუცი, რომელსაც ასე კვირამი ერთხელ ახლო ნათესავი ქალი აკითხავდა, ულაგებდა, სადილს უმზადებდა, ურეცხავდა; ალბათ ბინის მემკვიდრეობით დატოვების იმედად, ან უკვე მყარი გარანტიით გულდამძვირებული. ეს მოხუცი კარგ ამინდში ხშირად იჯდა ხოლმე ეზოში გაბავალ აივანზე და სულ რაღაცას კითხულობდა. მაგრამ როგორ მისულიყო? არც იცნობდა. ან გაუღებდა კი ის კარს? ასეთ დროს, როცა არაფერი გაქვს დასაკარგი, აუცილებლად უნდა გაბედო, აუცილებლად! ხოდა, მანაც გაბედა. იყიდა ხილი, ნამცხვრები, კიბეები სწრაფად აირბინა და ზარს თითო რომ დააჭირა, მამინლა შეცბა და შემინდა. მისდაგასაკვირად, კარი მალე გაუღეს. ზღურბლს მიღმა სადა, ძველმოდურ კაბა-ხალათში გამოწყობილი მოხუცი იდგა.

– შემოდი, გიცანი, – უთხრა მოხუცმა და დაძაბულობაც უცბად გაიფანტა. ის ხომ სულ აივანზეა, როცა თბილა და თურმე ყველა მეზობელს ცნობს ასე შორიდან.

ბევრი ისაუბრეს, იმდენად ბევრი, რომ მზით გაჩახჩახებული ოთახი ძველებური ჭალის ნათებამ ჩაანაცვლა.

– როცა გაგიხარდეს, მოდი, არ მოგერიდოს, რა დროც არ უნდა იყოს, – ღიმილით დაემშვიდობა მოხუცი.

იმ ღამეს მის ბინაში ის არ შესულა, მის მაგივრად სრულიად განახლებული ადამიანი შევიდა. შუქი ანათო თუ არა, ბლოკნოტს და პასტას დაავლო ხელი და იმის შიშით, რამე არ დაშვინდესო, გაკრული ხელით სწრაფად ჩაწერა:

1. დაანებე თავი მოლოდინებს, მერე სულ ცდილობ, ცხოვრებას მათ მიხედვით აუწყო ფეხი და საკუთარ თავს და საკუთარ გზას კარგავ. შენთვის საჭირო მოლოდინები შენშივეა, მოუსმინე საკუთარ გულს და ინტუიციას და გაყევი მათ;

2. არასოდეს არაფერია გვიან, სანამ სუნთქავ. რადგან, სანამ სუნთქავ, ცხოვრება გრძელდება და ყოველთვის შეგიძლია, რაღაც შეცვალო;

3. ერთადერთი იარაღი, რითაც დამარცხებულიც ბედნიერი და ძლიერი იქნები, გულწრფელი სიყვარულია – რაც მეტი ადამიანი და რაც მეტი რამ გიყვარს, ცხოვრებაც მეტად ძვირფასია შენთვის და სრულიად განადგურებულიც აუცილებლად დადგები ფეხზე სწორედ ამ სიყვარულის გამო;

4. ნუ უყურებ სხვებს, სხვა სხვაა – შენ გაეცი სიტბო, სიყვარული, ღიმილი, გვერდით დგომა, რადგან როცა გასცემ, სამყაროს კეთილი ნების ელჩი ხდები, მის უსამართლობას შენი სიკეთით, სიყვარულით და მზრუნველობით ავსებ, მის ჭრილობას მალამოს უსმევ და ის აუცილებლად დაგაჯილდოვებს ამისთვის;

5. არ გაიკარო სიძულვილი და შურისძიება. იცოდე, ერთიც და მეორეც გულის და გონების ავთვისებიანი სიმსივნეა;

6. ვინც გვერდით დაგიდგება, არასოდეს დაივინყო, ვინც გასაჭირში მიგატოვებს, საკუთარი ცხოვრებიდან კეთილი გამგზავრება უსურვე;

7. ისევე ფეხზე რომ დადგები, არ დაივინყო ეს დარიგებები, თორემ ყველაფერი წყალში აღმოჩნდება ჩაყრილი!

დარწმუნებული იყო, რომ არაფერი გამორჩა. ამოისუნთქა, დამშვიდდა, ბლოკნოტი დახურა და ჩაელიდა. აუცილებლად დადგება ისევე ფეხზე, ეს დარიგებები კი არასოდეს დაავინწყება და პირველი, რასაც გააკეთებს, ამ მოხუცს ჩაკიდებს ხელს და წაიყვანს ზღვაზე, რადგან გულში ჩარჩა მისი ცრელშეპარული ხმით ნათქვამი: სიკვდილის აღარ მეშინია, მაგრამ ისე არ მინდა მოკვდე, ერთხელ მაინც არ ენახო მზის ჩასვლა ზღვის სანაპიროზე... იმ ღამეს ეს სათნო მოხუცი დაესიზმრა – ზღვის სანაპიროზე იჯდა და მზის ჩასვლით ტკბებოდა...

ერთ ჩვეულებრივ კვირა დილას მარტო იყო სახლში. გადაწყვიტა, არაფერი ეკეთებინა. ყავა მოიღულა, აივანზე გაიტანა, სიგარეტს მოუკიდა და უბრალოდ გაჰყავა ფიქრებს, რომლებიც თავად მოედინებოდნენ, დაუკითხავად. უკვე ისეთ ასაკშია, ძნელი რობაა, რაიმე რადიკალურად შეცვალოს, ბევრად ეიოლება, მისი ფიქრებით დინებას მიჰყვებს, ნულიდან კი უკვე ალბათ ვერც ევლარაფერს დაიწყებს. ამასთან, ქმრის, შვილების, მშობლების, სამსახურის წინაშე პასუხისმგებლობებიც ბოჭავს. და უცებ რატომღაც ფიქრებმა თითოეული მათგანი სათითაოდ აიკვირატეს.

ქმარი:

ადამიანი, რომელიც ახლა დარწმუნებულიც არ არის, რომ ნამდვილად უყვარდა, როცა ცოლად მიჰყვებოდა. უბრალოდ დრო იყო ასეთი – ქალი გარკვეულ ასაკში მაინც აუცილებლად უნდა დაქორწინებულიყო, თორემ მერე გაჭირდებოდა, კაცს კი ოჯახი უკვე კატეგორიულად სთხოვდა დაოჯახებას. ხოდა, ისინიც ასეთ დროს უხვდნენ ერთმანეთს. ქმრის მაგივრად ვერაფერს იტყვის, თავად კი მაშინ ეგონა, რომ უყვარდა, რადგან ესამოვნა მამაკაცის ყურადღება და მასზე დაქორწინების განზრახვა. მერე იყო ყოფილი თუ ოჯახური პრობლემები, არცთუ დიდად სერიოზული, მაგრამ იყო. ამასთან, ჯერ ერთი შვილი გააჩინა, მერე მეორე და ზოგჯერ უხაროდა კიდევ, ქმარი თუ გვიან მოვიდოდა, რადგან ყველა საქმეს რომ მორჩებოდა და შვილებსაც დააძინებდა, შვილები სჭირდებოდა დასვენება. მერე ნელ-ნელა გაცივდა ურთიერთობა, რუტინად იქცა, მაგრამ იყო ამ ყველაფერში რაღაც შეჩვეული და სტაბილური და ამიტომ ეს ნორმალურად მიაჩნდა. სხვა არანაირი ემოცია არ მოდიოდა ქმარზე ფიქრისას.

შვილები:

აუგს ვერ იტყვის, ცუდები არ არიან, სწავლობენ, უხარიათ, მომავლის გეგმები აქვთ. რა ხანია გაუშვეს ერთ დროს პანია,

ფუმფულა ხელები მის კალთას და თავი-ანთი გზებით დადიან. ერთადერთი, რაც ბავშვობის ჩვევებიდან გამოჰყვია, არის მის მართვა „დე“, ისიც მხოლოდ მაშინ ეძახიან ასე, როცა რაიმე სჭირდებათ, ისე სახელით მიმართავენ. დედის რჩევებს და აზრს თითქმის აღარ ითვალისწინებენ. მოუსმენენ, მაგრამ ბოლოს ღიმილით ეტყვიან „კარგი, რა, დე“ და სულ ეს არის. არა, დედა როგორ არ უყვართ, ერთხელ საოპერაციო რომ იყო, მთელი ღამე საავადმყოფოსთან გაათენეს და ძალიან ბევრიც ინერვიულეს. უბრალოდ უკვე სტუდენტები არიან და თავიანთი ცხოვრება აქვთ.

მშობლები:

ადამიანები, რომლებიც რაც დრო გადის, მეტად ძვირფასება. იქნებ იმიტომაც, რომ მეტად აცნობიერებს მათს ამაგს. ამ ბოლო დროს კი ერთი უსიამო რამ შემოეჩვია – რომ იხსენებს მათ დანაოჭებულ სახეებს და უკვე ისე მკვირცხლად ვერ-მოდრავ ხეულებს, ზოგჯერ არცთუ მძიმე, მაგრამ მაინც უძლურებას ხან წნევის და ხან ჯანმრთელობის სხვა პრობლემების გამო, გული ეკუმშება. რა გაუკეთა მან მშობლებს, რომლებმაც სიცოცხლე აჩუქეს, თავს ევლებოდნენ და დღემდე ისევე აქვთ ზრუნავენ მასზე და მის ოჯახზე? ვერაფერი. მათ სანახავადაც ვერ დადის ხშირად...

სამსახური:

სახე მოებრცია. არა, იქ განა ვინმე ცუდად ექცევა, არც კაბალური პირობები აქვს, უბრალოდ არ აინტერესებს ის საქმე, რომელსაც აკეთებს, არაფერში ჰყოფნის ის ხელფასი, რომელსაც იღებს და, შესაბამისად, არც რაიმე მოტივაცია აქვს იქ სიარულის. მაგრამ არ აქვს ფუფუნება ამ ხელფასზეც კი უარი თქვას და ყოველ ცისმარე სამუშაო დღეს ამ არაფრის გემო და ფერი რომ არ აქვს, ისეთ სამსახურში რობოტივით მიდის.

ახალ სიგარეტს მოუკიდა, „ნეტა ამ სიგარეტს მაინც გადავადგებდე“, მექანიკურად გაიფიქრა და გაფუჭებული ხასიათის გამოსასწორებლად ქმრის საყვარელ თაბაკს მიაშურა. მის ქმარს ვისკის კოლექცია ჰქონდა. სასმელებში ვერ ერკვეოდა, ამიტომ იმ ბოთლს დასწვდა, რომელიც უფრო ახლოს იყო. ჭიქა პირთამდე აავსო, სულმოუთქმელად გადაჰკრა და ისევე აივანზე დაბრუნდა. კიდევ კარგი, დროზე დაჯდა, თორემ უზმომე და მიუჩვეველზე სასმელის ამ დოზამაც კი თავებრუნ დაახვია. სამაგიეროდ, სხეული სასიამოვნოდ გაუხურდა და აქამდე უცნობი შინაგანი ბედნიერებანარევი თავისუფლების განცდა დაეუფლა.

„ვინ ვარ მე?“ ხმამალა, ოდნავ თეატრალურად ჰკითხა თავის თავს? „ვინ და“... მომდევნო სიგარეტს მოუკიდა და სიგარეტის ხელის ჰაერში მოძრაობით გააგრძელა, „ვინ და ადამიანი ნავსაყუდელის გარეშე. ეგ რა არის?“ ჩაიცინა „ეგ ის არის, არსად შენი ნავსაყუდელი რომ არ გაქვს, არსად არაფერ რომ არ ხარ. აი, მე არც ცოლი ვარ, ეს რა ცოლობაა, უბრალოდ დავთანხმდი ამ მეორეხარისხოვან, ყოველად უსახურ როლს; არც დედა ვარ, „კაი, რა, დე“ ვარ; არც შვილი ვარ, მშობლებს ვერ ვაქცევ ყურადღებას; სამსახურში...“ სახე ისევე დაეღრუჯა. უცებ მთელი გულით გადაიხარხარა...

ფიქრებმა დინება შეწყვიტეს, მაგრამ მაინც დიდხანს იჯდა აივანზე გაუნძრევლად. გონება სრულად გაეთიშა და ამ წუთიდან უკვე აღარაფერი ახსოვს.

მეორე დღეს სხვა სუნთქვა იგრძნო. ვერ მიხვდა, რა ხდებოდა მის თავს, მაგრამ აშკარად გრძობდა, რომ მის გონებასა და სხეულში რაღაც ახალი პროგრამა იყო ჩაშვებული, რომელიც სასიამოვნოდ ფუთ-ფუთებდა და ყოველწამიერად ცვლიდა მას და ალბათ მის ცხოვრებასაც.

„რა გემართება?“ – ჰკითხა რამდენიმე დღის შემდეგ ცოლის უჩვეული ქცევებით და გუნება-განწყობით შეცვლულმა ქმარმა. „ნავსაყუდელი უნდა ვიპოვნო, აუცილებლად“, – მშვიდად უპასუხა და თავი უამრავი წლის მანძილზე პირველად იგრძნო მნიშვნელოვან ადამიანად.

ბორის მღებრიშვილი

განთიადამოე გეძებ, რომელიც!

(უკრავს გოთიკა)

ვთელი გასასროლად გამზადებულ ნაღმივით და ცდა აღარ შემომრჩა აღარცერთი, გეძებ, უფალო, ვენებდანყვეტილ სტრიქონიდან ბლავილით დამცდა, სადღაც ხელკავით წაიყვანეს ქარში უკვალოდ

რწმენა და ისე გამოვიხარ შიგნიდან, ვგონებ, დასასრულიდან მოცოცავდე, თუმცა წილნაყარ ქვეყნიდან მოველ, რომ მინიდან გამოგეგონე და გადახეულ წმინდა წერილს კრძალვით ვინახავ

არემი გულის, დავიჩოქებ მუხლებით და მეტს შეგთხოვ არაფერს, ისე წავალ ჩემებრ მთვარეულ ალსარებიდან, ვირჩევ ლექსში სტროფებით ცამეტს და იალბუზთან მოგაბარებ რიტმარეულ

ძგერას მინისას, მიცვალების იქიდან რომ ჩანს, მოვისხამ სიკვდილს რომ მაკრთობდა ასე ნიადაგ ალბათ, არასდროს არ ეტყვიან ღირსებას „ყოჩაღ“-ს და არც იესო აღარ მოვა გალილუდან.

უფალო, ჩვენში ყველა დედა ამორძალია, დახიე უკან წელთა კადრი, იპროლე და ნახავ, ილია ისევე წმინდა და მართალია, მღუმარ მთებივით და მისვრიან იმ სიგრილიდან,

სადაც აფარებს განდევლის აზრილი თავს და იქ, სადაც წარსულს ადევს ანწყო მძიმე ურდულად, ყორანებიან აკლდამებში ეშმა განთავსდა და პოეტებიც ცეცხლისმაგვარ ხრავენ პურთულებს

ნასროლი ტყვიის, რომ ფიცავენ ძმობას ძველებურ ყაიდაზე კი ცვლიან ვაზნებს, რათა გამიზნულ ესროლონ წყვილად, სანამ სისხლის ამოხველებულ ხმას არ გამოსცემს გახეთქილი ფილტვით ქარიზმა.

(უკვე სინტაქსი შევიწოვე, აღარ ვსვამ ნერტილს) ვგრძნობ გარემოში შემოჯარულ აზრილ-წინაპართ, ვნერ და ხმა მესმის, თუმცა ბუნდად და წყვეტილ-წყვეტილ გასროლილ ბგერებს ვკრავ კონებად და ხან წინა ვარ,

ხან კი საერთოდ არ ვშობილვარ, ძვლებამდე დახრულ წყეულებს შორის ვდგავარ ახლა, მასრებით დაცლილ იარაღიდან ვისვრი მიჯრით ლექსს, ჯვარზე გაკრულს და სულს გაბარებ, შემოქმედო, ფრჩხილივით აცლილს.

განთიადია, დაქანცული პოეტი ისევე და ისევე ებრძვის ჩასახლებულ მშვიერ მირაჟებს, ღამე სიკვდილის მოპარვისთვის ბრბოს შემომასხევს, რაკი წარვდგები თავდახრილი მხოლოდ წინაშე

შენი და ვფიცავ სატანებთან ართავჩაღუნულს უკანასკნელი მჭიდვით, რომ გავტენი კალამს საკუთარ სისხლით და თუ მხედავ წელში გალუნულს, ერთი პოეტი მომამველე, რომელიც ადამ-

იანად შობე... ჩქარა, ბოლო სტროფებს ვაფეთქებ, – მოდი მედროშე, მეომარი ისე არ გეკვია, ვამბობ, მეტია, რომ ქართველი პოეტი-მეთქი ვიდრე ბნელეთის მთელი დასი, იერარქია.

ვენებდანყვილ სტრიქონიდან ბლავილი დამცდა, სადღაც ხელკავით წაიყვანეს რწმენა უკვალოდ, მე კი ნაღმივით მონიკნიკე წამებს ვთვლი და ცდა აღარ შემომრჩა აღარცერთი, გეძებ, უფალო!

იქცახეში

ხელებმოცხცახე, სახით გაფითრებულ, მზერამიყინული, როგორც ქანდაკება, როგორც მომლოცველი, ცივ და გარინდებულ ცოცხალთ აკლდამაში ვდგები ქადაგებდად

და ვნერ იმედით და დარდით ამბონის. ისევე დედაჩემი... ხილვა ყოფილია. ხელში მეფანტება ცრემლის ავგაროზი. ცრემლი-დედაჩემის მკვეთრი პროფილია.

სიტბოს, სამოსელის თვლებში ჩაბუდებულს, ვგრძნობ, მის თითებიდან ქსოვილს ჩამარხია. მოჩანს დედაჩემი, როგორც განდევილი... ზეცამ წყვილია კი თავს გადამახია,

რომ მეც დავიჯერო ქარის, გაზაფხულის. სენი შემეყარა, ციხე-სახაღია. თუმცა დაღლილი და სახედნაფრული, მაინც დედაჩემი კალმით ნახატია.

ვნერ და შეგუბებულ ტანჯვას, ენითუთქმელს ვამჩნევ, უშვილობა-შობის ტკივილია. ვიცი, დედაჩემი თვალებს ღამეს უთევს, თოვლიც დედაჩემის თეთრი ტირილია.

ვნერ და ჭრილობები მრჩება ნაკვეთარი, აღარც ის ხელები არ მეფერებია. სული მოგიტანე, ღმერთო, საკუთარი, ხმა კი დედაჩემის ლოცვის ბგერებია.



თორნიკე ბობნიაშვილი

მზრისობა

ნელა ფითრდება, ეს დღეც კვდება ნელა, ფარფატი, გულს რომ ხიბლავდა, ის იებიც ჭკნება, იმქვერევა, აღარც ოცნება – აჩეხილი, მგოსნების კარტი, აღარც განწყობა პოეზიის, არც დაფიქრება. დღეს ერთადერთი, რაც კი მრჩება, მხოლოდ ტრფობაა, ტრფობა, რომელიც აყვავილებს სულეთის ვარდებს, ესეც რომ გაქრეს, ცხოვრებაც ხომ უაზრობაა, არ განმიკითხო, გევედრები, კვლავ მსურს მიყვარდე.

შენ

ეს სურვილები სიბერეს არ ცნობს, არ ცნობს ეს გული შენზე სიბრაზეს, აყვავებული ვარდივით ანცო, ვეთაყვანები მე შენს სინაზეს. რა არის მაინც მაგ თვალთა ბრწყინვა, რა საოცარი, სხივმოკამკამე, მე შევამჩნიე, დიდი ხნის წინათ, როგორ აფენდი ლამაზ ნამნამებს. მე დაგინახე დიდი ხნის წინათ, აელვარებულ ყვავილთა მწკრივში, და შეგადარე ვარსკვლავებს მბრწყინავს, და სამყაროში მეორედ ვიშვი. ეს წრფელი გრძნობა სიბერეს არ ცნობს, გრძნობა, მინის და ცის დამმუხვები, აყვავებული ვარდივით ანცო, რა არის მაინც შენი ტუჩები...

ცხოვრების წახე

აქედან როცა ჩემს გამოვლილს ვუყურებ მანძილს ნუთისოფელში, ცხადად ვხედავ, ცხადად საესებით,

რომ გამუდმებით გრიგალი და ომია თვალწინ, მთელი ცხოვრება ბედისწერას ვეთამაშები. მთელი ცხოვრება ჩემს ცხელ გულში ნაღველი ელავს, და შავ ღამეთა წყება მესხმის თავს, ვით მაქცია, მაგრამ ერთი რამ, ერთი რამე იცოდეს ყველამ, მე ვერაფერმა, ვერაფერმა ვერ ნამაქცია.

ყველა თოვლი

დღეს ისევ ისე მოვიდა თოვლი, ისევ დუმილით, თეთრი თითებით, და შენ, გადაღლილს ქარების ქროლვით, გეამა ფიფქთა მარგალიტები. შენ შეაგებე ნაზ ფიფქებს სახე, თეთრი ხელები, თვალები წყნარი, მარადისობა შენ დაინახე, მარადისობა დაუვიწყარი. მრავალი ფიფქი გაჩნდება კიდევ, კიდევ უამრავ ქუჩებს მოივლის, და შენ იფიქრებ: მე გავიღვიძებ, და მხოლოდ თოვლი დამხვდება ირგვლივ. და მეც მექნება ამ თოვლის სახე, ფიფქების გული და ფიფქთა ძალა, ამ ერთ დროს ურღვევ კარებს გავაღებ, და თოვლის ღვინით დავთვრები მარად.

გინდაც დამსეროს ცხოვრების ეშვმა, გულზე დატოვოს კვალი ბებუთის, ორივეს ვეტყვი – ღმერთსა თუ ეშვამს, ჩემი ცხოვრება არც თქვენ გეკუთნით. მე ჩემი გულით დავდივარ მხოლოდ, მარტოსულობის ღვინოთი საესე, და ვიცი, მარტო ვიქნები ბოლოს, ცხოვრების ბოლო, ეკლიან გზაზეც. ახირებული კაცი ვარ თუმცა, ბედნიერი ვარ ქვეყნად გაჩენით, მე მართალი ვარ საკუთარ გულთან, წყალს წაუღია სხვა დანარჩენი.

ყოფას აღარ აქვს ისეთი გემო, როგორც ჰქონდა, (როგორც წესია), რადგან არ ვიცი, ძვირფასო ჩემო, ბედისწერა ხარ თუ პოეზია. რადგან არ ვიცი, ცხოვრებას ახალს, როგორ შევეწყო ჩემი წესებით, გულს რაღაც უშნო ტკივილი მარხავს

და სხვა გულს ვერვის ვერ ვესესებ. ეს სიყვარული დამფერფლავს, მესმის, როგორც ქალაქებს ცეცხლის ენები, და ეს პატარა, ბავშვური ლექსი, გახდება ჩემი განსასვენები.

თითქოს ცხოვრება ცუდი ტილოა, უამი მიდის და მტვერი ედება, ღმერთო ჩემო, რა სასაცილოა, რომ ცოტა არის ბედნიერება. და რა ბევრია ტანჯვის ლანდები, ყველა გზაზე და ყველა შარაზე, ხანდახან ფიქრობ, რად იბადები, ან რას აკეთებ ამ ქვეყანაზე.

წომხნციონის გული

ცხოვრება ადრე ცოტა მაინც რაღაცას გადდა, ახლა სხვაგვარი ცხოვრებაა, უფრო აყვია, შედეგებია სისხლისფრად და სევდისფრად ფარდა, გული კი ხალხის უმეცრების ცეცხლში მარხია. ცხოვრება ნახდა, რას გაუგებ სამყაროს ახალს, ცეცხლის თვალებით მომზირალს და ზიზღით შემოსილს, ყველა რაღაცა საიდუმლოს მალავს და მარხავს და ცოტა ქართველს სჭამს ტკივილი საქართველოსი. ყველგან ტკივილი, ყველგან შური, ყველგან დებოში, კეთილი გულის ცოტა დარჩა საქართველოში.

ცხოვრების ბილიკს კანკალით მივდექ, მაძლევს ილბალი ყვითელ ბარათებს... მე ვულაღატებ თვით უფალ ქრისტეს, საკუთარ გულს კი ვერ ვულაღატებ. მე დღეით ვცხოვრობ, არ მჯერა ხვალის, დღე ხვალინდელი ბნელი ხევი, ბოროლის სული მაქვს და ნუკრის თვალი, ატირება და მსხვერვა მჩვევია.

შეხვედ ჩვენს წინ გაძარცვულ ვერხვებს, ფოთლებს, ჩაბნეულს ქარის თეთრ თმაში, ჩვენც ავტირდებით, ძვირფასო, ერთხელ, ჩვენც დავირწვევით ცრემლების ტბაში. ჩვენც, ჩვენც ვიპოვით სივრცესთან კავშირს, ჩვენც დავვანდებით ცისკრის ლოდებთან, მაგრამ, ნეტავი, იმ ჩვენს ნიაღში, ქრისტეს თვალები თუ გამოჩნდება?



შოთა ცოცონიძე

სა აწ მიქცებით

ჩამოვედი და მონატრება ვიგრძენი დედის, მაგრამ რაც შევქმენ, შევიძინე, შენი მადლია; მაინც სიცხიან ვაჟსავით მეძახდა მთები, შენს სიყვარულში ლიბოსმდები, ჩემი გადია... ტატოს ცრემლნარევ მტკვრის ნაპირებს როცა ჩაივლი, თან ბუმბერაზთა სავანე რომ დაგცქერს ზემოდან, ათვალეურებ ჩუქურთმიან სახლებს, აივნებს, ეს ყოფნის ხოლმე დარდიან გულს მთელ დღეს ზეიმად... ვამაყობ შენი წარსულით და ველი უკეთესს, მახარებს შენი სიდიადე, მწყინს, რაც ნაკლია და კარგად ვხედავ, ხვალინდელ დღეს ვინ რას უკეთებს; მაინც ვწრიალებ, ვერ ვისვენებ, რაღაც მაკლია... ვინ საით მიდის, გზებმა იცის მხოლოდ იმისმა, ეკლიან ვარდებს გაივლის, თუ

იასამანებს; მაჩაბელივით თუ დამკარგა ჩემმა თბილისმა, აქ არ მეძებოთ, მთა იქნება სულის სავანე!..

მე მთისას რაქოყ...

სულს რაც სწყურია, დავეძებ მთებში, აქ სულ სხვა არის მზეცა და მთვარეც, ზღვა სიყვარული კი არის ჩემში, ზღვა კი მთასავით ვერ შევიყვარე...

მთა, ცივი წყარო, ტყე, იალალი, ყვავილთა მთელი ფერადი გამა; ცას შეკიდული არწივი ლალი, ღამე ნადირთა ცხოვრების დრამა...

ტყეში ვჭრი შეშას და ტყის სურნელით ვსუნთქავ და ვხარობ, რომ მაქვს მამული, ნატვრის ახდენას რასაც სულ ველი, სადღაც გულშია გადამალული!..

ჩემი ბავშვობა გულზე ხელს მკიდებს, ვინ იტყვის ამას, არა იყო რა: ვმწყემსავდი, ვხნავდი, ვთოხნიდი კიდეც და ვუთბავდი ბალახს ნიკორას..

ბოდიშს მოვუხდი ზღვის მოტრფიალეთ, მე მთამ შემქმნა და ვიცი, მთა განმლევს; ღვინით ავავსებ თიხის ფიალებს, მათ ზღვის შესვან და მე მთისას დავლევ...

ერთხელ უჩემოდ...

აღბათ სოფელში დიდი თოვლია და ზეცას კვამლი აკლია ბუხრის; აფსუს, ავსებულ ჩემს დედულ-მამულს, მაშინდელივით რომ აღარ უღბინს...

თოვლი თეთრია, სუფთა და წმინდა, აქ თოვლში მე ხომ ბავშვობა დამრჩა; სახლი ბევრია, მაგრამ რად გინდა, კარის გამღები არავინ არ ჩანს...

ეს დღეც გაივლის, არ დაბრუნდება, შენი თვალების მზერით გამთბარი; ერთხელ უჩემოდ გაზაფხულდება, ერთხელ უჩემოდ მოვა ზამთარი...

სტეილის რეცა

თვალი კარგია, გონი თუ მართავს, წამო, გაჩვენებ მაგიურ ფერებს, შეთხზულს კი არა, ნაღდა და მართალს, გასაშტერებელს და მოსაფერებს.

მე ვარ ამ მინის მწყემსი და მეფე, ნადარბაზევზე ავაგებ დარბაზს შადრევანიდან ავარდნილ შხეფებს, მინა შეინოვს მირვნად და აზრად.

როცა მნათობი რიფრაჟად ავა, მივეახლები სამების კარებს და ცხოვრებასთან გამართულ დავას დროებით მაინც გავატან ქარებს.

ჩემს ძმებთან ერთად გავინადირებ და მთების იქით მტერსაც დავაფრთხოვ, ვამართლებ იმედს და დანაპირებს, გამოცდილ სასმისს პირქვე დავამსობ:

ასე დასცლოდეს მტერი ჩემს მინას, მას, ვინც სიკეთის თვალს არ მარიდებს; ღმერთო, აცილე ბოროტი მიზანს, სულს – დაბერება და სიღარიბე.

დამრეც სათიბებს შევუსევ კაცებს თეთრ წინსაფრებით და სიმღერებით... (ეს სურათი კი წარსულს მოგტაცე) და სიხარულით მითრთის ხელები.

ამ სამოთხეს და სამეფო ადგილს, მწვანე ფერდობებს და კლდეებს ქვიანს ადგილის დედის სურნელი ასდის, რასაც სახელად სამშობლო ჰქვია.

წავიდნენ წლები, ბევრი ღამე თეთრად ვათიე, იყო ტკივილიც, სიხარულიც და დაღვრა ოფლის; ზოგი დღე იყო, მიმაფრენდა, ზოგიც ვათრიე; ვიყავი მაინც მორჩილი და ერთგული სოფლის.

აი, ჩემი მზეც გადინია, ისამხრა კიდეც და გულით მაინც ვერ ვისვენებ და ჩემსას ვჩემობ; ახლა დრო არის, რაც დავთესე, რომ უკვე ვმკიდე; დამადე შუბლზე თბილი ხელი, სიცოცხლე ჩემო!

მეც ამ სოფელში უკმარობის გრძნობით დავდივარ, გამოგზავნილი მზის ქვეშეთში უფლის თავდებით; ნუთისოფლისთვის დანერილი ერთი ლექსი ვარ, წამიკითხავენ ლოცვასავით და გაგვთავდები...

ჩემო ელიოზ!

ჩემო ელიოზ, კაცო უკვე ახლა ხნიერო, ნატვრის ხე თუკი ღია ცის ქვეშ ძებნე, ვერ ნახე, შენ უკვდავება გიპოვნია სამაგიეროდ, მე კი მართლაც საძებნელად მივდივარ კახეთს...

ქალი

გაჩენის დღიდან მოდხარ ასე: ატარებ გრძნობებს ფარულს, გამხელილს, კაცობრიობას სიცოცხლით ავსებ, გადგას გვირგვინად დედის სახელი.

ხარ სილამაზე ზეცისმიერი და სურნელთა ქართლის ბაღების, ქალურ სისუსტით შენ ხარ ძლიერი, ნებისმიერი ციხის ამღები.

შენ გზას მე სხვა გზას ვერ შევადარებ, გზა რთული გაქვს და უცხოვ ხვეული... ღვთაებრივი ხარ, რომ დაატარებ ლამაზ სიცოცხლეს ლამაზ სხეულით.

▶▶ დასასრული. დასაწყისი "ლს.№7

ცხადია, უნამუშევროს ამ სიტყვებს რეაქციის გარეშე არ ჩაუვლია, თუმცა ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფილოსოფოსის მიერ ფაქტის შეფასება, რომელიც ასე კარგად მიესადაგება ველბის, დიმიტრი უჩანეიშვილის ეგოიზმით შეპყრობილ გმირს, ვისთვისაც ღმერთი მოკვდა, ვინც სულიერ ინვალიდად იქცა და ყველაფერი, სუიციდით კი, მისთვის დასაშვებია.

ლოზუნგი: „გაუმარჯოს სიკვდილს“ ისე ჩაგვესმის, თითქოს ეს ველბის ნამოძახილია.


პიესამ „არჩი და ქეთ“, 2016 წელს, Badenweiler-ის დრამატურგიის საერთაშორისო კონკურსზე ვერცხლის პრიზი დაიმსახურა. პიესა ცოლქმრულ ურთიერთობაში გადაზრდილ სიყვარულზე, რწმენასა და მოვალეობაზე, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მიერ მოქალაქეების ტოტალურ დევნაზე, თვალთვალსა და შევიწროებაზე მოუთხრობს მკითხველს – „დანაშაული ჩადენილი რომ არ ჰქონდეს, მაინც ვუთვალთვალედით“; „დარწმუნებული რომ ვიყოთ მის მომავალ უდანაშაულობაში, მაინც უნდა ვუთვალთვალოთ“, – ამბობენ პიესის გმირები, მწერლის მიერ მინიმალური საშუალებებით, დამაჯერებლად წარმოსახული დიდი სახელმწიფო მანქანის ერთგული ჭანჭიკები – დეტექტივები. მთავარია, სისტემას ემსახუროს და საკუთარი არსებობა გაამართლო. ამისთვის კი ისეთი რამ უნდა იცოდეს, „რასაც ადამიანი ზოგჯერ საკუთარ თავსაც ვერ უმხელს“. მსხვერპლი ხელიდან არ უნდა გაუშვას, მუდამ მის შორიანხლოს უნდა იტრიალო. თანაც თავად მსხვერპლმა ეს კარგად უნდა იცოდეს, უნდა დაარწმუნოს, თუ გინდა, რომ ყველაფერი თავისთავად მოხდეს და დაიჯეროს, რომ მუდმივი დაკვირვების ობიექტია. სახელმწიფო მანქანის სისასტიკე და თავისუფლების შეზღუდვა, დევნა, როგორც ჩაგვრის ფორმა, თავად ადამიანის პასიურობის შედეგია, რადგან საკუთარი გულგრილობით იგი თავად ახალისებს ძალადობას. სამოქალაქო ინფანტილიზმი ის, რაც ტოტალურ ძალადობას გზას უხსნის. ხოლო ვინც არ რეაგირებს და მტკიცე და ძლიერ დამოუკიდებლობას არ უპირისპირებს მას, ცინიზმისა და დესტრუქციის მსხვერპლი ხდება.

კვლავ მწერლისათვის ასე ახლობელ, ძვირფას ქვეყანას მივუბრუნდეთ. ამჯერად ნეაპოლს ვსტუმრობთ. „აქ, ნეაპოლში“ – ასე უნოდა დიმიტრი უჩანეიშვილმა პიესას, რომელიც ვიტორიოს გაურკვეველ პირობებში გაქრობის, მიმალვისა თუ დაკარგვის ამბავს გვიყვება. აღმოჩნდება, რომ ყველანი, ვინც ვიტორიოს უცნაური გაუჩინარების საქმეშია ჩართული, მისი ძებნის პროცესში საკუთარ თავს ეძიებენ. მწერალმა პერსონაჟებისა და ხასიათების საინტერესო ექსპოზიცია შემოგვთავაზა. მან გვიჩვენა, როგორ უშლიან ხელს სახელმწიფო სტრუქტურები ადამიანს საკუთარი თავის ძიებასა და პროვინციული ღირსებების წარმოჩენაში. ვიტორია სიმბოლური, კრებლთი ეგოა. მის ამბავში ჩაღრმავება, თითოეულის შინაგანი არსის გააზრებაა. ყველაფერი კი თამაშია. თამაში როგორც პასუხი ნებისმიერ იერარქიულ და ტოტალიტარულ სტრუქტურაზე, პოსტმოდერნიზმის ნიშანი, ისევე როგორც დიალოგი და ცხოვრების კარნავალური განცდა, რაც რელიგიურად იკვეთება დიმიტრი უჩანეიშვილის პიესებში, შესაძარებლად სახელოვანი იტალიელი პოსტმოდერნისტი მწერლების, უმბერტო ეკოს, გენევატ ტონინო გუერას მხატვრული შემოქმედება ივარგება.

ვიტორიოს ძებნისას ირკვევა, რომ თურმე მასიმო, ჯოვანი, პაულოცი, დანილო, გაუცნობიერებლად თამაშობენ. ყველანი სიკვდილს ეთამაშებიან და თუ

ცოცხლები დარჩებიან, მაშინ ვიტორიოც იცოცხლებს, რადგან ის მათი განუყოფელი ნაწილია: „ის ცოცხალია, რადგან ჩვენ არ ვკვდებით“, – ამბობს ჯოვანი... „ჩვენ უკვდავები ვართ“. მთავარია ძიების პროცესი და არა შედეგით ტკობა, რადგან საკუთარი თავის ძიება ეგზისტენციური შიშისგან გათავისუფლებს და უკვდავების რწმენას გმატებს. ასეთია პიესის დედააზრი, რომლის პერსონაჟები წუთიერი ცხოვრებით არიან დაკავებული და არა მომავალზე ფიქრით როდი ინუხებენ თავს. ყველაფერი, რაც იმ ერთ ოთახში ხდება, მოიაზრება როგორც საზოგადოებისთვის სილის განვლა. თავაშვებული, უზენო, ქარაფშუტა ადამიანები, სიგიჟის ზღვარზე მისული უპასუხისმგებლობა და განუკითხაობა, ცხოველური ინსტინქტების ზეობა, ღირებულებათა აღრევა. მეორე მხრივ, მსჯელობა შობის დიად

ტექნოკრატიული ეპოქის ადამიანის გულწრფელი მესაიღებელი



საიდუმლოზე და ნამდვილი მამის აბსურდამდე მისული ძებნა.

ამ ადამიანებმა მამა დაკარგეს, რადგან მათ დაკარგეს სამყაროს მამობრაველი ძალა, რწმენა. და ვიდრე არ ირწმუნებენ, ვიდრე არ აღსრულდება მთავარი მოძღვრისკენ შებრუნების მისტერია, მუდამ ასეთ ქაოსსა და გაურკვეველობაში იქნებიან, ხოლო პიესის პერსონაჟები ვერასოდეს მიაგნებენ ჭეშმარიტ მამას. მთავარი ის კი არ არის, ვინ შობა, არამედ რისთვის იშვა ადამიანი სამყაროში. და ვიდრე ეს კითხვა ვერ კიდევ უპასუხოდ რჩება, მშვენიერი დრამის, „ოთახის“ პერსონაჟები ერთი ინტერესით, ნამდვილი მამის საპოვნელად შეკრებილი ადამიანები, ბუნდოვანებასა და უსაგნო ფაციფუცში გააგრძელებენ ცხოვრებას.

პიესით „ციურ ბადეთა კუნძული“ ავტორი შეყვარებულია სხვა ხარისხის ურთიერთობაზე გვესაუბრება. ლიტერატურული სუბკულტურის მეთოდის გამოყენებით აგებული დრამის საფუძვლად აღებულია იაპონელი მწერლის მონძემონ ჩიკამაცუს სამოქმედებანი პიესა „შეყვარებულია თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, რომელიც დონალდ კინმა, ამერიკულ წარმოშობის იაპონელმა მკვლევარმა „ჩიკამაცუს შედეგად“ მოიხსენია. პიესა მწერალმა ჯემალ აჯიაშვილმა გადმოაქართულა და ნლების წინ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე წარმატებით დაიდგა. აღსანიშნავია, რომ ჩიკამაცუს ამ პიესით, თეატრმა დამდგმელ რეჟისორთან, მედეა კუჭუნიძესთან ერთად, იაპონიაშიც იმოგზაურა. იაპონელების „განაჩენი“ ამ დადგმის ნახვის შემდეგ ასეთი იყო: ქართველების მიერ ჩამოტანილი სექტაკლი ძალზე საინტერესოა, მაგრამ ეს არ არის კაბუკის თეატრი.

იგივე შეიძლება ითქვას დიმიტრი უჩანეიშვილის პიესაზეც. თუმცა მის მიერ უცხო დრამატურგიული მასალის მოშველიებას სხვა მიზანი ჰქონდა. მწერალმა ჩიკამაცუს პიესა თანამედროვე ფსიქოლოგიურ დრამად მოიაზრა და თემის ორიგინალური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. ოსტატურად განყოფილი დიალოგებით, რაც ცხადყოფს შეყვარებულების სიკვდილისთვის მზადებას, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილით, სიკვდილის აქტისადმი ფსიქო-ემოციური განწყობა ერთგვარ თამაშს ემსგავსება, რაც მწერალმა საინტერესოდ, ამასთან ირონიული შეფერილობით აღწერა. იკლავენ თუ არა თავს, ბოლოს და ბოლოს, შეყვარებულები – ჯიჰვი და კოჰარუ, რისთვისაც ასე გულმოდგინედ ემზადებიან? ამ რიტორიკულ კითხვას დიმიტრი უჩანეიშვილის ფსიქოლოგიური უღერადობით განმსჭვალული დრამა-

ქალს. აწრდილიც კი, როგორც სიმბოლო, სცენაზე მის დასახმარებლად წამოიშობება. ბეატრიჩე ქმრის პანაშვიდი ხელახლა უნდა გადაიხადოს, ამისთვის კი აუცილებელია გვამის ოთახის შუაგულში დასვენება. სარკაზმით სავეს სცენები და ქალის განცდათა სრული კრახი და უსაფუძვლობა. ალფონსო რიკერტი სამარეში არ განისვენებს. ექსპუმაციის შედეგად ირკვევა, რომ საფლავი ცარიელია. უფრო დიდი ცინიზმი, ალბათ, წარმოუდგენელია.

შეიდი წლის ბიჭის, ადისა და სამოცდაათი წლის უსახელო პროფესორის ამბავი გათამაშებული რადიოპიესაში „გაკვეთილი“, ადამიანის დეტატორად ფორმირების პროცესს ასახავს. მრავალი მოვლენა მწერალმა ერთმანეთთან დააკავშირა, განაზოგადა და საინტერესო ალგორითმი შექმნა. ძალადობის მსხვერპლი ერთნაირად შიძლება იყოს როგორც

ტურგია ატონლობას საფუძველს აცლის და სამყაროს ჰარმონიული განვითარების აუცილებლობისკენ იხრება.

დიმიტრი უჩანეიშვილისთვის, როგორც მწერლისთვის, ცხოვრება სიკვდილისთვის მზადების თამაშია – ღირსეული სიკვდილისთვის. თუ შეყვარებულებს – სოფელსა და ზემთასოფელში ერთად ყოფნა სურთ, მაშინ მათი გადანყვებილება აშკარად მცდარი და მიუღებელია. თვითმკვლელობა, ქრისტიანულ მორალზე აღზრდილი მწერლისთვის, არა მხოლოდ უდიდესი ცოდვა, ფარისევლობაა. ჯიჰვისა და კოჰარუს მზადება სიკვდილთან შესახვედრად, ათასგვარი მიზეზები, რაც მათ ძალისხმევას აფერხებს და თვითმკვლელობის აქტი უსამველოდ ინელება, მიგვანიშნებს, რომ შეყვარებულთა ერთად ყოფნა მრავალზე მრავალი წელი გაგრძელდება. აქ, დედამიწაზე, ისინი ერთად გალევენ წუთისოფელს. ღმერთები იცინიან, ჯიჰვი და კოჰარუ კი განაგრძობენ თვითმკვლელობის საშუალებათა ძიებას და სუიციდში ოსტატდებიან.

„სად არის ალფონსო რიკერტი?“ – ის არსად ნასულა, არ გარდაცვლილა, ჩვენ გვერდითაა, სულ ახლოს, იმისთვის, რომ ლაკმუსის ქალაქად იქცეს ახლობელთა და ნაცნობ-მეგობართა ყალბი განცდებისა და უზნეობის გამოსავლენად. ცნობიერ დონეზე, ადამიანი განსაკუთრებით ძვირფასი ხდება, როდესაც მას ვკარგავთ, იმდენად ყოვლისმომცველია ეს განცდა, რომ შესაძლოა, თვითმკვლელობისკენაც კი გიბიძგოს. მაგრამ არის კი 50 წლის ქვრივის, ბეატრიჩე რიკერტის გრძნობა დანამდვილებით გულწრფელი? იყო კი ნამდვილად ალფონსო რიკერტი ის პიროვნება, ვისთვისაც ღირს თავგანწირვა? ასეთი აზრები უჩნდება მეუღლის ერთგულებასა და მიანი ეგოსტია და უზომო მწუხარების მიუხედავად, ფიზიკურად გადარჩენის ინსტინქტი იმარჯვებს. მით უფრო ისეთ გარემოში, სადაც სულიერი ხსნის გზა ნაკლებ აქტუალური და ეფექტურია. სად შეიძლება ალფონსო მოხვედრილიყო მის მიერ განვლილი სააქაო ცხოვრებით – სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში? მიიზარა კი, საერთოდ, მისი სული უფალმა! ბეატრიჩეს გადარჩენასა და ცოდვისგან ხსნისთვის მთელი სამღვდლოება მობილიზებული. მოვლენები დეტექტიური ფანრის თანმიმდევრობით ვითარდება. მთავარია, თვითმკვლელობა გადააფიქრებინონ მწუხარებით დათრგუნვილ

ბავში, ისე ზრდასრული ადამიანი, პროფესორი. რა ინვესტ მას, ძალადობას? საკუთარი პიროვნების ხელოვნურად გაზრდილი მნიშვნელობა, სხვა ადამიანის კონტროლის შესაძლებლობა თუ კომპლექსების დაკმაყოფილება. ცნობილ დეტატორთა ბუნება და თვისებები, ზოგადად მათი ქცევები, მწერლის მიერ მოთხრობილი ამბავი, დრამატურგიული მოდელის ფორმით მოწოდებული, პრობლემის მხატვრულ ჭრილში გააზრების თვალსაზრისით, ინტერესს აღძრავს.

საინტერესოა, რომ ნორვეგიელმა ჟურნალისტმა მიკალ ჰემიმ შექმნა ორიგინალური შინაარსის თხზულება: „როგორ ვიქცეთ დეტატორად – პრაქტიკული სახელმძღვანელო“. ნიგნის გამოცემის უფლება თერთმეტმა ქვეყანამ შეისყიდა, ჩრდილო კორეა, ცხადია, არავის ჩამორჩა. დანტერესებულ პირებს ჰემი აძლევს ინსტრუქციას, როგორ გახდნენ დეტატორები. გაცილებით საინტერესო და შემზარავია თავისი სიმართლით უჩანეიშვილის პიესა „გაკვეთილი“. სათაური ერთგვარი მინიშნებაა, რომ პიესაში აღწერილი ამბავი, როგორც გაფრთხილება, როგორც გაკვეთილი ყველამ კარგად უნდა დაისწავლოს. ავტორიტარიზმისა და დეტატურისკენ სწრაფვა ადამიანის ბუნებაშია განფენილი, მის გააქტიურებასა და ზედაპირზე ამოტანას, როგორც მწერალი გვარწმუნებს, დიდი ძალისხმევა არ სჭირდება...

თანამედროვე ქართულ დრამატურგიას მიმზიდველ ელფერს ანიჭებს თანამედროვე ცხოვრებასა და ადამიანზე დაფიქრებული კაცის, დიმიტრი უჩანეიშვილის შემოქმედება. მსოფლიო მონიწივე მწერლობის ტრადიციებს, მეცნიერულ მიღწევებს მწერალი ზედმინვენით კარგად იცნობს და აქტიურად ადევნებს თვალს სიახლეებს. იგი ოსტატურად აღწერს ტექნოკრატიის ეპოქის ადამიანებს, მათ ყოფას, სწრაფვასა და ინტერესებს. მწერალი არასოდეს ტყუის, იგი არ მისდევს ეპიგონობას, მის პიესებში ვერ ნახავთ ზედაპირულ, მოდური ექსპერიმენტით გატაცების მცდელობას. მწერლის ძიებათა სპექტრი ღრმა და ორგანულია, იგი გულწრფელად განიცდის, ფიქრობს ადამიანის ბედზე, ანალიზებს ანმყოს და შემამფოთებელ პროგნოზს აკეთებს ტექნოკრატიული ეპოქის საზოგადოებაზე, ადამიანზე, რომელმაც ღმერთს ზურგი აქცია, ხოლო რწმენის ყოველგვარ ნიშანს ნანგრევებად ქცევას უქადის ...

ქეთევან ტომარაძე

ზოია სხადია

გვინეა ბრიუნოლიან საგლოზიარო სეპლაქა



„კაი რამ არის ქვეყანა, ედემ-ზე უკეთესია, კავშირის ბუღბუღი მღერის, სევდის ვარდების სთესია“, – წერდა ასე მძიმე სენით და-ავადებული იროდიონ ევდოშვილი გადასახლებაში, ქ. ჩორნი-იარში... უმძიმეს პირობებში მყოფი... „ექიმების შემონებით, სიჭლექესთან ძლიერ ახლოს ვარ, აქაური ჰავა კი მე ვიცი, რო ახალი საზღვრი-დამ მალე გადამიყვანს მის სამფ-ლობელში“, – სწერდა მეგობარს, ალექსანდრე ხახანაშვილს და მა-ინც – „კარგი რამ არის ქვეყანა, ედემზე უკეთესია“, – ამის თქმაც შეეძლო რევოლუციის ტრიბუნად

და გულწრფელ პოეტად აღიარებულს. იროდიონ ევდოშვილის პირველი ლექსები გამოქვეყნდა „კვალსა“ და ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. იმთავითვე „ტივრთქვეშ მოხრილ მამურალთა და ულონოთა“ თანაგრძობას გამოხატავდა თავის სათქმელში. ამით ილიას „ტივრთმძიმეთ და მამურალთ მხსნელის“ იდეას არათუ ეხმებოდა, არამედ განაცრობდა და ამტკიცებდა. დრო და ფაქტი ამას კარნახობდა: *ოხ, მეგობარო, ფაშა მძიმესა, ოდეს ცრემლები მოაწვს თვალებს, და ვით ყორანი დაკოდილ არწივს, შავბედი მწარეთ ჩავიყრის ბრჭყალებს, ნუ, ნუ შედრკები, ნუ დაეცემი, სამარადისოთ ნუ გაიტყვ გულს!* (უსათაურო, 1896) ამავე წელს ლექსში „გაფრუდმე“ პოეტი გამოკვეთილად მონიშნავს თავის მოქალაქეობრივ პოზიციას, რომ მისი სიტყვა უსამართლო-ბის, ჩაგვრის, დახშული თავისუფლების დასაცავად უნდა ჟღერდეს: მე დროს შვილი ვარ, გამიტარა მან გულს ისარი, და ისართვე პასუხს აძლევს მას ჩემი ქნარი! მე დროს შვილი ვარ, მან მანოვა შხამი – სამსალა, და აღვსებული ან ფიალა გადმოიცალა!

(1886)

ირგვლივ არსებული სიღარიბე, სიღატაკე, უმწიბრობა, უპერს-პექტივობა, პირადული სიღატაკე გულს უკლავდა ღირსეული მომავლის მაძიებელ ჭაბუკს: „შრომა... ოფლის ღვრა... სიღარიბე... ძუნწი ცხოვრება / და ჩემს გარშემო ჩემებრივი უბედურთ კრება; / უსიხარულოთ დღეულნი წარსულის დღენი / და მომავალიც უიმე-დო ნაღველათ მჩენი!“ (1886)... ასეთია მუდმივად მისი განწყობა, რეალობა სხვა გამოსავალს არ უტოვებდა. იროდიონ ევდოშვილის (ხოსიტაშვილი) მოკლე ბიოგრაფიული შტრიხები ასეთია: 1879 წლის 19 მაისს (ახ. სტილით) დაიბადა ქი-ზიყში, სიღნაღის მაზრის სოფელ ბოდბისხევში. დედის – ევდოკიას სახელი არჩია ფსევდონიმად და ევდოშვილის გვარით შემოვიდა ქართულ მწერლობაში. 1890 წელს დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებლის სრული კურსი პირველი ხარისხის ატესტატით, იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1893 წლის აგვისტოდან იროდიონი სამხედრო სამსახურშია, ჯერ ყუბანის და შემდეგ – ბაქოს ფეხოსანთა პოლკში. 1894 წელს დაამთავრა მეთაურთა კურსები და უმცროსი უნტეროფიცირის ჩინი მიიღო. 1895 წლიდან იროდიონი თბილისში იმყოფება და გაზეთ „ივე-რიასთან“ თანამშრომლობს. ამ წლიდან იწყება მისი აქტიური შე-მოქმედებითი ცხოვრება. 1896 წლიდან 1899 წლამდე მსახურობდა ბაქოში ნობელის ნავთის საწარმოო კანტორაში, უკავშირდება მუ-შათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს... თბილისში დაბრუნებული 1901 წლის მაისიდან 1903 წლის აგვისტომდე იროდიონი მუდმივი ძირითადი თანამშრომელი იყო გაზეთ „კვალისა“. 1907-1909 წლებში (დაპატიმრებამდე) მსახურობდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მმართველის თანამშენვედ.

იროდიონ ევდოშვილის შემოქმედებითი გზის დასაწყისი – 90-იანი წლების მიწურული და 900-იანის დამდეგი, დაემთხვა კლასობრი-ვი წინააღმდეგობების გამწვანების ხანას, როცა იდეური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა „მესამე დასის“ სახელით ცნობილი თაობა, სოციალ-დემოკრატიული პარტია. საყოველთაოდ ცნობილია, რა როლი შეასრულა ევდოშვილის გულწრფელმა პოეტურმა მოწოდე-ბამ 1905 წლის რევოლუციის დღეებში. მის მგზნებარე პათოსით აღსავსე ლექსებს მღეროდნენ და წარმოთქვამდნენ ყველგან: ტრი-ბუნაზე, ბარიკადებზე, თავშეყრის ადგილებზე. „1905 წლის რევო-ლუციის, კლასობრივი ბრძოლების გენერალური რეპეტიციის“ (ტ. ტაბიძე) დამარცხებამ დაღვრილმა სისხლმა, ბრძოლის სტრატეგიამ და რევოლუციური იდეოლოგიის საეჭვო მიმართულებამ ბევრის იმედი გააქარწყლა, განსაკუთრებით კი – იროდიონ ევდოშვილისა. მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ, რომელიც აშკარად სოციალ-დემოკრატების მიერ იყო ინსპირი-რებული. ცნობილია ილია ჭავჭავაძისადმი იროდიონ ევდოშვილის გამოსათხოვარი სიტყვა, უდიდესი გულსიტყვილის გამოხატვით. ილიას მკვლელობა გახდა ევდოშვილის გულგატეხილობისა და მწუხარების მიზეზი. ამ გულგატეხილობის და სევდის გამო 1907-09 წლებში მას თანამოკალმენიც კი აკრიტიკებდნენ გესლანი სიტყვე-ბით, ხოლო საბჭოთა კრიტიკის ზოგი ერთგული წარმომადგენელი იროდიონ ევდოშვილის 1907 წლის შემდგომ მოღვაწეობას მეორე,

მძიმე და დაღმავალ პერიოდად მიიჩნეოდა. ეს მართლაც იყო ირო-დიონისთვის უმძიმესი პერიოდი, მაგრამ არა დაღმავლის, არამედ რეალობის გაცნობიერების, გადაფასების. ლექსში „დღიურს“ პოეტი ასე გადმოსცემს თავის სულიერ მდგომარეობას: „შენთან ვსაუბრობ ყოველდღე / მესაიდუმლე გულისა, / შენა ხარ დამატკობელი / აღშფო-თებული სულისა“... მას აქვთ, რაც რომ გულს მოსწყდა / სატრფო, წაილო ტალღამა, / მითელ-მოთელა ცხოვრებამ, / სიცოცხლე ჩააბლაღამა“... (1909). იროდიონ ევდოშვილი ამ დროს მეტეხის ციხეშია. დააპატიმ-რეს 1909 წლის 21 ოქტომბერს, პეტრე კრპოტკინის ბროშურის „პური და თავისუფლებას“ თარგმნისა და გავრცელების ბრალდე-ბით. მისეაჯა 3 თვის ციხე. ცხრა თვეზე მეტ ხანს იჯდა მეტეხში და შემდეგ ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლეს სამი წლის ვადით. დაავადების გართულების გამო (?) იგი საცხოვრებლად ასტრახანის გუბერნიის ქალაქ ჩორნი იარში გადაიყვანეს. მრავალი საინტერესო ლექსი დაწერა მეტეხის ციხეში: „სამშობლო“, „გმირთა საფლავებს“, „შავი ღრუბელი“, „მეგობრის საფლავს“ და სხვ. გამორჩეულია მისი „გამომშვიდობება გადასახლებულსა“ (1910, ივნისი, მეტეხის ციხე), როგორც თემატურად, ასევე სტილური, მხატვრული თვალსაზრისით. განშორების მოტივი ევროპულ პოეზიაში ვალეტას ფანრიტ არის წარმოდგენილი (ლათინური ვალე-დან – მშვიდობით): გამომშვი-დობება ადამიანთან, შეყვარებულთან, სიცოცხლესთან, მშობლიურ მხარესთან... ამის საილუსტრაციო მაგალითებს შორის დასახელე-ბულია იროდიონ ევდოშვილის „გამომშვიდობება გადასახლებულ-სა“ (Б. П. Иванюк, Стихотворения Валета: жанрологическое описание, Наукові праці Кам'янянець - Подільського національного університету імені Івана Орієнка. Филологічні науки, „алсіома“, 2013 - Вип. 33 – გვ.: 124-127). ლექსი შექმნილია, როგორც განწირულის უკანასკნელი სიტყვა სამშობლოსადმი. მიუხედავად იმისა, რომ პოეტს სამშობლო-ში, გამწარებული ყოფის გარდა, არაფერი რჩება, მაინც სამუდამო ტკივილად მიჰყვება მასზე მოგონება, ფიქრი და ნალველი.

არც აქა მქონდა სახლი და კარი, საცა მივდივარ, არც იქ მექნება, მაგრამ სამშობლო, მე, გაძევებულს მომაგონდება, დამენატრება. არც აქა მქონდა ტკბილი სიცოცხლე, საცა მივდივარ, არც იქ მექნება – იქ დანაღვლებულს და დაფიქრებულს მაინც სამშობლო მომაგონდება.

„მშვიდობით, ჩემო მორთულ მხარე“, – მიმართავს თავის ძვირფას ქვეყანას და ამით მიანიშნებს, რომ მისი ქვეყანა მტრის-გან დაბეჭავებული და უმოქმედოა, არ ჩანს დაბრუნების, ისევ შეხვედრის პერსპექტივა.

მომაგონდება იმისი კენესა, ცრემლი, ვაება, მტრისა მახვილი და მათთან ერთად ვით სთქვა პოეტმა, ძილშიც კი მწარე ამოძახილი.

იროდიონ ევდოშვილს გადასახლებაში ავადმყოფობა კიდევ უფრო გაუართულდა. არასათანადო მკურნალობა, შიმშილი, სიცივე, ფიქრი სამშობლოში უმწიფე დარჩენილ ცოლ-შვილზე და განსაკუთრებით – „წარსულის შეცდომა“ (ეს მისი სიტყვებია, გულისხმობდა სოცი-ალ-დემოკრატებისათვის თავის ადრინდელ ნდობას) სიცოცხლის დღეებს უშოკებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს. მრავალი ლექსი დაწერა გადასახლებაში მყოფად: მონატრებულ ალაზნის ველზე, საქართველოს კუთხეებზე, ზოგადად – სამშობლოზე, დატყვევე-ბულის ყოფაზე, თავისუფლებაზე...

განსაკუთრებით ბევრის მიქმელია იროდიონ ევდოშვილის მიერ სანდრო შანშიაშვილისადმი გამოგზავნილი ბარათი (იროდიონს თან ჰქონია ს. შანშიაშვილის პიესების წიგნი, რომლის ყდაზე, შიგნით დაუკრავს ბარათი, სუფთა ქაღალდი გადაუკრავს და ასე გამოუგ-ზავნია), რომელშიც გულახდილად წერს იმას, რაც ესოდენ აწუხებდა: „დიდი ხანია, შხამის ტბა ტრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა ჩემმა მეგობრებმა დაატრიალეს. მლანძღვენ, მჭორავენ. აქა ვარ, მაგრამ ჩემს ლანდს უყეფენ. ამ გადამთხვეულებმა ილიას მოხუც, ნაჭირ-ნახულებ გულს ტყვია დაახალეს. ის ტყვია მეც მოხვდა, როგორც სამელოვიარო სევდა. აქ განწყდა ჩემსა და მათ შორის შემეერთებული ძაფი. მაგრამ, ძაფი კი არა, ნამდვილად ჯაჭვი. იმიტომ, რომ მათთან ვიყავი მიჯაჭვული, მთელი 10-12 წლის განმავლობაში... იცოდე, ასეთი უკუღმართი შეხედულებები ეროვნულ საკითხებზე არცერთი ქვეყნის სოციალ-დემოკრატებს არ აქვს და თუ დღეს ქართველ მუშებს ასეთი უკუღმართი შეხედულება აქვთ ეროვნულ საკითხზე, ამაში, რასაკვირველია, ქართველი ეზდები ინტელიგენცია დამნაშ-ვე, მეც ერთი მათგანი ვარ და მინდა ჩემი შეცდომა გამოვასწორო“ (წერილი პირველად იროდიონ ევდოშვილის შვილიშვილმა, ფილო-ლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, მარიამ (ციალა) კარბელაშვილმა გამოაქვეყნა ჟურნ. „Литературная Грузия“-ს მე-12 ნომერში, 1988 წ., თავისივე თარგმანი, რუსულად, რადგან ქართულად გამოქვეყნება შეუძლებელი იყო ცენზურის გამო).

მე-19 საუკუნის იმ მრავალრიცხოვან პოეტთაგან, რომლებიც იღვწოდნენ ქართული საბავშვო მწერლობის სამსახურში, მნიშვნე-ლოვანია იროდიონ ევდოშვილის შემოქმედება. მის საყმაწვილო ლექ-სებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პატრიოტიზმს, სოციალურ საკითხს, ჰუმანიზმს, დიდაქტიკას, ბუნებას... ასეთივე განწყობით შეიქმნა მისი საბავშვო მოთხრობები: „უბედური ქორწილდა“, „ორი ობოლი“ და სხვ. მან მრავალ ჟანრში გამოავლინა შემოქმედებითი ინ-ტერესი: შიო არაგვისპირელსა და ჭოლა ლომთათიძესთან ერთად მას მცირე ფორმის ქართული მხატვრული პროზის ღირსეულ ოსტატად მიიჩნევენ. ევდოშვილი ავტორია ორიგინალური კომედია-ფარსისა „ჭრელი სუფრა“, ასევე – პუბლიცისტური წერილებისა და ფელე-ტონებისა, ენოვად საინტერესო მთარგმნელობით საქმიანობას...

იროდიონ ევდოშვილს, გადასახლებიდან დაბრუნებულს (1912), დიდხანს არ უცოცხლია, მაგრამ მაინც შეძლო, დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ გამოეთქვა ლექსებად „ნუგეში – მტირალს, დამ-ნანებელს თავის ხვედრისა“... იგი გარდაიცვალა 1916 წლის 15 მაისს (ახალი სტილით).



მკითხველს საშუ-ალეა აქვს, გაეცნოს ნინო ქუთათელაძის მოთხრობების ციკლს თბილისზე. რამდენიმე წლის წინ ქალბატონ-მა ნინომ უკვე გამოცა-კრებული „ტივრისური ნოველები“. ამჯერად თქვენ წინაშეა უფ-რო სრული გამოცემა. იმ ამბებს 30-80-იანი წლების სიუჟეტები დაემატა, მხატვრული კუთხეც გაფართოვდა, პერსონაჟთა გალერეა კი მრავალფეროვანი და მიმზიდველი შეიქნა. ზემოთქმულის მიუხედავად, ტექსტების მოცუ-ლობა დიდი არ არის. საქმე გვაქვს კლასიკურ ნოველებთან, სადაც მოქმედება თავბრუდამხვე-ვი სისწრაფით ვითარდება, ფინალის გამოცნობა კი თითქმის შეუძლებელია. აქ ვერ შეხვედებით ჩვეულ აპოლოგიას, პიროქით, ხშირად საქმე გვაქვს მიუღებელ მოქმედებებთან, საზოგადო-ებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასთან, სამმაგ მკვლელობასთანაც კი. ამიტომ ადამიანთა ბე-დი ხშირად ტრაგიკული, მათი მოქმედებები კი ფორმალურად მიუღებელია. მიუხედავად ამისა, პერსონაჟები არის ღრმა შინაგანი მიმ-ზიდველობა უცნაური, თითქმის აუხსნელი ონტიური ერთიანობა. ამ შთაბეჭდილებას საკუ-თარი გმირების მიმართ ავტორის ღრმა ფარული სიმპათია უნდა განაპირობებდეს, ვინაიდან მათი ყოფიერებითი რაობა, სიღრმისეული განწყობა და მოტივაცია თავისუფლებისაკენ თავდაუზო-გავი სწრაფით არის განპირობებული. ამ გზას ზოგი თვითმკვლევლობამდე მიჰყავს, ზოგსაც დაუნდობელი ხელისუფლება უსწორებს ანგა-რიშს. არიან ისეთებიც, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ეხმარებიან ადამი-ანებს. ზოგი მათგანი ექიმი (და კლასიკური ექიმის სახეს აცოცხლებს, ვისაც ყველაფერი ხეერხება და ნებმიერ ვითარებაში უშურველად ეხმარება ადამიანებს), ზოგი კეთილი მეზობელი, უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს რომ შეიფა-რებს. ქცევის წესისა და ბედისწერის მიუხე-დავად, ეს ადამიანები თავიანთ ვარსკვლავებს არ დალატობენ, მკვეთრად და იმპულსურად ავლენენ ხასიათს, თანაც საკუთარ არჩევანს ბოლომდე მიჰყვებიან. ისინი ქმნიან საერთო ატმოსფეროს, რომელიც გასაგებს ხდის, თუ როგორ შეინარჩუნა საკუთარი სახე და რაობა ცალკეულმა ინდივიდმა და ქალაქმა მთლიანად. ისიც გასაგები ხდება, თუ რა ფასად დაჯდა ეს ყოველივე. გაჭირვებისა და საფრთხის მიუხე-დავად, ეს ადამიანები ღრმა პატივისცემას იმ-სახურებენ, ყველანი განურჩევლად. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნოველთა სიუჟეტი, როგორც წესი, რეალური ცხოვრებიდან არის აღებული და მხატვრული წარმოსახვა სინამდ-ვილესთან ორგანულ კავშირშია, ცხადი გახდება ამ ადამიანთა მნიშვნელობა და ღირებულებები ტფილისისა და თბილისის ისტორიის, აგრეთვე ამ ქალაქის ტოპოსისა და ექსისტენციალური რაობის გასაგებად.

ორივე სიტყვა მწერლური სტილის შესახებ. წიგნი შესული ნაწარმოებები კლასიკური ნოვე-ლებია, შეიძლება ითქვას, კლასიკური ევროპული ნოველის სახე აქვთ. აქ ვერ შეხვედებით შინაგან მონოლოგს, თუ არაცნობიერის ამოფრქვევას. ამგვარი „გადარბები“ მხოლოდ აქა-იქ არის გაბ-ნეული და რეალური ვითარების მრავალფეროვ-ნებისა და დრამატიზმის ჩვენებას ისახავს მიზნად. პოსტმოდერნიზმზე ლაპარაკი ზედმეტია! თავის-თავად ლიტერატურული სტილი ოდენ ხერხია, საშუალებაა იმის საჩვენებლად, რამაც ავტორს ხელში კალამი ააღებინა. ისიც უნდა ითქვას, რომ კლასიკური თბილისის შინაგანი რიტმისა და არ-სის გადმოსაცემად, შესაძლოა, ქალბატონი ნინოს მიდგომა უფრო პროდუქტიული აღმოჩნდეს; სხვა ამბავია, თუ მოდერნული და პოსტმოდერნული დროის ქალაქების ეპიზოდებიც შეემატება ამ კრე-ბულს. მე, როგორც მკითხველს, ძალიან მაინტე-რესებს, რა ტრანსფორმაციას განიცდის ავტორის თხრობის ხელოვნება, ტექნიკა და ტექნოლოგია ამ შემთხვევაში. ამჯერად კი ლირიკულ-მუსიკა-ლურ სწრაფ ტემპს, ხან კი ლირე სიღრმისეულ რიტმს უნდა მიადევნოთ თვალს და გაითავისოთ. ასეთია ავტორის ნება და თუ მას დაჰყვებით, ბევრ რამეს გააგებთ და საკმარის ესთეტიკურ სიამოვნებასაც მიიღებთ.

ნიკოლოზ სანავლიაძე

გზა ლიონიდან საქართველომდე

ბერნარ უტიეს ახალ ნაშრომები



2021-2022 წლები ჩვეულებისამებრ ნაყოფიერი აღმოჩნდა აღმოსავლური ქრისტიანული ლიტერატურის ცნობილი სპეციალისტის, ფრანგი ქართველოლოგის, ბერნარ უტიეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. მისი ნაშრომები ევაგრე პონტოელის, თეოდორე სტუდიელის, ირინეოს ლიონელის თხზულებათა ქართული თარგმანებისა და უძველესი ქართული ფსალმუნის შესახებ დაიბეჭდა აღმოსავლური კვლევების მე-19 საუკუნიდან ცნობილ ჟურნალში „მეზოზონი“, „ისტორიული თეოლოგიის“ სერიით პარიზში გამოცემულ კრებულში – „ირინეოს ლიონელი, შემოკლების შესახებ მოძღვრების თეოლოგი“ და ქართულ კრებულში – „მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი“.

ნაშრომში – „მნიშვნელოვანი აღმოჩენა: ევაგრე პონტოელის ორი ტრაქტატი ქართულად მაქსიმე აღმსარებლის სახელით“ (მრავალთავი, ტ. 27, ხელნ. ერ. ცენტრი), ბერნარ უტიე (პოლ შეენთან თანამშრომლობით) იკვლევს 2017 წელს ექვთიმე კოჭლამაზაშვილის მიერ გამოქვეყნებულ (ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, X, თბილისი, 2017) ევაგრე პონტოელის ორი ტრაქტატის ქართულ თარგმანებს – „8 უკეთური გულისზრახვის შესახებ“, „ანტიერეტიკოსი“ და წინ დართულ შესავალ ნერილს (17 ხელნაწერი, ნაცვლად კორნელი კეკელიძის მიერ დასახელებული სამი ხელნაწერისა), რომელიც მაქსიმე აღმსარებლის სახელით არის მოწოდებული. ეს ქართული თარგმანი საეარაუდოდ ექვთიმე ათონელს ეკუთვნის. გამომცემელი ამბობს, რომ „ანტიერეტიკოსი“ ქართული, სირიული და სომხური თარგმანების საშუალებით შესაძლებელია ამ ტრაქტატის ბერძნული დედნის აღდგენა, რასაც ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბერნარ უტიე და პოლ შეენი. ექვთიმე კოჭლამაზაშვილს არ დაუდგენია ზუსტად, ექვთიმემ მაქსიმე აღმსარებლის ავტორობით მოწოდებული ტექსტებიდან თარგმნა, თუ ევაგრე პონტოელის ავტორობით მოწოდებულიდან, მაგრამ თვითონ მიაკუთვნა წმინდა მაქსიმეს. ხელნაწერი შედგება მაქსიმეს შესავალი ნერილისაგან თალასიოსისადმი(მიძღვნა) და ევაგრეს ორი თხზულების: 1. „8 უკეთური გულისზრახვის

შესახებ“ და „ანტიერეტიკოსი“, პარალელურად მოცემული ტექსტებისაგან.

ბერნარ უტიემ და პოლ შეენმა შეისწავლეს შესავალი ნერილი (ნმ. მაქსიმეს პასუხები მამა თალასიოსისადმი). მათ დაადგინეს ამ ნერილის შედგენილობა და წარმოშობა, კერძოდ, გააარკვიეს, რომ იგი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. ევაგრე პონტოელის ნერილი 4 (Lettre 4); 2. ინტერპოლაცია თეოდორე სტუდიელის „პატარა კატეხიზისიდან“ (Petite catéchèse 56); 3. „ანტიერეტიკოსის“ პროლოგი საკუთრივ (Prologue). აქედან, ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა დაადგინა მხოლოდ მესამე ნაწილის ანუ საკუთრივ „ანტიერეტიკოსის“ პროლოგის წარმოშობა. პოლ შეენი და ბერნარ უტიე არ იზიარებენ მის ვარაუდს წინა ორი შემადგენელი ნაწილის შესახებ. შესავალი ნერილი ქართულიდან ფრანგულად თარგმნილია ბერნარ უტიეს მიერ, საერთოდ, ნაშრომში ქართულიდან თარგმანი ეკუთვნის მას, ხოლო სირიულიდან და ბერძნულიდან – პოლ შეენს.

დასკვნაში ავტორები, ბერნარ უტიე და პოლ შეენი, დანვრლებით და არგუმენტირებულად ხსნიან თავიანთ მოსაზრებას, რომ ევაგრე პონტოელის აღნიშნული ორი ტრაქტატის თარგმანის მოცემული რედაქცია შეიძლება ეკუთვნოდეს ექვთიმე მთაწმინდელს ან ვინმეს მისი წრიდან. დასახულია კვლევის შემდგომი მიმართულება:

„როგორც ჩანს, ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ექვთიმე ან ვინმე მისი წრიდან არის ევაგრე პონტოელის ამ ორი ტრაქტატის ორიგინალურად გამაერთიანებელი. საჭირო იქნება მრავალრიცხოვანი დამატებების შესწავლა, რომელთაც ის შეიცავს და უნდა გაირკვეს: დამატებები მთარგმნელს ეკუთვნის თუ ეყრდნობა სხვა წყაროებს. ტრაქტატების – „რვა უკეთური გულისზრახვის შესახებ“ და „ანტიერეტიკოსის“ პარალელური ასლის შედგენა არ წარმოადგენდა დიდ სირთულეს, რადგან ორივე ტრაქტატი აგებულია ერთი, რვა ნაწილისაგან შემდგარი გეგმით, რომელიც შეესაბამება ევაგრეს მიერ განსაზღვრულ რვა პირველსაწყის თვალსაზრისს. მაგრამ ევაგრე პონტოელი ზოგჯერ მერყობდა რისხვისა და სასოწარკვეთილების დედათა თანმიმდევრობის თაობაზე: „რვა უკეთური გულისზრახვის“ ტექსტში გვაქვს ასეთი თანმიმდევრობა – რისხვა (IV), სასოწარკვეთა (V), თუმცა „ანტიერეტიკოსში“ არის – სასოწარკვეთა (IV) და რისხვა (V), რაც ნორმალური თანმიმდევრობაა, ისე როგორც პირველად იყო „პრაქტიკულ ტრაქტატში“ („პრაქტიკოსი“). ეს მცირე გადახვევა ცოტა მეტ ყურადღებას მოითხოვდა მისგან, ვინც ასე ორიგინალურად გააერთიანა ეს ორი ტრაქტატი.“

ანტიორიგენულ კრებულსა და გელათური ბიბლიის კატენებში აღმოჩენილი ირინეოს ლიონელის ქართული ციტატების ანალიზი და ფრანგული თარგმანია წარმოდგენილი ბერნარ უტიეს გამოკვლევაში: „ირინეოსის მოულოდნელად: ქართული ციტატები ირინეოსის თხზულებებიდან“, რომელიც დაიბეჭდა სამეცნიერო კრებულში „ირინეოს ლიონელი, შემოკლების შესახებ მოძღვრების თეოლოგი“

(პარიზი, გამომცემლობა „სერფი“, 2022, გამოკვლევები შეკრიბეს გიომ ბადიმ და მარი შეებმა). წიგნში შევიდა რომის გრიგორიანულ უნივერსიტეტში ირინეოსის მოძღვრებისადმი მიძღვნილი 2019 წლის სამეცნიერო სესიის და ლიონის კათოლიკური ინსტიტუტის 2020 წლის საერთაშორისო სამეცნიერო კოლოკვიუმის მასალები.

ირინეოს ლიონელის (ლუგდუნელი ან ლოგდონელი, არსენ იყალთოელის მიხედვით) ორი ციტატა მისი თხზულებიდან „ერესების წინააღმდეგ“ (ადვერსუს ჰაერესეს, „წვალებათა მიმართ“) ჩართულია რჩეული ნაწერების ანტიორიგენულ კრებულში, რომელიც წარმოადგენს დიდი დოგმატიკური კრებულის, „დოგმატიკონის“, ნაწილს. ანტიორიგენული კრებული, „წვალებათა მიმართ“, ქართულად თარგმნილია 1065-1090 წლებში არსენ იყალთოელის მიერ. ეს ხელნაწერი 1983 წელს გამოცა ივანე ლოლაშვილმა და ფრანკოვონ მკითხველს 2001 წელს პირველად გააცნო ბერნარ უტიემ.

ფრანგი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ტრაქტატის, „წვალებათა მიმართ“, გამომცემლები ციკლში – „ქრისტიანული წყაროები“, ბერძნულ ტექსტს ხშირად ასწორებენ ლათინურის მიხედვით, რაც არასწორია, თუნდაც ამ ორი ციტატის ქართული თარგმანის გათვალისწინებით“ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე იმ ფაქტზე, რომ ციტატები ტრაქტატებიდან „წვალებათა მიმართ“ ითარგმნება იმავე პერიოდში, როცა ნეოპლატონური თხზულებების ქართული თარგმანები იქმნება. ბერნარ უტიე წერს: „ცხადია, საინტერესოა დაკვირვება წმინდა ირინეოსის ასე მოკრძალებულად შემოსვლაზე ქართულ თარგმნილ თეოლოგიურ ლიტერატურაში. ეს მით უფრო საყურადღებოა ამ შემთხვევაში, რადგან საქმე ეხება სულს ხორცის უწინარეს არსებობის შესახებ მოძღვრების უარყოფას; ამით უარყოფილია პლატონი იმ დროს, როცა მრავალი ნეოპლატონური თხზულება (პერმისა ვაჟი ამონიოსი, პროკლე, „დმრთისმეტყველების საფუძვლები“) ითარგმნება ბერძნულიდან ქართულად. ანტიორიგენული კრებულის ავტორს, როგორც ჩანს ჰქონდა ირინეოსის თხზულების ბერძნული დედანი, მაგრამ ქართულ მთარგმნელს ის არ ექნებოდა.“

ციტატების მეორე ჯგუფი შედგება წმინდა ირინეოსის სახელით გამოქვეყნებული ხუთი ციტატისაგან გელათური ბიბლიის კატენების მიხედვით (გიგინეიშვილი ბაქარ, თოდუა გიორგი, გელათური ბიბლიის კატენები, თბ., „ახალი ივირონი“, 2011). როგორც ბერნარ უტიე აღნიშნავს, ეს ფრანგულტები სინამდვილეში ეკუთვნის იპოლიტე რომაელს. ბერძნულ სამყაროში უძველესი ტრადიცია ირინეოსის მიაკუთვნებდა იპოლიტე რომაელის თხზულებებს. ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ ქართულ კატენებში არ არის მითითებული, თუ რომელი ნაწარმოებიდან არის ამოღებული ეს ციტატები, დასახელებული არიან მხოლოდ ავტორები. ბერნარ უტიე აქ მიუთითებს იპოლიტე რომაელის ორ ნაშრომს: „ბალაამის კურთხევათა შესახებ“ (ჩვენამდე არ არის მოღწეული) და

„მოსეს დიდი გალობის შესახებ“ (ბერძნული დაკარგულია, მაგრამ გვაქვს ბერძნულიდან თარგმნილი სომხური ვერსია და ქართული ვერსია, თარგმნილი სომხურიდან). „ბერძნული თხზულებების თარგმნის ტრადიცია, წერს ბერნარ უტიე, XII საუკუნიდან დაიწყო უბრწყინვალეს ცენტრში, გელათის აკადემიაში“. ამ ნაშრომში მის მიერ პირველად არის წარმოდგენილი აღნიშნული 7 ციტატის (ფრანგულტების) ფრანგული თარგმანი, რომელიც საინტერესო იქნება ფრანკოვონი მკითხველებისთვის.

დასასრულ, ბერნარ უტიე გვეუბნება: „დიდი გზა ლიონიდან საქართველომდე. წმინდა ირინეოსმა გადალახა ეს გზა ბიზანტიური ტექსტების X-XIII საუკუნეების ქართული თარგმანების დიდი ტალღის წყალობით. ცხადია, წმინდა ირინეოსის ტექსტები მცირედ არის წარმოდგენილი ქართულად. მიუხედავად ამისა, ეს ციტატები ხელს უწყობს ეკლესიების დოგმატიკის ერთიანობას. წმინდა ირინეოსმა ამ შემთხვევაში ისე, როგორც ბერძნულში, თავისი სახელის ქვეშ მოაქცია წმინდა იპოლიტე რომაელის ნაწარმოებები.“

2021 წელს გამოქვეყნდა იოსტ გიპერტის და ბერნარ უტიეს ფრანგულ მნიშვნელოვანი ნაშრომი სათაურით „უძველესი ქართული ფსალმუნი – წინასწარი ანგარიში.“ იგი წარმოადგენს წინასწარ მოკვლევას ფსალმუნის ფრანგულტებისა, რომელთაც შეიცავს სინას მთაზე წმინდა ევაგრეს მოსახტრის ქართული ხელნაწერების ახალი კოლექციის ორი პალიმფსესტი: შინ. Georg. NF 84 და 90. ეს არის ორმაგი პალიმფსესტები: უძველესი ფენა შეიცავს მათეს სახარების და მრავალთავის ხანმეტ ფრანგულტებს, ასევე ფსალმუნს როგორც ხანმეტი, ასევე ჰაემეტი მახასიათებელით. შუა ფენაში ვხვდებით ფებრონიას ცხოვრებას, იოანე ოქროპირის ორ ჰომილიას და ჯერ კიდევ დაუდგენელ ტექსტებს სანარევი ფორმით. მკვლევრებმა შეისწავლეს ფსალმუნის ფრანგულტების (რომლებიც პირველად ქვეყნდება) თავისებურებები. გამოვლინდა დიდი სიახლე ენობრივი თვალსაზრისით: ფრანგულტებში წარმოდგენილია ხანმეტი და ჰაემეტი ფორმების ზუსტად თანაბარი რაოდენობა, კერძოდ, თითოეულში 29. მსგავსი მოვლენა არ დადასტურებულა სხვა ხელნაწერებში. ამ გარემოებამ საშუალება მისცა ავტორებს, ი. გიპერტს და ბერნარ უტიეს, ვარაუდი გამოეთქვათ ფსალმუნის გადაწერის პერიოდის შესახებ: ფსალმუნი, როგორც ჩანს, გადაწერეს გარკვეული დროის შემდეგ სინას მთის ლექციონარისა, ვინაიდან ამ უკანასკნელში ჰაემეტი ფორმები საკმაოდ იშვიათია ხანმეტ ფორმებთან შედარებით.

ფსალმუნის ფრანგულტები შედარდა გიორგი ათონელის რედაქციას: აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევაში ფორმულირებები ერთხვევია, თუმცა არის განსხვავებებიც. ნაშრომში ფართოდ არის განხილული სათაურების თარგმნის საკითხი.

პალიმფსესტური ფსალმუნის ეს აქამდე უცნობი ფორმა, მკვლევრების აზრით, აჩენს მრავალ კითხვას ფსალმუნის ქართული თარგმანების დიდ ისტორიაში.

იოსტ გიპერტი და ბერნარ უტიე ამ ნაშრომს უძღვნიან მზექალა შანიძეს, რომლის მიერ ფსალმუნის ტექსტის გამომცემისა და გამოკვლევის გარეშე მათი კვლევა შეუძლებელი იქნებოდა.

რუსულან თურნავა

ქართული პანორამა
1852
N2 2023

გიორგი ბალახაშვილი – ლექსები
ნინო დარბაისლი სტრონი – ქართული პოეზიის პანორამა
სემიონ ვინოკური – აღონაი ელოპინო აღონაი ხაფი

ნინო დარბაისლი სტრონი

ფურნალ „ცისკრის“ მე-2 ნომერი ფანრული და თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, შეგიძლიათ წაიკითხოთ ლექსები, მოთხრობები, საბავშვო ლიტერატურა, კრიტიკა-ესეისტიკა, სამეცნიერო-საისტორიო სტატიები, თარგმანები ინგლისურიდან, რუსულიდან, აზერბაიჯანულიდან.

გიორგი ბალახაშვილის ლექსებში სახეობრივ, ხატოვან ფიგურებს ეგზისტენციური სევდა ერწყმის ამგვარი კატეგორიულობით: „თუ დამიჯერებ, ბოლოს ყველანი ჩვენივე თავის სიზმრად ვიქცევით“.

როგორ განვითარდა და რა შედეგები მოიტანა ერთხელ ფეისბუქის ყალბ ანგა-

რიშზე მოსულმა შეტყობინებამ. ოთარ გოგალაძის მოთხრობა მრავალმნიშვნელოვანი სათაურით „და იყო თერთმეტი სექტემბერი“.

ნინო დილმელაშვილი – ახალი სახე საბავშვო მწერლობაში. სამი მოთხრობა პატარებისთვის.

ქართული პოეზიის პანორამა. ხედი – კახეთი. ნერილი მეორე. ნინო დარბაისელი-სტრონის კრიტიკული განაზრებები ნატა ვარადას და ბაადურ ბალარჯიშვილის ლექსებზე.

ზურაბ კიკნაძის სამეცნიერო ღვაწლი და სამამულო კულტურა. თემა ჟაკლინ სირაძის ესეისტიკური ნერილისა „ესკატოლოგიური ფაშის მოლოდინში“. ავტორის აზრით, ზურაბ კიკნაძე იყო ხიდი ძველ და ახალ თაობათა შორის საქართველოში, სადაც ამ თაობებს შორის უფსკრულია გაჩენილი.

სადაღ სცალია კაცობრიობას სიყვარულისა და ერთიანობისთვის – სემიონ ვი-

ნოკურის მოთხრობა „აღონაი ელოპინო აღონაი ხაფი“ რუსულიდან თარგმნა თამარ ოქრუაშვილმა.

ალექსანდრე ებანოიძე – წვეულ ებანოიძეთა შთამომავალი – ისევ ჩვენთან არის. ფრანგულტი მემუარების წიგნიდან „ცხოვრების კვალი“. რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ.

საყოფაცხოვრებო დრამა სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორისაგან: ტობაიას ვულფის მოთხრობა რასობრივ თემაზე, ოლონდ სხვა კუთხით. ინგლისურიდან თარგმნა მაია ბოლაშვილმა.

თანამედროვე აზერბაიჯანელი პოეტი ინგილაბ ისჰაკი – ლექსის ოსტატი განჯიდან. მთარგმნელი იმირ მამედლი.

ისტორიის ფურცლები: ვახტანგ გურულის ნერილი „ქართველი საზოგადოება დამოუკიდებლობის აღდგენის წინა დღეს“.

ნამდვილად უჩვეულო შემთხვევაა ქართული პრესის ისტორიაში. პოლიტიკური წერილის პასუხი ქვეყნდება, არც მეტი, არც ნაკლები, 44 წლის შემდეგ. რა თქმა უნდა, დღეს უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, თუ რატომ არ დაიბეჭდა ეს წერილი, რა მოტივით უთხრა უარი ავტორს რედკოლეგიაში. მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ დავადასტუროთ ჩვენი უდიდესი პატივისცემა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მაშინ შედიოდნენ რედკოლეგიაში.

დაიხ, ეს პუბლიკაცია უჩვეულო შემთხვევაა და, ამავე დროს, კანონზომიერიც. არსებობს სიტყვის თავისუფლების პრინციპი და არსებობს კიდევ ერთი მორალური წესი, რომელსაც დღეს „ლიტერატურული საქართველო“ გვერდს ვერ აუვლის. ეს გახლავთ ძველთაძველი და მართალი შეგონება: *Audiat et altera pars!*

დაიხან თუ გერასიძე?

უბისის წმიდა გიორგის ეკლესიის მოხატულობის დიდოსტატი დამიანე

კედლის მხატვრობა და ასომთავრული წარწერები

ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძემ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1979 წლის 14 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი, რომელიც შეეხო უბისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის მხატვრად გერასიმეს აღიარებას. ეს გაკეთდა ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ვინც უბისის ეკლესიის ცენტრალური ნაწილის მომხატველად გვისახელებს დამიანეს, რომელიც აღზარდა გერასიმემ. საპოლემიკოდ წამოწეული საკითხი ხელმეორედ დამტკიცებას მოითხოვდა, მაგრამ დამიანეს სასარგებლოდ მოპასუხე მოსაზრების ავტორი შ. ამირანაშვილი აღარ იყო ცოცხალი. ვ. ბერიძის მიერ გამოქვეყნებული შეხედულებების შემასუსხებლად ხელოვნებათმცოდნეთაგან არც არავინ გამოსულა. ამიტომ ფილოლოგ როლანდ ბურჭულაძის სარედაქციო სახის დახმარებით, უკვე 1979 წლის ოქტომბერში წინამდებარე საპასუხო წერილი უკვე მზად შექმნა.

საპასუხო წერილისთვის კვალიფიციური ენათმეცნიერის დასკვნა ურიგო არ იქნებოდა და ამიტომ ტელეფონით დავუკავშირდი აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას და ვთხოვე, აზრი გამოეთქვა ჩემ მიერ შედგენილ საპასუხო წერილზე. ბატონი არნოლდი არ დამზარდა და ტელეფონით საუბრისთანავე, მაშინვე მიმიპატიჟა თავისთან. ჩემდა გასამხნეველად, მეგობარ როლანდის თანხლებით მივედი არნოლდ ჩიქობავასთან, მისსავე ბინაზე.

ბატონმა არნოლდმა, ენათმეცნიერული თვალსაზრისით, დადებითად შეაფასა უბისის ფრესკული წარწერების შალვა ამირანაშვილისეული ნაკითხვა. საპასუხოდ მხოლოდ ის გვითხრა, რომ ჯერ კიდევ რევოლუციამდე ამ წარწერის შესახებ ასეთივე აზრის იყო ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც პირველმა აღწერა სოფელ უბისის წმიდა გიორგის ეკლესია.

უბისის სამონასტრო კომპლექსი ჯერ კიდევ 1929 წელს მონოგრაფიულად შეისწავლა და ცალკე შრომად გამოსცა ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილმა (იხ. მისი გამოკვლევა: უბისი. მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის. ძველი ქართული ხელოვნების ძეგლები. ტ. I. ტფილისი 1929 წ. იხ. აგრეთვე: შ. ამირანაშვილი. ქართველი მხატვარი დამიანე. ქართული ხელოვნების ძეგლები. ტ. II. თბილისი 1974 წ.).

უბისის სამონასტრო კომპლექსის წმიდა გიორგის ეკლესიის კედლის მხატვრობისა და ფრესკული წარწერების მონაცემებზე დაყრდნობით შ. ამირანაშვილმა

გამოიტანა დასკვნა, რომ მონასტრის ცენტრალური ნაგებობის ერთი ნაწილი მოხატულია მხატვარ დამიანეს მიერ XIII საუკუნის ბოლოს ან XIV საუკუნის დასაწყისში. მისი არგუმენტაცია ასეთი გახსნის მისდევს: მონასტრის ცენტრალური ნაგებობის მხატვრობაში აშკარად შეიმჩნევა ორი მკვეთრად განსხვავებული სტილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ მოხატვის სამუშაოებში ორი ოსტატი მონაწილეობდა. ამავე დროს, კედლის მხატვრობის ფრესკულ წარწერებში გამოირჩევა ორი წარწერა, რომელთაგან ერთ-ერთში ორი სახელია მოხსენიებული: დამიანე და გერასიმე; ხოლო მეორე წარწერაში მხოლოდ ერთი მხატვრის სახელია წარმოდგენილი: დამიანე. მხოლოდ დამიანეს სახელი იხსენიება იმ წარწერაში, რომელიც „საიდუმლო სერობის“ კომპოზიციას გასდევს. ამის გამო, „სერობის“ სტილში შესრულებული ფრესკები მიჩნეულია მხატვარ დამიანეს ნახელავად.

„საიდუმლო სერობის“ მხატვრულ კომპოზიციაზე წარმოდგენილი ქართული ასომთავრული წარწერის შესახებ, ჯერ კიდევ 1914 წელს, ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ უბისაში (ადრეული ტოპონიმით სოფელი „უბე“) არსებულ წმიდა გიორგის ეკლესიის შიდა კედლების მოხატულობის აღწერის დროს, ექვთიმე თაყაიშვილმა დაადგინა:

«Эта надпись испрашивает прощения для некого Дамиана, вероятно живописца...» (см. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Выпуск 44. Отдел третий. Е. Такайшвили. Археологические путешествия, разыскания и заметки. Тифлис 1915 г. стр. 8).

1915 წლიდან დამკვიდრებული ეს მოსაზრება ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ სადავო გახდა ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძემ, რომელმაც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1979 წლის 14 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში წამოაყენა კატეგორიული ხასიათის დებულება „უბისის ერთ-ერთი წარწერის შ. ამირანაშვილისეული გაგება არასწორია. ამ გაგებას ეყრდნობა უბისის მომხატველად დამიანეს მიჩნევა. ე.ი. ეს თვალსაზრისიც არასწორია და მომხატველად უნდა მივიჩნიოთ არა დამიანე, არამედ გერასიმე“.

რომელ წარწერაზეა აქ ლაპარაკი? ეს არის სატრიუმფო თაღის წარწერა, რომელიც, ტრანსლიტერირებული და ქარაგმაგახსნილი, ასე იკითხება:

„სახელითა ღვთისათა მოიხატა მონასტერი ესე ჳელითა ცოდვილისა დამიანეს, გაზრდილისა გერასიმესითა“.

ამ წარწერას, შინაარსობრივი თვალსაზრისით, შ. ამირანაშვილი ასე კითხულობს:

„სახელითა ღვთისათა მოიხატა მონასტერი ესე ჳელითა ცოდვილისა დამიანეს, გაზრდილისა გერასიმესითა“.

ლოგიკური პაუზა-აქცენტი დასმულია „დამიანეს“ შემდეგ. ე.ი. ამ გაგებით, ცოდვილი დამიანე მიჩ-

ნეულია მონასტრის მომხატველად და გერასიმეს მიერ აღზრდილად. განსხვავებულ ნაკითხვას გვთავაზობს ვ. ბერიძე:

„სახელითა ღვთისათა მოიხატა მონასტერი ე-შ (?) ჳელითა ცოდვილისა, დამიანეს გაზრდილისა, გერასიმესითა“.

ე. ი. მომხატველად აქ გერასიმეა მიჩნეული, რომლის აღმზრდელად იგულისხმება ცოდვილი დამიანე.

უპირველეს ყოვლისა, ორივე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებას ამჟღავნებენ ციტირებული წარწერის მიმართ ცალკე შ. ამირანაშვილი და ცალკე ვ. ბერიძე. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ვ. ბერიძისეულ ნაკითხვაში: „მონასტერი ე-შ“. შ. ამირანაშვილი ამ ადგილს კითხულობს როგორც „მონასტერი ესე“. ეს იმ მოსაზრებით, რომ მან კარგად იცის ძველ ქართულ ენაში ნანევარის არსებობის ფაქტი: ნანევარი ჩვენებითი ნაცვალსახელით (ესე, ეგე, იგი) გამოიხატებოდა, ერთვოდა სახელს და განსაზღვრავდა მას. კონკრეტულ წარწერაში „მონასტერი“ უეჭველად ნანევარიანი უნდა ყოფილიყო, რადგანაც იგულისხმებოდა საკუთრივ უბისის მონასტერი. ამიტომ არის, რომ შ. ამირანაშვილმა უყოყმანოდ აღადგინა „მონასტერი ესე“. მან გაიზიარა ძველი ქართული ენის ნორმები და სავსებით სწორად აღადგინა წარწერის დაზიანებული ადგილი.

ახლა გადავხედოთ, თუ როგორ კითხულობს აღნიშნულ ფრაზას ვ. ბერიძე. „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილის სქოლიოში იგი აღნიშნავს, რომ სიტყვა „მონასტრის“ შემდეგ, სადაც თითქოს „ესე“ უნდა ეწეროს (ასეა შ. ამირანაშვილის) გამოქვეყნებულ ნაშრომებში, სინამდვილეში გაუგებარი სამასობიანი სიტყვაა: პირველი ასოა ე, მესამე შ, მეორე გაურკვეველია“. პატივცემულ მეცნიერს აქ რომ წერტილი დაესვა, შეიძლებოდა მიგვეჩინა, რომ მისი ეს კონკრეტული შენიშვნა-აღნიშვნა მართებული იყო თუნდაც ვიზუალურობის თვალსაზრისით (წარწერის ფოტოკოპირში ხომ მართლაც „ე-შ“ იკითხება!), მაგრამ შემდგომი წინადადება უკვე გვიჩვენებს მისი პოზიციის მცდარობას: „აქ რა სიტყვაც არ უნდა იყოს, წარწერის საერთო აზრს იგი ვერ შეცვლის“.

როგორც ჩანს, ვ. ბერიძეს დასაშვებად მიაჩნია, რომ „მონასტრის“ შემდეგ, „ესე“-ს ნაცვლად, სხვა რაიმე სიტყვა იყოს, მაგრამ ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით აქ მხოლოდ „ესე“ უნდა იყოს და სხვა არაფერი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჩანს ვ. ბერიძე უბისში აკადემიური მიზნებით არასდროს არ ჩასულა, თორემ კარგად შეამჩნევდა, რომ მოუხედავად დაზიანებისა, წარწერაში მაინც გარკვევით იკითხება „ესე“. ამგვარად, სატრიუმფო თაღის წარწერის მიმართ ვ. ბერიძის მიმართება ძირითადად ვიზუალურია. ხოლო იქ, სადაც მეცნიერი ვარაუდებს მიმართავს, ნებით თუ უნებლიეთ, არღვევს ძველი ქართული ენის ნორმებს.

ამას ერთვის ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: ვ. ბერიძე ბოდიშის მოხდით აღნიშნავს, რომ მან, შ. ამირანაშვილის შრომებზე დაყრდნობით, პირველწყაროს შეუმომწმელებად, უბისის მონასტრის მომხატველად მიიჩნია დამიანე და ამით თვითონაც ხელი შეუწყო მცდარი თვალსაზრისის დამკვიდრებას. ახლა კი „აუცილებელია, გასწორდეს შეცდომა“. რა თქმა უნდა, შეცდომა თუ დაშვებულია, ის უნდა გასწორდეს; მაგრამ მეცნიერის ამ განცხადებაში არ შეიძლება, ყურადღება არ მივაქციოთ ერთ ფრაზას: რას ნიშნავს „პირველწყაროს შეუმომწმელებად?“ აქ,

აღბათ, სატრიუმფო თაღის წარწერა იგულისხმება. მაგრამ ეს წარწერა, ისეთივე ტრანსლიტერაციით, როგორსაც ვ. ბერიძე იზიარებს, გამოქვეყნებულია ჯერ კიდევ 1929 წელს შ. ამირანაშვილის მიერ და ამ შრომას ვ. ბერიძე იმონებს კიდევ თავის წიგნში: „ძველი ქართველი ოსტატები“. ახლა ირკვევა, რომ შ. ამირანაშვილის შრომა მას მხოლოდ სატიტულო ფურცლის მიხედვით დაუმონებია. ასეთი განცხადება პატივსაცემია მხოლოდ გულახდილობის და არა მეცნიერული კრედოს თვალსაზრისით.

რადგანაც ვ. ბერიძის ის შრომა („ძველი ქართველი ოსტატები“ თბ. 1967 წ.) დავასახელებთ, რომელშიც, მისივე თქმით, დამიანე მცდარად არის შეტანილი როგორც უბისის ტაძრის მომხატველი, ამიტომ დანაშაულად არ ჩაგვითვლება, თუ იგივე წიგნიდან თუნდაც ერთ მაგალითს დავასახელებთ ეპიგრაფიკული მასალის არასწორად გაგების საილუსტრაციოდ. ვ. ბერიძე იმონებს მანგლისის ტაძრის გალავანში ჩატანებულ წარწერას: „ღმერთო, შეინყალე ამისი ამშენებელი მანგლელი ეფისკოპოსი არსენ ოსტატი“ და გამოაქვს დასკვნა, რომ არსენი იყო მანგლელი ეპისკოპოსი. სინამდვილეში, აქ ორი სხვადასხვა პიროვნებაა: 1. მანგლელი ეპისკოპოსი, რომლის დაკვეთით და სახსრებით აშენდა ტაძრის კარიბჭე და 2. არსენ ოსტატი, რომელიც უშუალოდ ასრულებდა სამშენებლო სამუშაოს.

ყოველივე ზემოთქმული მეცნიერულ სიფრთხილეს გვკარნახობს და ხელს გვიშლის, რომ ვ. ბერიძის კატეგორიული განცხადება უბისის მომხატველად გერასიმეს მიჩნევის შესახებ ურყვე ყვემარტივად მივიღოთ. უფრო მეტიც: ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით, სატრიუმფო თაღის წარწერის ვ. ბერიძისეული გაგება მართებული ჩანს ადრე არსებულ გაგებასთან შედარებით. მაგრამ რა შუაშია აქ თანამედროვე ქართული, როდესაც წარწერა XIII-XIV საუკუნეებშია შესრულებული? ამ საკითხთან ვ. ბერიძის მიმართების გასარკვევად, გადავხედოთ წარწერას, რომელიც „საიდუმლო სერობას“ გასდევს: „მმნო: წდნო: და: მდღღნო: ყავთ: წყლობა: ვა: ქნ: დეცკსა: წიდასა: ზან: და: ითხვეთ: შწდნო: დამიანესათვის: რა: თქნცა: სსი:“ ამ წარწერას შ. ამირანაშვილი ასე კითხულობს: „მამანო წმიდანო და მღვდელნო, ყავთ წყალობა ვითარცა ქრისტემან დედაკაცსა წმიდასა ზედან და ითხოვეთ შენდობა დამიანესათვისა რათა თქვენცა სასუფეველი“. განსხვავებულ ნაკითხვას გვთავაზობს ვ. ბერიძე: „მამანო წმინდანო და მღვდელნო ყავთ წყალობა ვითარცა ქრისტემან დედაკაცსა წმიდანსა ზედან და ითხოვეთ შენდობა დამიანესათვის რათა თქვენც სასუფეველი...“.

პირველწყაროსგან განსხვავებით, ვ. ბერიძისეული ნაკითხვაში აშკარად ჩანს თანამედროვე ქართულის გავლენა: „წმინდანო“ (ნაცვლად „წმინდანო“); „დამიანესათვის“ (ნაცვლად „დამიანესათვისა“); „თქვენც“ (ნაცვლად „თქვენცა“). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაკითხვის ბოლოს სამი წერტილის დასმა, რასაც ორიგინალში ადგილი არა აქვს. როგორც წესი, წარწერაში სასუფეველის დამკვიდრება იგულისხმება, მაგრამ რადგანაც აქ მხოლოდ „თქვენც სასუფეველი“ წერია, ამიტომ ვ. ბერიძემ ტექსტი ნაკლულად მიიჩნია და სამი წერტილი დაუსვა. სინამდვილეში, აქ არავითარი ხარვეზი არ არის, ტექსტი მთლიანია და გამართულია ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით. რაც შეეხება

ვ. ბერიძის მიერ მის ნაკითხვასა და გაგებას, აშკარად ჩანს, რომ ის თანამედროვე ქართული ენიდან მომდინარეობს.

ახლა დავუბრუნდეთ სატრიუმფო თაღის წარწერას. როგორც აღვნიშნეთ, ვ. ბერიძის გაგებით, გერასიმე არის დამიანეს გაზრდილი და მონასტრის მომხატველი. ჩვენი აზრით, აქ ყურადღება არა აქვს მიქცეული იმ გარემოებას, რომ მთელი წინადადება საზღვრულ-მსაზღვრელის მტკიცე მიმდევრობას იცავს: „[სახელითა ღვთისათა] მოიხატა [მონასტერი ესე] [ჳელითა ცოდვილისა დამიანეს] [გაზრდილისა გერასიმესითა]“. როგორც ჩანს, გაუგებრობა გამოიწვია წინადადებაში „დამიანეს“ გვერდით „გაზრდილის“ არსებობამ. რომ ყოფილიყო პირიქით, მსაზღვრელ-საზღვრულიანი წყობა: „გერასიმეს გაზრდილისათა“, აღბათ, გაუგებრობას ადგილი აღარ ექნებოდა.

აქ მსჯელობაში უნდა ჩავერთოთ ვ. ბერიძის მიერ მოტანილი ერთი მაგალითი, რომელიც მრავალმხრივ შეიძლება საყურადღებო იყოს. ეს არის XI საუკუნის ბოლოს მოხატული იფარის ეკლესიის წარწერა: „მოიხატა და შეიქო წმიდადა ესე ეკლესია იფარის სვეისათა... ხელითა თევდორე მეფის მხატვრისათა“. რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს, რომ აქ იგულისხმება მეფის მხატვარი თევდორე. ეს იმ არგუმენტაციით, რომ ამ პერიოდში საქართველოში მეფე თევდორე არ არსებობს. მაგრამ ერთი წამით თავი დავანებოთ ამას და მარტო დავწინააღმდეგოთ დაყრდნობით მოვიწოდოთ საკითხში გარკვევა, თუ ვისზეა აქ ლაპარაკი: მეფე თევდორეზე თუ მეფის მხატვარ თევდორეზე? თუ უბისის სატრიუმფო თაღის წარწერის ვ. ბერიძისეულ ნაკითხვას გავიზიარებთ, მაშინ იგივე ლოგიკით იფარის წარწერაში თევდორე მეფე უნდა ამოვიკითხოთ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ წარწერაში არსებულ მსაზღვრელ-საზღვრულიან მიმდევრობას, მაშინ უნდა გავიზიაროთ როგორც მეფის მხატვარი: „მოიხატა და შეიქო [წმიდადა ესე ეკლესია] [იფარის ხევისათა]... ხელითა თევდორე [მეფის მხატვრისათა]“.


ამ უკანასკნელი მაგალითის მოტანა გვაიძულებს იმ ელემენტარული ყვემარტივების გამოკრების საჭიროებაში, რომ მეცნიერმა საკითხის დამუშავების დროს მეტად მრავალი რამ უნდა გაითვალისწინოს, თორემ იზოლირებულად აღებული და ისიც საჭოჭმანო დონეზე მიღებული დასკვნები ყვემარტივების გარკვევას ვერ მოემსახურება.

ვ. ბერიძე უბისის ტაძრის მომხატველის ახალ სახელს გვთავაზობს, მაგრამ ყურადღების მიღმა ტოვებს თვითონ მხატვრობას. არ ეხება აგრეთვე წარწერათა განაწილების მოტივებს. მოუხედავად იმისა, რომ ზევით უკვე აღვნიშნეთ სატრიუმფო თაღის წარწერის ვ. ბერიძისეული გაგების უსწორობა, ურიგო არ იქნება თუ ორივე სიტყვით წარმოვადგინოთ იმ სურათს, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა უბისის ტაძრის მოხატვის პერიოდში.

როგორც ჩვენი წერილიდან ჩანს, ჩვენ ვიზიარებთ შ. ამირანაშვილის აზრს, რომ უბისის ტაძრის მომხატველი იყო გერასიმეს აღზრდილი დამიანე. დამატებით აღვნიშნავთ, რომ ამ პერიოდის ქართული საისტორიო წყაროებით ცნობილია მხოლოდ ერთი გერასიმე, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპებში ჯვარისმტვირთველად იხსენიება. სახელთა გამეორება, რა თქმა უნდა, დასაშვებია, მაგრამ ჯვრის მონასტრის



ჟაკ ლაკანი, ფსიქოლოგია და პედაგოგია



მეოცე საუკუნის ევროპელ მოაზროვნეთა შორის ორიგინალური ხედვითა და კრეატიულობით გამოირჩევა ფრანგი ექიმ-ფსიქიატრი, ფსიქოანალიტიკოსი, ფილოსოფოსი, სტრუქტურულიზმისა და პოსტსტრუქტურულიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი ჟაკ მარი ემილ ლაკანი (1901-1981). ის დაიბადა პარიზში, კლასიკური განათლება მიიღო წმინდა სტანისლავის იეზუიტურ კოლეჯში, უნივერსიტეტში სწავლობდა მედიცინას, ფსიქიატრიის სპეციალობით, იყო ექიმ-ფსიქიატრი, 1932 წელს დაიცვა დისერტაცია „პარანოიული ფსიქოზისა და პიროვნებასთან მისი მიმართების შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჟაკ ლაკანი სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა, ომის შემდეგ ბრიტანეთს გაემგზავრა. 1953 წელს მეცნიერმა ზოგადი ფსიქოანალიტიკის ასოციაცია დატოვა, ფრანგული ფსიქოანალიტიკური სკოლა დააარსა და მის სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

თავისი მოძღვრების დებულებებს თეორეტიკოსი ზეპირად, სემინარებზე გადმოსცემდა. მისი ნაშრომების პუბლიკაცია მეცნიერის სიცოცხლის მიწურულს დაიწყო. ლაკანის ძირითადი თხზულებებია: „მეტყველებისა და ენის ფუნქცია და ველი ფსიქოანალიზში“, „ტექსტები“, „ჟაკ ლაკანის სემინარები“.

მეცნიერის მთავარ დამსახურებად ფროიდის ფსიქოანალიზის სტრუქტურისტულ რევიზიას მიიჩნევენ. მის თეორიულ დისკურსს ახასიათებს აქცენტირება ადამიანის ტრაგიკულ ხედვებზე, თეზისი არაცნობიერზე, როგორც ენაზე, მის სტრუქტურულ ასპექტებში, მჭიდრო კავშირს სხვა მეცნიერებებთან (ლინგვისტიკა, ანთროპოლოგია, ნეოროლოგია).

ლაკანის სამეცნიერო ნაშრომები სამ სტადიას გამოყოფენ: 1. სტრუქტურისტურადმდელი (1930-40-იანი წლები), როდესაც მეცნიერი ჰეგელის დიალექტიკისა და მხატვარ-სიურეალისტების გავლენას განიცდიდა; 2. სტრუქტურისტული (1950-60-იანი წლები), როდესაც ლაკანმა ფროიდის პოზიციებიდან გაიპარა კ. ლევი-სტროსის, ფერდინანდ დე სოსიურის, ნ. ტრუბეტკოის, რ. იაკობსონის შეხედულებანი; 3. პოსტსტრუქტურისტული (1960-70-იანი წლები), როდესაც თეორეტიკოსმა განაცხადა, რომ სიმბოლიზმის ემბრობა.

ფრანგი მეცნიერი დაინტერესდა ლინგვისტიკით, ალსანიზმისა და აღმნიშვნელის ფუნდამენტური პრობლემატიკით, ჩაუღრმავდა ენის, სიმბოლოს როლს. იგი მეტყველების ფუნქციას განიხილავს, როგორც კრეატიულობის უნივერსალურ წყაროს, რამდენადაც ის – სხვა ადამიანის მეტყველება საკუთარ, სხვა, სუბიექტურ რეალობას ფლობს. ზოგადად, აზრი და ყოფიერება, ლაკანის მიხედვით, ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ენა და არაცნობიერი სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს.

ლაკანის სტრუქტურული ფსიქოანალიზი ფრანგულ მეცნიერებაში დიდად გავრცელდა. მეცნიერმა ფსიქოანალიზი ლინგვისტიკასთან შეაერთა. მისი მიდგომა გამოიხატა ფორმულით: „არაცნობიერი – ეს არის ენა“, „არაცნობიერი სტრუქტურულიზმი, როგორც ენა“. ჟაკ ლაკანი ჩერდება ლინგვისტური მეთოდების როლზე პიროვნების არაცნობიერის გამოვლენაში.

რენე დეკარტეს Cogito, ergo sum ლაკანმა გარდაქმნა თეზისად: „მე ვაზროვნებ იქ,

სადაც მე არ ვარსებობ“, ე.ი. სუბიექტი არ არის გამოთქმა, რადგან მისი მეტყველებით გამოთქმის მოტივირება არაცნობიერია. არაცნობიერი – ეს არის „სხვისი“ მეტყველება, იმისა, ვინც სუბიექტის როლში გამოდის.

1950-იანი წლების დასაწყისში ლაკანმა თავისი კონცეფციის დამუშავება დაასრულა, ძირითადი იდეები მან გადმოსცა პროგრამულ მოხსენებაში „ენისა და მეტყველების ფუნქცია და ველი ფსიქოანალიზში“, რომელიც ფრანგული ფსიქოანალიტიკური საზოგადოების პირველ კონგრესზე წაიკითხა (1953). ლაკანის კონცეფცია შეიქმნა მ. პაიდეგერის, ფ. დე სოსიურის, კ. ლევი-სტროსის მოძღვრებათა ზეგავლენით.

ლაკანის იდეებით ომის შემდგომი საფრანგეთის ინტელიგენციის ერთი ნაწილი აღფრთოვანდა. მეცნიერ-ანალიტიკოსის სემინარებს ცნობილი ფილოსოფოსებიც ესწრებოდნენ, მის სიცოცხლეში შეიქმნა ფსიქოანალიზის ლაკანისული სკოლა. ზოგმა აღიარებულ მეცნიერს „ფრანგი ფროიდი“ უწოდა.

გთავაზობთ ჟაკ ლაკანის ერთ-ერთი სემინარის ტექსტის ქართულ თარგმანს. თხზულების თარიღია: 1954 წლის 17 ნოემბერი.

* * *

ჭეშმარიტება და ცოდნა. კბილის ექიმების კოგიტო. მე (ჯე) – ეს იგივე არ არის, რაც ჩემი საკუთარი მე (მოი), სუბიექტი – იგივე არ არის, რაც ინდივიდი.

1920 წლის კრიზისი

გამარჯობა, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, აი, ჩვენ კვლავ შეხვდით ერთმანეთს.

მე-ს (მოი) ბუნების განსაზღვრა – ამოცანაა, რომელიც ძალზე შორს წაგვიყვანს. აგრე იყო, მართლაც შორიდან დაივწყით, და უკვე იქიდან ცენტრს დაგვბრუნდით, რაც ჩვენ სწორედამ ამ შორეთისაკენ გაგვიყვანს. წელს ჩვენი თემა იქნება „მე ფროიდის თეორიასა და ფსიქოანალიზის ტექნიკაში“. მაგრამ მე-ს ცნებას არა მხოლოდ ამ თეორიასა და პრაქტიკის ფარგლებში აქვს აზრი, არამედ მათ საზღვრებს მიღმაც – ამ პრობლემის მთელი სირთულე სწორედ ეს გახლავთ.

მე-ს ცნება შემუშავდებოდა უხსოვარი დროიდან, შემუშავდებოდა როგორც ეგრეთ წოდებული ფილოსოფოსების მიერ, რომლებთან ნაცნობობისაც სულაც არ გვეშინია, თავი გავიბრაბრუთ, – ისე ყოველდღიური ცნობიერებით. მოკლედ რომ ვთქვათ, მე-ს შესახებ რაღაც წარმოდგენა არსებობს, – პირობითად, წინასწარ ორიენტირი რომ გვექონდეს, ვუნდოთ მის ანალიტიკურადმდელი, – წარმოდგენა, რომელიც ცდილობს, საკუთარ თავს შეადაროს ის პრინციპულად ახალი, რასაც ამ ფუნქციასთან მიმართებით ფროიდის თეორიაც ამტკიცებს.

საკუთარ თავთან შედარების და, თუნდაც თავდაპირველი აზრის დამახინჯების ფასად, საკუთარი კატეგორიებისათვის მიყენების ამ სწრაფვას შეიძლება, გავუცხებინეთ, მე-ს ფროიდისული გაგება იმდენად რეალური ციური რომ არ იყოს, რათა დამსახურებულად ინოვებოდეს „კომპლექსურად გადართობად“, – გამონათქვამი, რომლის აზრსაც უკვე იმ შარშანდელ კურსში ჩვენთვის ოდნავ აუხადა ფარდა, და რაც ჩვენს ამჟამინდელ შეხედვრებს საფუძვლად დაედება.

თითქმის ყველა მიღებულ შედეგს ჩვენ ახლა ფროიდის თეორიის შემდეგი ფაზის განხილვისათვის გამოვიყენებთ. ეს თეორია აქაც ჩვენს არიადნეს ძაფად დარჩება, – არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი სემინარი სწორედ ტექსტებზე მუშაობას ეძღვნება.

1

ახალი პერსპექტივები, რომლებიც ფროიდმა აღმოაჩინა, მოწოდებული იყო, წინა წარმოდგენები გაეუქმებინა. მაგრამ, ამის მიუხედავად, ათასობით შეუმჩნეველი ძვრისა და დამახინჯებათა გამო, ტექნიკურ ტერმინთა გამოყენებისას რაღაც ისეთი მოხდა, რის შედეგადაც საკუთარი მე-ს ცნება ქვეყნიერებას კვლავ მოველინა სახით, რომელიც არა მხოლოდ არ პასუხობდა ფროიდული თეორიის არქიტექტონიკის, როგორც ერთიანი მთელის, მოთხოვნებს, არამედ ამჟღავნებდა ტენდენციას, – როგორც ამას, სიტყვამ მოიტანა და, სწორედ რომ ლიად აღიარებდნენ, – ეს ცოდნა

განუზავებინა ზოგად ფსიქოლოგიაში, ესე იგი, მოცემულ შემთხვევაში, ანალიტიკურადმდელ ფსიქოლოგიაში. რამდენადაც თეორია და პრაქტიკა ერთმანეთისაგან განუყოფელია, ამდენად ანალიტიკური ურთიერთმოქმედებაც, თვით მიმართულება ანალიტიკური პრაქტიკისა, აღრული აღმოჩნდა. ის, რაც დღეს ფსიქოანალიზის ტექნიკაში ხდება, ამას ნათლად აჩვენებს.

ეს მოვლენა ძალზე გამოუცნობად რჩება. მაგრამ ჩვენ ის ისე ძლიერ არ აგვადლებდა, საუბარი რომ ეხებოდეს უბრალოდ კონფლიქტს სხვადასხვა სკოლებს – რეტროგრადებსა და პროგრესისტებს, პტოლომეოსელებსა და კომპლექსებს – შორის. თუმცა მოცემულ შემთხვევაში რაღაც უფრო მეტად სერიოზული ხდება. საუბარი იმაზე, რომ ანალიზი, ადამიანურ ურთიერთობათა ეს გამომათავისუფლებელი, მადემისტიფიციურებული ოპერაცია, ერთი მხრივ, და, ადამიანისათვის, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ადამიანისათვის, მუდამ დამახასიათებელი ფუნდამენტური ილუზია – „გამოცდილების მიხედვით განცდილისა“, მეორე მხრივ, – ერთმანეთთან კონკრეტულ და ძალზე ეფექტურ თანამონაწილეობაში ჩაება.

თანამედროვე ადამიანს საკუთარ თავზე ნაწილობრივ გულუბრყვილო, ნაწილობრივ კი დეტალურად დამუშავებული შეხედულება აქვს. მისი რწმენა ის გახლავთ, რომ იგი როგორღაც და რაღაცნაირად არის მოწყობილი, ჩამოყალიბებულია ბუნდოვანი, მის კულტურაში საერთოდ მიღებული ცნებების წრეში. თუმცა მას შეუძლია წარმოიდგინოს, თითქოს ეს რწმენა არის შედეგი ბუნებრივი მიდრეკილებისა, სინამდვილეში ის მას აქტიურად ჩაეგონება ჩვენი დღევანდელი ცივილიზაციების ყოველი მხრიდან. ჩემი თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ ფროიდის ტექნიკა მისი თავდაპირველი სახით გადალახავს ამ ილუზიას, რომელიც ადამიანურ სუბიექტურობაზე სრულიად კონკრეტულ ძალაუფლებას იღებს. შესაბამისად, შეიძლება, კითხვა ასე დაისვას: დაუფლება კი ფსიქოანალიზი, თანდათან რომ აიძულდეს, მიატოვოს ის, რაც წამიერად ფარდახილი აღმოჩნდა, თუ პირიქით, ის ამას უფრო რელიგიურად და განახლებული სახით წარმოაჩენს?

სწორედ ამიტომაც, სასარგებლოდ ჩავთვალეთ, სრულიად განსაზღვრული სტილის განსაზღვრულ ნაშრომებს მივმართეთ.

ჩემი შეხედულებით, უადგილო იქნებოდა, ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებანი დაგვეყო ცალკეულ მიმართულებად, რომლებშიც ისინი ვითარდებოდნენ. ასე მაგალითად, ის, რაზეც გვიამბო ალექსანდრე კორემ გუშინდელ ლექციაში პლატონის დიალოგის ფუნქციაციაზე, – ამოდიოდა არ მენონის დიალოგიდან, – სრულიად ბუნებრივად თავსდება მსჯელობათა მიმდინარეობაში, რომელსაც ჩვენ აქ გთავაზობთ. სამშაბათის ლექციები – სამართლიანად სახელდებული რიგგარეშედ – სწორედ იმას ემსახურება, რომ ყოველ თქვენგანს ჩამოყალიბდეს ჯერ კიდევ უპასუხოდ დარჩენილი კითხვები იმ სფეროებიდან, რომლებიც მოცემული სემინარის თემას ესაზღვრება.

გუშინ საღამოს მე ჩემი მოკლე გამოსვლისას (მენონის განტოლებათა გარდაქმნასთან დაკავშირებით) რამდენიმე სიტყვით თქვენი ყურადღება მივაქციე იმას, რასაც შეიძლება ვუნდოთ ჭეშმარიტების ფუნქცია ჩასახვის მდგომარეობაში. საქმე ის გახლავთ, რომ ცოდნას, რომელსაც დაკავშირებულია ჭეშმარიტება თავისი ჩასახვისას, არ შეიძლება, არ ჰქონდეს საკუთარი ინერცია – ინერცია, რომლის ძალით ის რაღაცას კარგავს თვით იმ თვისებისაგან, რომლის წყალობითაც იწყებს საკუთარ თავზე ფიქრს, როგორც ასეთი. სხვა სიტყვებით, იგი გამოიჩინებს აშკარა მიდრეკილებას თავისი საკუთარი აზრის იგნორირებისადმი. ამასთან, ეს დევრადაცია არსად არ გამოდის ისე ნათლად, როგორც ფსიქოანალიზში, და უკვე ერთი ეს ფაქტიც მონიშნავს იმას, რამდენად მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება ხდება იმ ადგილზე, ფსიქოანალიზს რომ უჭირავს ადამიანური სუბიექტურობის განსაზღვრული სახის განვითარებაში.

ჭეშმარიტებისა და ცოდნის ეს ივიათი ორგანოვნება დასაწყისიდანვე შეიმჩნევა. მართალია, საწყისამდე ჩვენ ვერასოდეს მივალნენ, მაგრამ მივიღოთ საწყისად (თავისებურ „კოორდინატთა საწყისად“) თუნდაც პლატონი.

გუშინ ჩვენ ეს ორგანოვნება შევნიშნეთ მე-ნონში, მაგრამ ამავე წარმატებით შეგვეძლო განგვეჭვირებინა ის პროტაგორაშიც, რომელზეც გუშინ საუბარი არ ყოფილა.

ვინ არის სოკრატე? ეს გახლავთ ადამიანი, ადამიანურ სუბიექტურობას პირველად რომ მისცა სტილი, რომლისგანაც გამოვიდა ცნება ცოდნისა, განსაზღვრული სახის დალაგებულობის მოთხოვნილებებს რომ პასუხობდა, ცოდნისა, რომელიც წინ უსწრებდა მეცნიერების ნებისმიერ პროგრესს, ექსპერიმენტული დისციპლინის სახით. სახელდობრ, რას ნიშნავს მეცნიერების ავტონომია ექსპერიმენტული რეგისტრისადმი, ამის დადგენა ჩვენ ჯერ კიდევ მოვინევს. აი, ამნაირად, როგორც კი სათავეს უდებს იმ ახალ ყოფიერებას სამყაროში, რომელსაც აქ სუბიექტურობას ვუნოდებ, სოკრატე მყისიერად აღმოაჩენს, რომ მეცნიერებას არა აქვს უნარი, აუწყოს გზები, რომლებიც მას მიიყვანს ყველაზე ძვირფას არეტესთან, ამ უმაღლეს სრულქმნილებასთან, ადამიანურ მოდგმას რომ მიუღწევია. უკვე აქ თავისებური ცენტრის გადატანა აღმოცენდება: ერთი მხრივ, ცოდნას სწორედ ეს სათნოება უხსნის მოქმედების ველს, მეორე მხრივ, მის გადაცემასთან, მემკვიდრეობითობასთან, აღზრდასთან მიმართებით ეს სათნოება მისადმი ზღვარს მიღმა აღმოჩნდება. და, იმის ნაცვლად, რომ ამას თავი ავარიდოთ, ვქაჩობოთ, საკუთარი თავი დავარწმუნოთ, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მოგვარდება, რომ ჩვენ წინაშე სოკრატესებური ირონია, რომ ადრე თუ გვიან, მეცნიერება უკანა რიცხვით ამ პრობლემას თავს გაართმევს. გაცილებით უკეთესია, ამაზე უკვე ახლა დაგვიქრდეთ. მით უმეტეს, რომ აქამდე ამის შესახებ ისტორიამ სასწავლო ვერაფერი მოგვიტანა.

რა მოესწრო, მომხდარიყო სოკრატეს დროიდან? მრავალი სხვადასხვა რამ – კერძოდ, ქვეყნიერებას მივუბრუნებ ცნება მე.

როდესაც ქვეყნიერებას რაღაც მოველინება, რაღაც ისეთი, რაც ჩვენ, იძულებულნი ვართ, ახლად მივიჩნიოთ, როცა საგანთა სხვა წესრიგი წარმოიშობა, ჩვენ წინაშე იქვე იხსნება ახალი პერსპექტივა წარსულში და საკუთარ თავს ვეუბნებით: „ეს არასოდეს შეიძლებოდა, სხვაგვარად ყოფილიყო, უხსოვარი დროიდან ასე იყო“. ნუთუ საკუთარ თავში ამგვარი თვისებები არ შეგვიინიშნავს?

მაგალითად, აიღეთ ენის წარმოშობა. ჩვენ გვგონია, თითქოს იყო მომენტი, როდესაც ამ პლანეტაზე ლაპარაკი უნდა დაეწყოთ. შესაბამისად, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ადგილი ჰქონდა რაღაც წარმოშობას. მაგრამ, დაწყებული იმ მომენტიდან, როდესაც წარმოიშობილი, მისთვის დამახასიათებელი სტრუქტურით, ავითვისეთ, ჩვენ აბსოლუტურად უუნარონი ვართ, იმაზე განსჯისას, თუ რა უსწრებდა მას წინ, იოლად გავიგებთ სიმბოლოების დახმარების გარეშე, რომლებიც ყოველთვის შეიძლებოდა, გამოეყენებინათ. ჩვენ ყოველთვის გვეჩვენება, თითქოს ის, რაც კვლავ წარმოიშვა, დროში განუსაზღვრელად ხანგრძლივად არსებობს, თავის საკუთარ საზღვრებს მიღმა გადაჭიმული. ჩვენ არ ძალგვიძს, ეს ახალი წესრიგი აზრობრივად გავაუქმოთ. ეს შეიძლება ვამტკიცოთ ყველაფერზე, რაც გნებავთ, სამყაროს წარმოშობის ჩათვლით.

ზუსტად ასევე, არ შეგვიძლია, გვერდო ავუაროთ ჩვენ მიერ ისტორიის მსვლელობაში კეთილად შეთვისებულ საკუთარი მე-ს რეგისტრს, თუმცა ზოგჯერ საქმე გვაქვს საკუთარ თავზე ადამიანის ფიქრების ნაკვალებთან იმ ეპოქებში, როდესაც ეს რეგისტრი, როგორც ასეთი, აქტიურად არ გამოიყენებოდა.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გვგონია, რომ სოკრატესა და მის თანამოსაუბრეებს უკვე შემონახული ჰქონდათ წარმოდგენა ამ ცენტრალურ ფუნქციაზე, რომ საკუთარი მე მათთან, ჩანს, უკვე ასრულებდა ანალოგიურ ფუნქციას იმისას, რომელიც მას ახლაც ეკუთვნის, – არა მხოლოდ თეორიულ ფიქრებში საკუთარ თავზე, არამედ საკუთარ მისწრაფებათა, სურვილთა სპონტანურ აღქმაში, საკუთარისა და სხვისის გარჩევაში, იმისა, რასაც ჩვენ ვაღიარებთ საკუთარი პიროვნების ნამდვილ გამოხატულებად და იმისა, რასაც უუყვავდებთ, როგორც მის პარაზიტს. და ძალზე ძნელად თუ წარმოვიგდგენთ, რომ ეს ფსიქოლოგია ჩვენ უხსოვარი დროიდან გვახასიათებს.

თარგმანი
მანანა კვატაია

►► ბაზრძღუბა იძნება

სინაქსარის აღაპებში და უბისის სატრიუმფო თაღის წარწერაში ნახსენები გერასიმე იმ მიზეზით მიგვაჩნია ერთსა და იმავე პიროვნებად, რომ აქ, სახელის გარდა, სხვა თანხვედრისა...

რაც შეეხება დამიანეს და იმ წარწერებს, რომლებშიც ის არის ნახსენები, რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ? ტაძრის მოხატვაში, როგორც აღნიშნული იყო, აშკარად ჩანს, რომ ორი მხატვარი მონაწილეობდა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მოხატვის სამუშაოებს დაიწყებდნენ საკუთრივად, როგორც ცენტრიდან. სავარაუდოა, რომ პირველმა მხატვარმა ბოლომდე ვერ დაასრულა სამუშაო და საქმე განაგრძო მეორე მხატვარმა. რამდენიმე ფრესკული ნახატის შერეული სტილი გვაფიქრებინებს, რომ მეორე მხატვარი პირველად ცდილა პირველი მხატვრის სტილში განეგრძო მუშაობა, მაგრამ მიღებული დაბალი შედეგით უკმაყოფილოს ტაძრის დარჩენილი ნაწილი ისე მოუხატავს, როგორც მისთვის უფრო შესაძლებელი იყო. ამის გამო სახეზე გვაქვს ორი ურთიერთ თანადროული, მაგრამ მკვეთრად განსხვავებული მხატვრობა. ვინ უნდა ყოფილიყო მეორე მხატვარი? ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ის მთავარი მხატვრის მონაწილე იქნებოდა, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო, წინააღმდეგ ტაძრის მოხატვის სამუშაოების დასრულება. საინტერესოა, თუ რა მიზეზით უნდა მომხდარიყო ეს. ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას: „საიდუმლო სერობის“ კომპოზიციაზე გაკეთებული წარწერა, რომელშიც მხოლოდ დამიანე იხსენიება, გასდევს მაგიდის წინა ნიშბს. ნიშბზე ლურსმნებით ფარდა ჩამოკიდებული. ლურსმნებს შორის მონაკვეთებში კი განაწილებულია წარწერა. სწორედ ამ განაწილების არასისტემურობა და არაპროპორციულობა გვაფიქრებინებს, რომ წარწერა გაკეთებულია მეორე მხატვრის მიერ. თუ ჩვენი დაშვება სწორია, რომ ეს წარწერა მეორე მხატვარს უნდა გაეკეთებინა, მაშინ ამ წარწერის შინაარსი ხსნის მისი გაჩენის მიზეზს: შენდობას გარდაცვლილისთვის თხოულობდნენ ხოლმე; ე.ი. მეორე მხატვარი პირველის გარდაცვალების შემდეგ განაგრძობდა მოხატვის სამუშაოებს და ამავე დროს, უზრუნველ იმავით, რომ გარდაცვლილი მხატვრის (და მისი მასწავლებლის) სახელი აღნიშნული ყოფილიყო იმ ნახატზე, რომელიც მისსავე ხელს ეკუთვნოდა. „საიდუმლო სერობის“ შერჩევა ასეთი წარწერისათვის მარტო იმ მოტივით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ ის ცენტრალურ ადგილას არის გამოსახული. „საიდუმლო სერობა“ უნდა შეერჩიათ იმ მიზეზითაც, რომ მისი შინაარსი ერთგვარ პარალელიზმს ავლენდა შექმნილ ვითარებასთან: ქრისტე თავის მონაწილეს შორის, მეორე მხატვარს უჭველად მოაგონებდა გარდაცვლილ მასწავლებელს. ღვთაებრივ დონეზე მხატვარ-აღმზრდელის მიჩნევა შესაძლოა რელიგიური თვალსაზრისით მკრეხელობა იყო, მაგრამ დღესაც კი, ვისაც უბისში დაცული მხატვრობის ორი სტილი ერთმანეთს შეუდარებია არ შეიძლება „საიდუმლო სერობის“ ავტორი დამიანე, ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებულად არ ეცნო.

დასკვნა ასეთია: შ. ამირანაშვილის მიერ უბისის ტაძრის ერთი ნაწილის მოხატვად დამიანეს მიჩნევა ეყრდნობა კედლის მხატვრობისა და წარწერების ანალიზს, მართებულია მის ყოველ პუნქტში და დაეჭვებისათვის ადგილს არ ტოვებს. მინაწერი:

ეს სტატია, სათაურით, „პასუხი აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს“ 1979 წლის ოქტომბერში დასაბეჭდად ჩაიბარა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ (რედაქტორი: ვახტანგ ჭელიძე). ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიამ მისი გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

გულგად ამირანაშვილი
აღმოსავლეთმცოდნე, ირანისტი

ჩანახატი

სისარიელი

ეს დღეც გათენდა. აღდგომის მეორე დღე... ისტორიის საკუთრება გახდა გუშინდელი ბრწყინვალე აღდგომა. აღდგომა, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა. ეს ხომ მსოფლიო ისტორიაში განუმეორებელი, ყველა რელიგიის მიმდევრების აღიარებული, პატივსაცემი დღესასწაულია, მით უმეტეს მართლმადიდებლებისათვის. მაგრამ, რა გინდა რა, ხალხის სახეზე ერთ ღიმილიან, გაბრწყინებულ ნაკვთს ვერ დაინახავ. თითქმის ყველა ჩაფიქრებული, დანაღვლიანებული პირისაზრით დაიარება, რაღაც და რილაცის შიში შეპარვით სულსა და გულში და სევდიანი თვალებით იმზირებიან...

გამთენიისას გამომეღვიძა. ხელ-პირი დავიბანე. შემდეგ სანთელი ავანთე ხატების განკუთვნილ კუთხეში და დილის ლოცვა ჩავიკითხე. ზურგჩანთა მოვქებე და შიგ ჩავანყვე სასაფლაოზე მოსახსენებელი სააღდგომოდ ენდროში შეღებილი კვერცხები, სააღდგომო პასკა, ნახევარი ლიტრი ღვინო, წყალი და ჭიქა, ცოტაც მარილი. გამოველ სახლიდან და ავეყევი ქუჩას სასაფლაოსკენ. ქუჩის ბოლოს, გზასაყარის ცოტა ქვემოთ, თავდაღმართში ქვაფენილზე, პოლიციის მანქანა იდგა. მანქანიდან ერთი ახალგაზრდა პოლიციელი - პატრული გამომვიდა და მითხრა:

- სასაფლაოზე ვერ გაგიშვებთ კოვიდის გამო. ხელისუფლებიდან ნაბრძანები გვაქვს, რომ არავინ შეუშვათ. გთხოვთ, სახლში დაბრუნდეთ.
- შეილო, სასაფლაოზე არა, ეკლესიაში მივდივარ.
- მაშინ, გზაჯვარედინზე ხელმარჯვნივ შეუხვიეთ.

- კი ბატონო, გამადლობთ. ქრისტე აღდგა, შეილო!
- ჭეშმარიტად! - მიპასუხა.

განვავარძე გზა. გზასაყართან ხელმარჯვნივ შევუხვიე ეკლესიისაკენ, თვალს მივეფარე. ეკლესიის მთავარი ეზოს ჭიშკარი დაკეტილი დამხვდა. აბა, ასე დილაუთენია ხომ არ მოვიდოდა მამა ბაქარი ეკლესიის გასაღებად? იძულებული ვიყავი, პოლიციელი მომეტყუებინა. ის ჩემმა ჭალარა თმა-წვერმა და შავმა სამოსმა შეაცდინა და თანაც კარგა ხანში შესულმა წლოვანებამ. ერთი ხუთი წუთი დავყავი თვალს მიფარებული. შემდეგ ჩუმი, ფრთხილი ნაბიჯებით შესახვევამდე ჩამოვედი, გავიხედე ქვემოთ მანქანისკენ, არავინ ჩანდა. ეტყობა, წუხანდელი ღამენათევები იყვნენ, მთელი ღამე მორიგედ ავლბათ. გზის აქეთ და იქით ყაყაოებს გადაეპენებოდა მიდამო. დავკრიფე და პატარა თაიგულის კონა შევკარი. ჩემი მეუღლის სამუდამო განსასვენებელი კი მაღალი ფერდობის თითქმის თავშია. მივაღიქვი საფლავს, ხელი გადავუსვი საფლავის ქვის კედელს, მივეფარე. უხმოვ ვტიროდი. ცრემლები ნაღველთან ერთად გამომედინებოდნენ თვალთა უკეებიდან. სათქმელი ბევრი მქონდა, მაგრამ ენას ვერ ვაბრუნებდი პირში, თითქოსდა ნაღველს დაემა, მხოლოდ გონებით და თვალებით ველაპარაკებოდი და ვეაღერებოდი მარმარილოს ცივ ქვაზე ამოტიფორულ სურათს. ეეჰ... ამოვიხრე, როგორც იქნა, ხმა ამოვიღე:

- ჩემო კარგო, დამიცარიელდა სულიც და გულიც. სიცარიელეს ვგრძნობ ჩემს გარშემო, სიცარიელეში დავლივლივებ. კუს ნაბიჯებით მიიზღაზნება ეს დალოცვილი დრო და ჟამი, მე კი მათში დავხეტილობ მარტოდმარტო.
ცრემლები შევიმშრალე. წამოვდექი. თვალი მიმოვხედე საფლავებს. ქე-ხორციელის ჭაჭანება არ იყო. თვალი უფრო შორს გამეჭკა. მთელი თბილისი ხელის

გულზე მედო. ისიც ჩაჩუმებულიყო, არავითარი ოდნავი ჩქამიც კი. მამადავითის ფერდობი, მთანმინდა, ნისლში იყო გახვეული. თავი ჩავკინდრე. ჩამოვჯექი. თვალი მიმოვავლე საფლავს. მინა ჩასამატებელი და გასასწორებელი მაქვს. ტუფის ქვები ისევ ისეა აყუდებული. საფლავი ბოლომდე არაა დამთავრებული. მაგიდა თავისი სკამებით და ჯვარია დასაყენებელი. მართალია, ძალიან იაფად კი მიკეთებს „ცოკოლს“ მაგრამ მის მოპირკეთებას საშველი აღარ დაადგა...

გადავხედე კიდევ ერთხელ საფლავს, ზურგჩანთიდან ამოვალაგე ყველაფერი, დავეუნთე სანთელი (რომელსაც დაუმთავრებელ სასანთელში ვინახავდი), კვერცხები დავეგორე გულზე, შენდობა ვუთხარი და... გულდამძიმებულმა, ცრემლმორეულმა, თაყნაქინდრულმა, მძიმე ნაბიჯებით დავტოვე საფლავი და... ისევ გადავემევი სიცარიელეში.

გავიდა, ზოი მარტოობაში ერთი წელიწადი. ეჰ... რომ იცოდე, რა დამთრგუნველად გაიწვია ეს დრო. ცრემლებში და სევდში, ფიქრებში და... უძილო, თეთრად გათენებული ნაღველიან ღამეებში.

ძნელია სულის მარტოობა, თუმცა გარს მახვევია შინაურები, ახლობლები, მაინც თავს მარტოდ ვგრძნობ, ვინაიდან ამ სულში სიცარიელე დიდო ბინა. ვებრძვი ოხერტალ სიცარიელეს, მაგრამ ვერ ვერევი. დღე, ასე თუ ისე, გამყავს. ვებმები ყოველდღიურ ცხოვრების ორმოტირალში. თავს ვუუკთინებ არ დაგწივდე და სული არ დავეცე. მაგრამ... მოდის ღამე და... ვრჩები მარტოდმარტო ჩემს მესაიდუმლე, სევდიან ნაღველის გამზიარებელ ბალიშთან და... სულში დაბუდებულ სიცარიელესთან ერთად.

გიორგი თეაძი

სხოვრება და თვითნაალიზი

საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ჟურნალ „არილის“ მესამე ნომერი ნუგზარ ზაზანაშვილის ხსოვნას ეძღვნება. ბესო სოლომანაშვილი და რეზო გეთიაშვილი მოგვითხრობენ ამ მეტად კოლორიტული, საინტერესო პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ნუგზარ ზაზანაშვილი პროფესიით ბოტანიკოსი, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი იყო და ამ მხრივაც უფრო საგულისხმო ხდება მისი ლიტერატურული მოღვაწეობა.



„შეთხზული „მე“. ასე ჰქვია მალხაზ ხარბედიას ავტობიოგრაფიულ ნიგნს, რომელსაც მალე გამოსცემს „პალიტრა L“.

„არილის“ მკითხველს შეუძლია გაცნოს ერთ-ერთ დასკვნით თავს ამ ნიგნთან. ავტობიოგრაფიულია აგრეთვე გივი კიკელაშვილის წერილიც, რომელშიც ავტორი მოკლედ მოგვითხრობს თავისი ცხოვრების მთავარ მოვლენებზე. სხვათა შორის, ავტობიოგრაფიული მოტივები მოისმის ნანა აკობიძის ლექსებიდანაც, რომლებშიც გავლენებიც იგრძნობა, ორიგინალური ძიებების სურვილიც და მოქალაქეობრივი სითამამეც. ზაალ ჯალაღონიას ლექსების თემატიკაც თანამედროვეა, მაგრამ ის უფრო ფილოსოფიური გრადაციებისკენ იხრება.

მკაცრად რეფლექსიურია ზურა ჯემკარიანის მოთხრობა, რომელსაც სათაურიც შესაბამისი აქვს: „ფიქრების სისხშირე“. ინტელექტუალური ლიტერატურის მოყვარულებს გულგრილს არ დატოვებს იტალი კალვინოს ეტიუდი „ოდისეას“ ოდისეები“ (იტალიურიდან თარგმნა დარეჯან კიკოლაიშვილმა).

ისევ იუსტან ჰიუ ოდენი, ოღონდ მოულოდნელი რაკურსით - წერილი ფრანც კაფკას შემოქმედების შინაგან, პიროვნულ მოტივებზე. დაბოლოს, თუ დავაკვირდებით, იკვეთება „არილის“ ახალი ნომრის მთავარი თემა - ცხოვრება და თვითნაალიზი.

გელოვებით ნიგნის ზეიშა

25-28 მაისს გაიმართება თბილისის ნიგნის 25-ე საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალი ტრადიციული მასშტაბითა და ფორმატით ექსპო ჯორჯიას პავილიონებში უმასპინძლებს მკითხველებს. მე-11 პავილიონში წარმოდგენილი იქნება როგორც ქართველი, ისე უცხოელი გამომცემლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის მთავარი სტენდები, ხოლო მე-6 და მე-5 პავილიონებში თავმოყრილი იქნება საბავშვო ნიგნები და აქსესუარები. თბილისის ნიგნის ფესტივალის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილია ფოკუს ქვეყნის პროგრამა. წელს ფესტივალის ფოკუს ქვეყანა პოლონეთია. პოლონეთის პროგრამის ორგანიზატორია პოლონური ინსტიტუტი თბილისში.



პოლონეთის, როგორც ფოკუს ქვეყნის, სტენდზე 10 პოლონური გამომცემლობა, ორგანიზაცია თუ კვლევითი ინსტიტუტი იქნება წარმოდგენილი. გარდა ამისა, ფესტივალის პროგრამის ფარგლებში 20 პოლონელი ავტორი და მკვლევარი გამართავს შეხვედრებს. ფესტივალს საპატიო სტუმარი, უკრაინის ინსტიტუტის დირექტორი, ვოლოდიმირ შეიკო ეწვევა. თბილისის ნიგნის საერთაშორისო ფესტივალი სლოგანით Georgia Stands With Ukraine (საქართველო მხარს უჭერს უკრაინას) უკვე

მეორე წელია სრულ მხარდაჭერას უცხადებს უკრაინას. ფესტივალი კვლავაც უმასპინძლებს პროექტს „მსახიობები ლიტერატურისთვის“, რომლის ფარგლებში ქართველი მსახიობები წარადგენენ მათ მიერ შერჩეულ ნიგნებს. ფიზიკური ღონისძიებების პარალელურად, ფესტივალის ღონისძიებები ლაივ რეჟიმშიც გავა ფესტივალის ფეისბუქ გვერდზე. გარდა ამისა, მომხმარებელს საქართველოს მასშტაბით ნიგნების შეძენა ფესტივალის ვებ-გვერდზე და ციფრულ პარტნიორ veli.sotre-ზე, საფესტივალო ფასებზე ონლაინ რეჟიმშიც შეეძლება. თბილისის ნიგნის საერთაშორისო ფესტივალი დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ. ფესტივალის მხარდაჭერია თბილისის მერია. ფესტივალის მეგობარია თბილისი. ფესტივალის ციფრული პარტნიორია Veli.store.

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მებრძევილი**
ფინანსური მენეჯერი **ქატიკაძე დამიანე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **პალა გველესიანი, მზია პარპაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG000000161665862

გაზეთი „არილის“ 2 კვირის ვიზიტუალი
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი:
თბილისი, თევდორე მღვდლის 57

ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ს № 1 ; ტ ე ლ . : 2 9 3 6 9 7 7 E-Mail: litsaqrtvelo@yahoo.com